პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76 } მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშ.-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებებილი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დადებულია სავაჭრო ხელშეკრულება.
— აჯანყება ესპანეთის ჯარში.
— მექსიკოში გაიხსნა მუშურ-გლეხური მთლიანობის ყრილობა.
— უმუშევართა დემონსტრაციები გერმანიაში.
— კამათი ელზასის საკითხის გარშემო საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.
— ინდუსტრიალიზაციის მეორე სეზნის რეალიზაციის შედეგები.
— გაიხსნა საკავშირო თათბირი მებამბეობის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 1 თებერვალი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 25 (2371)

1929 წლის 8 თებერვალს, დილის სრულ 10 საათ. სახალხო წითელ დარბაზში

გაიხსნება

საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის მე-4 მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1) მოხსენება თვითკრიტიკის მსვლელობის შესახებ.
2) მოხსენება ც. ს. კ. და მ/გ. ინსპექციის 1928-29 წ. სამუშაო გეგმის შესახებ.
3) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის გადასინჯვის შედეგების შესახებ.
4) პარტიის რიგების წმენდის შესახებ.
5) მიმდინარე საკითხები.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის თავმჯდომარე — **ივანოვ-კავკასიელი.**

საანგარიშო კამპანიის შედეგები და მორიგი ამოცანები

საბჭოების საანგარიშო კამპანია დამთავრდა და დაიწყო თვით არჩევნები. როგორია ამ კამპანიის შედეგები და რა ამოცანები დგანან ჩვენს წინაშე არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით?

როგორც მოსალოდნელი იყო, საარჩევნო კამპანიის განვლილ პერიოდებში (საორგანიზაციო და საანგარიშო) კლასობრივი ბრძოლა სოფლად ფართოდ და მძლავრად გაიშალა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: სოციალისტურ სექტორის გაძლიერებამ სასოფლო მეურნეობაში და მშრომელ გლეხობის როლის ზრდამ სოფლის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფეხზე დააყენა კულაკები და საბჭოთა ხელისუფლების ყველა სხვა მტრები, რომელნიც შეეცადნენ თავის ძველი პოზიციების შენარჩუნებას და დაკარგულ გავლენის დაბრუნებას.

რა საშუალებებს და ხრიკებს არ მიმართავდნენ ისინი ამ მიზნით! მოტყუებით და გაიძვერობით საარჩევნო უფლების მქონეთა სიებში მოხვედრა, შეუგნებელ და ეკონომიურად ჯერ კიდევ დამორჩილებულ ღარიბ გლეხობის მცირე ნაწილის მოსყიდვა და თავისი კლასობრივ მისწრაფებათა ბრმა იარაღად გადაქცევა, ცალკე მერყევ ელემენტების გამოყენება პარტიის, კომკავშირის და საბჭოთა მუშაკების რიგებიდან, სხვადასხვა ჭორების გავრცელება პარტიის და ხელისუფლების აქტიურ მუშაკზე მათთვის სახელის გასატეხად მოსახლეობაში, პროვოკაცია ჩვენი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და მრავალი სხვა ჩვენი მტრების ბრძოლის დამახასიათებელი იყო. ისინი ხშირად მუშურ-გლეხურ წყობილების „მეგობრების“ როლშიც გვევლინებოდნენ და ჩვენი დეფექტების ვითომდა გამოსასწორებლად ეფარებოდნენ თვითკრიტიკის ლოზუნგს, რომ მასები შეცდომაში შეეყვანათ და შეერყიათ მათი ნდობა ხელისუფლებისადმი. აღსანიშნავია, რომ ბევრგან კულაკები, როცა ასეთი ოინები მათ არ გაუვიდათ, თავხედურ შეტევაზე გადმოდიოდნენ; ჩვენ ვიცით ფაქტები, როცა ისინი ბედავდნენ საანგარიშო კრებების ჩაშლას, მათი ზრახვების მამხილებელ აქტიურ მუშაკების ცემას და სხვ.

ამგვარად, კამპანიამ ფარდა ახადა კლასიურ ბრძოლას სოფლად და კულაკურ საფრთხის არსებობას. საარჩევნო კამპანიის მასალები ამ მხრივ შეუბრალებლად და საბოლოოდ ანადგურებენ იმათ, ვინც ამ საშიშროების მიფუჩეჩებას ცდილობს. განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ, როგორც კამპანიის მსვლელობამ გვიჩვენა, აქა-იქ ცალკე კომუნისტები კულაკების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის რიგების ყველა მიტმასნებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან გაწმენდის აუცილებლობას და დროულობას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კულაკების ამოძრავება მეორე მხარეა, ანარეკლია მშრომელ გლეხობას, კერძოდ ღარიბთა და მოჯამაგირეების პოლიტიკურ შეგნების და აქტივობის ზრდის. ეს აქტივობა მკაფიოდ გამოაშკარავდა საარჩევნო კამპანიაში, რაც გამოიხატა როგორც კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ მშრომელ გლეხობის მთლიანი ფრონტით და მტკიცედ გამოსვლაში, ისე მათ მიერ საბჭოების მუშაობის კრიტიკულ და საქმიან შეფასებაში და უამრავ პრაქტიკულ ღონისძიებათა წამოყენებაში მშენებლობასა და აპარატში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ასეთია საერთო სურათი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დეფექტებს არ ჰქონია ადგილი. ზოგან ჩამორჩენილი ფენები ჩვენი მტრების ანკესზე ეგებოდნენ. ალაგ-ალაგ ვერ სჩანდა მასების ისეთი აქტივობა, როგორიც სასურველი და საჭიროა. ალაგ-ალაგ მოჯამაგირეთა, ღარიბ გლეხობის და კერძოდ გლეხ ქალების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში სუსტი იყო. იყო შემთხვევები, როცა მოიკოჭლებდა პარტიული ხელმძღვანელობა მშრომელთა შეკავშირების, მისი აქტივობის გაღვივების და კულაკების გარიყვის საქმეში. ყველაფერი ეს ოდნავადაც ვერ არღვევს იმ ძირითად დებულებას, რომ მშრომელ გლეხებს ემჩნევა წარსულ წლებთან შედარებით გაცილებით მეტი აქტივობა და ის უფრო ცხოველ მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში.

მაგრამ ეს უარყოფითი მხარეები ჩვენი გამაფრთხილებელია. ჩვენი ყურადღება გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მასების შემდგომი დარაზმვისაკენ უნდა იყოს მიქცეული. ამ მიზნით დაწყებული არჩევნები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. არჩევნები მთავარი, გადამწყვეტი მომენტია მთელი კამპანიის. ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა—საბჭოების შემადგენლობის განახლება, იქედან იმ პირების გამოყვანა, რომელთაც ამომრჩევლების ნდობა ვერ გაამართლეს, და მათი შეცვლა ახალი, პოლიტიკურად მტკიცე და ენერგიული მუშაკებით.

უდავოა, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები თავის დამარცხებას ასე ადვილად ვერ შეურიგდებიან. ისინი კვლავ სცდიან „ბედს“, რომ, თუ თვითონ ვერ მოახერხებენ საბჭოებში გაძვრენას, გაიყვანონ თავის გავლენაში მყოფი, მათი კლასიური ინტერესების დამცველი პირები ღარიბ და საშუალო გლეხობის შეუგნებელ ფენებიდან. მათი ასეთი განზრახვა სასტიკად უნდა ვამხილოთ, მათი ცდები ამ მხრივ ძირფესვიანად უნდა აღვკვეთოთ.

ამიტომ, საბჭოების კანდიდატების შერჩევას, მათი ყოველმხრივ და საფუძვლიან შემოწმებას უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს. საბჭოებში და მათ აღმასრულებელ ორგანოებში აქტიურად უნდა ჩავაბათ მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობის აქტივი, მოწინავე მშრომელი ქალები, მშრომელ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი. ამგვარად განახლებული საბჭოები იმის საწინდარი იქნება, რომ ჩვენ შევსძლებთ წარმატებით ბრძოლას სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კულაკების ალაგმვისათვის და აპარატის მუშაობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

გავაძლიეროთ შრომის დისციპლინა

უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში ადგილებიდან მიღებული მრავალი კორესპონდენცია და ცნობა მოწმობს, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში სერიოზულად დაეცა შრომის დისციპლინა. ამ ფაქტსვე ადასტურებენ სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ხაზით მიღებული ცნობები. დასასრულ, ამას მოწმობს იმ საწარმოო თათბირების პრაქტიკა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დონბასის, „იუგოსტალ“-ის, ლენინგრადის, მოსკოვის, ურალის და მრავალ სხვა უდიდეს საწარმოში.

ზედმეტია იმ ფაქტების ჩამოთვლა, რომლებითაც აჭრელებულია ჩვენი პრესის ფურცლები და რომლებიც ღაღადებენ, რომ შრომის დისციპლინის მხრივ ყველაფერი თავის რიგზე არ არის. საკმაოა აღინიშნოს, რომ ამ ცნობების მიხედვით. მაგალითად. კოლომნის ქარხანაში სამუშაოზე გამოუსვლელი მუშების რიცხვი შეადგენს მუშათა საერთო რიცხვის 9 პროცენტს, ხოლო მოსკოვის გუბერნიის ლიუბერეცკის ქარხანაში—10 პროცენტსაც. „კრასნოე სორმოვო“-ში ყოველ ცვლაში 20—30 წუთის წინ საყვირის მიცემამდე ბევრი მუშა სტოვებს სამუშაოს. ბაქოში ქარხნების პირველ ჯგუფში შრომის დისციპლინა დღითი-დღე ეცემა. კიევის მანქანების სააღმშენებლო ქარხნის ცეხებში მუშები მუშაობის დროს სპირტის სასმელებს სვამენ. მარიუპოლის ქარხანაში არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის შემთხვევების რიცხვი აგვისტოში შეადგენდა 294, ხოლო ნოემბერში ასეთი შემთხვევების რიცხვმა 1.446-მდე აიწია. „დონუგოლ“-ისა და სამხრეთის სამთო-მადნო ტრესტის წარმოებებში მთელი პირველი კვარტალის განმავლობაში მუშაობა სწარმოებდა შრომის დისციპლინის დაცემის პირობებში. „ტრიოხგორნაია-მანუფაქტურა“-ში დაწუნებული ნაწარმოებით გამოწვეული ზარალი გასულ წელს 661.000 მანეთს შეადგენს და სხვ.

ყველა ეს ცნობა მოწმობს. რომ საქმე გვაქვს მართლაც მოვლენასთან, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის და რომ ეს მოვლენა უნდა მოექცეს პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. რა არის ამის მიზეზი? უდიდეს სამეურნეო წარმატებებთან და ჩვენი მრეწველობის ფართოდ განვითარებასთან ერთად. სწორედ იმ მომენტში. როდესაც მთელი ჩვენი ძალღონე ვაზმართ სოციალისტური მშენებლობის განვითარების საქმეს. სწორედ ამ დროს იძულებული ვართ აღვნიშნოთ ერთ-ერთი იმ მამოძრავებელი ძალების შესუსტება, რომელიც ხელს უშლის ჩვენი მრეწველობის რეკონსტრუქციას და მის გადაყვანას უმაღლეს საფეხურზე. რით აიხსნება ეს?

ჩვენ აქ ვხედავთ, რომ მუშათა კლასის ცალკე, უფრო ჩამორჩენილი ფენები შეუგნებლად არღვევენ საერთო მუშაობას, მათ დეზორგანიზაცია შეაქვთ ამ მუშაობაში. ეს მოვლენები უარყოფით გავლენას ახდენენ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის ძირითად კლასობრივ ინტერესებზე. შრომის დისციპლინის შესუსტება იწვევს ასი მილიონების დაკარგვას, ამ დაკარგული თანხებით შესაძლებელი იქნებოდა რამდენიმე ახალი „დნეპროსტროი“-ს აგება, რაც ამჟამად ასე საჭიროა ჩვენთვის.

ჯერ კიდევ ილიჩი კატეგორიულად მოგვიწოდებდა—შევქმნა უმაღლესი „ახალი შრომითი დისციპლინა და შრომის ახალი ორგანიზაცია“. ამაში ის ხედავდა იმის მთავარ პირობას, რომ პროლეტარიატს წარმატებით აეგო „მსხვილი სოციალისტური წარმოება“.

რომ ფხიზლად გავუსწოროთ თვალი ამ უეჭველად სერიოზულ საწარმოო საფრთხეს, სრულებითაც არ არის საჭირო ავყვეთ რაიმე ობივატელურ პანიკას. აუცილებლად უნდა შევეცადეთ გამოვარკვიოთ ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები და ბოლშევიკურად მივუდგეთ ამ მიზეზების აღმოფხვრის საქმეს.

ის პირობები და ფორმები, რომლებიც იწვევენ შრომის დისციპლინის, ხოლო მასთან ერთად შრომის ნაყოფიერების დაცემას, როგორც უკვე აღინიშნა „პრავდა“-ს ფურცლებზე, საერთოდ შემდეგია: „ლოთობა მუშაობის დროს, არასაპატიო მიზეზებით სამუშაოს გაცდენა, ხულიგნობა, სამუშაოზე დაგვიანება, მუშაობის დროს ძილი, სპეციალისტების ცემის შემთხვევები, შრომის ნაყოფიერების ხელოვნურად შემცირება, რელიგიური დღესასწაულების დროს სამუშაოზე გამოუცხადებლობა, ქურდობა, შრომის დისციპლინის საერთო დარღვევა“. რას მოწმობს ყოველივე ეს? ყველა ეს მოვლენა ბოლოს და ბოლოს აიხსნება ორი ძირითადი მომენტით: „ჯერ-ერთი,—მუშათა განსაზღვრული ფენების საგრძნობი კულტურული ჩამორჩენილობით და იმით, რომ მუშათა მასის უფრო ჩამორჩენილი ფენები შეუგნებლად ეკიდებიან შრომას, მეორე—სოციალისტური რაციონალიზაციის (რომელიც მუშათა ხელით ხორციელდება), ამოცანების შეუგნებლობით, ე. ი. სუსტი კლასობრივი და პოლიტიკური შეგნებით.

აი ეს ორი ძირითადი მიზეზი იწვევს იმას, რომ სერიოზულ სიძნელეთა დაძლევის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპის პირობებში მუშათა კლასის ზოგიერთი უფრო ჩამორჩენილი ფენები დაუდევრობას იჩენენ, ცუდად ეპყრობიან წარმოების იარაღს—მანქანებსა და მასალას, აბუჩად იგდებენ საწარმოო დისციპლინას, ლოთობენ და გარყვნილ ცხოვრებას მისდევენ, ყოველივე ეს მავნე გავლენას ახდენს იმ ძირითად ამოცანებზე, რომლებსაც ისახავს მუშათა კლასი დიქტატურის პერიოდში.

ეს უეჭველად თავისებური „საწარმოო მოდუნების“ გამოხატულებაა, ხოლო ეს მოდუნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა კლასის იმ ელემენტების წვრილბურჟუაზიულ ფსიქოლოგიასთან, რომელნიც გამოსულნი არიან სოფლიდან და ახლად ჩაბმულნი არიან ჩვენს მრეწველობაში. აქ აგრეთვე თავი იჩინა იმ მრავალ ას და ათას „მარტოხელა შინამრეწველთა“ და ჩვენი ქალაქების ყოველგვარი მეშჩანური ელემენტების ჯერ კიდევ გადაუმუშავებელმა ბუნებამ, რომელნიც ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარებასთან დაკავშირებით, მოვლენათა მსვლელობის ძალით წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშათა რიგებში მოექცნენ.

ამიტომაც, როგორც არ უნდა შევაფასოთ ყველა ეს უარყოფითი მომენტი ჩვენი საწარმოების შრომის დისციპლინის დარგში, არსებითად ეს არის დროებითი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ არც ჩვენს მრეწველობას, არც ჩვენს პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებს არ შეუძლიათ საკმაოდ სწრაფად გადაამუშაონ მუშათა ამ ახალი, ყველაზე ნაკლებად მტკიცე ფენების ფსიქოლოგია, მაგრამ უაღრესად საშიში იქნება, რომ ამით ოდნავ მაინც დავიმშვიდოთ გული და არ მივიღოთ მრავალი გადამჭრელი ზომა, რათა გავაძლიეროთ მუშაობა ამ ჯერ კიდევ შეუგნებელი მასების კულტურულად და პოლიტიკურად განათლებისათვის, რათა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ იმ წვრილბურჟუაზიული საწარმოო თავაშვებულობის საშიშარი შედეგები, რომლებიც წინ ეღობებიან ჩვენს შემდგომ სოციალისტურ მშენებლობას.

თავის დროზე გავიარეთ შაბათობათა მთელი დიდი ხანა. ამ შაბათობებმა ხელი შეუწყეს საწარმოო განწყობილებათა გარდატეხას მაშინდელ წარმოებებში. ამ შაბათობებს მეტად დიდი მნიშვნელობას აძლევდა ლენინი. საჭიროა, რომ მოწინავე მუშებმა იკისრონ წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშათა კადრების საზოგადოებრივ და საწარმოო განწყობილებათა გადაკეთების ამოცანა, უნდა უჩვენონ მათ პროლეტარული სიმტკიცისა და ერთგულების მაგალითი შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში, ჩვენს სოციალისტურ წარმოებებში უსასტიკესი პროლეტარული დისციპლინის განხორციელების საქმეში, ამ მხრივ მუშათა ძველი კადრების როლი და მნიშვნელობა ჭეშმარიტად უდიდესია. სავსებით ნათლად უნდა შევიგნოთ, რომ რაც უფრო ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს რევოლიუციის ცეცხლში გამობრძმედილი ძველი საკადრო მუშები, მით უფრო მალე მოვუღებთ ბოლოს იმ შეფერხებებს, რომლებსაც ადგილი აქვს შრომის ფრონტზე.

უკვე მოგვეპოვება მრავალი ფაქტი, რომლენაც ამ მიმართულებით წარმოებულმა ერთსულოვანმა მუშაობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. ასე, მაგალითად, ტულის ხელსაწყოების დამამზადებელი ქარხნის უჯრედმა თავისი მედგარი მუშაობით ხელი შეუწყო წარმოების გაძლიერებას, მისი ღონისძიებების მეოხებით მცირდება სამუშაოს გაცდენის შემთხვევების რიცხვი და ძლიერდება შრომის დისციპლინა. ლენინგრადში ვოლოდარსკის სახელობის საკერვალო ფაბრიკაში კარგი შედეგები გამოიღო საზოგადოებრივმა ლაშქრობამ სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ.

არტემის მაღაროს მუშებმა ერთხმად დაადგინეს—გააძევონ სამუშაოს გამცდენნი, რამდენიმე მუშა-სიმულიანტი, რომელნიც წელიწადში 200 დღე „ავადმყოფობენ“ და სხვა. ყველა ეს და მრავალი სხვა ფაქტი მოწმობს, რომ მუშათა საუკეთესო კადრები შეუდგნენ მუშაობას შრომის დისციპლინის გასაძლიერებლად.

უეჭველია, რომ ბრძოლის ეს მეთოდი მისაბაძ მაგალითად უნდა გადაიქცეს სხვა საწარმოებისათვის, ხოლო შრომის დისციპლინის საკითხი—საწარმოო თათბირების ერთ-ერთ ძირითად საკითხად.

სავსებით ნათელია, რომ იმ ფართო საზოგადოებრივ ბრძოლასთან ერთად, რომელსაც მუშათა პარტიული ორგანიზაციები აწარმოებენ შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ, საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას უფრო მოქნილი ბრძოლა სამუშაოს გამცდენთა წინააღმდეგ ჩვენი წარმოების პრაქტიკულ მუშაობაში. საჭიროა, რომ ის პირები, რომელნიც დათხოვნილნი არიან შინაგანი განწესის დარღვევისათვის, მექანიკურად უკანვე არ უბრუნდებოდნენ საწარმოს, ჩვენს სამეურნეო ორგანოებს საშუალება უნდა ჰქონდეს უფრო ფართოდ შეარჩიონ შრომის ბირჟებიდან გამოგზავნილი მუშაკები. უნდა გაძლიერდეს სასჯელი ინჟინერ-ტეხნიკოსთა და ადმინისტრატიული პერსონალის პირთა შეურაცხყოფისა, მათთვის დამუქრებისა და მათი ცემისათვის, თუ ყოველივე ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც აღნიშნული პერსონალი თავის მოვალეობას ასრულებს. დასასრულ, საჭიროა გაძლიერდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რომელიც მოსდის საწარმოს მანქანების, ხელსაწყოების, მოწყობილობის, მასალისა და სხვ. გაფუჭებით.

როგორც ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა, ისე პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ ლმობიერებასთან შრომის დისციპლინის დაცემის საქმეში, ყოველგვარი კუდში მაჩანჩალობა, რომელსაც იჩენენ ცალკე ორგანიზაციები ამ საკითხში, ყოვლად დაუშვებელია.

სწორი კლასობრივი მიდგომა, თვითკრიტიკის კიდევ უფრო ღრმად გამოყენება, ბრძოლა მტკიცე საწარმოო დისციპლინისათვის, პარტიისა და პროფკავშირების ძალების და ფართო პროლეტარულ აქტივის ბრძოლა მთელი საწარმოო წყობილების სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის,—ყოველივე ეს უნდა გადაიქცეს მძლავრ საშუალებად ჩვენი ეხლანდელი სამეურნეო მდგომარეობის მტკივნეულ მოვლენათა დაძლევის საქმეში.

„პრავდა“, 31 იანვარი.

ჩემბერლენი ავღანისტანში შექმნილ მდგომარეობის შესახებ

„ინგლისის მთავრობა ამანულას მთავრობას ავღანისტანის სრულუფლებიან მთავრობად ვერ მიიჩნევს“

კომუნისტ მარტის გამარჯვება პიუტის (საფრანგეთი) დამატებით არჩევნებში

ჩაიშალა გერმანია-პოლონეთის ეკონომიური მოლაპარაკება

მდგომარეობა ავღანისტანში

ჩემბერლენი ავღანისტანის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ

ლონდონი, 30 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვაზე ჩემბერლენმა განაცხადა:

„მთავრობა არ აპირებს ავღანისტანის შინაურ საქმეებში ჩარევას. იგი ხელს არ შეუწყობს ან დახმარებას არ გაუწევს ამ ქვეყნის რომელსამე პარტიას. ინგლისის მთავრობას ძალიან სასურველად მიაჩნია, რომ ავღანისტანში შეიქმნას ძლიერი ცენტრალური მთავრობა. თუ ასეთი მთავრობა შეიქმნება. იგი მზად არის თავისი მეგობრობა დაუმტკიცოს ავღანელ ხალხს და შეძლებისამებრ დახმარება გაუწიოს ავღანისტანის რეკონსტრუქციისა და განვითარების საქმეში“.

შემდეგ ჩემბერლენმა დასძინა:

„ამანულამ ფორმალურად განაცხადა თავისი გადადგომა, თუმცა, ცხადია, გადადგომის მიუხედავად ავღანელები მას თავიანთ მეფედ სთვლიან. ინგლისის მთავრობა ამანულას მთავრობა ავღანისტანის სრულუფლებიან მთავრობად ვერ მიიჩნევს“.

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 30 იანვ. თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე—რამდენი საჰაერო დივიზიონი გაიგზავნა ამ ბოლო დროს ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ რაიონში, ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა უინტერტონმა განაცხადა, რომ ინდოეთში გაიგზავნა ორი ახალი დივიზიონი. საავიაციო ძალების სხვა გადაჯგუფებას ინდოეთში ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აეროპლანების გაგზავნას უცხოელთა ევაკუაციისთვის ქაბულიდან. ახალი საავიაციო ძალების გაგზავნით ინდოეთში მთავრობა, უინტერტონის სიტყვით, „ცდილობდა მხოლოდ ინდოეთის თავდაცვის საქმე დაეყენებია ისეთ დონეზე, როგორიც თანამედროვე სამხედრო ტეხნიკას შეეფერება“. (ადს).

ხაბიბულას ბანაკში

ლონდონი, 30 იანვარი. როგორც „ტაიმსი“ იუწყება, მიღებულ იქნა ზომები, რომ ინგლისის საჰაერო ფოსტამ ქაბულსა და პეშავარს შორის ყოველკვირეულად იაროს.

შემდეგ გაზეთი იუწყება, თითქოს ხაბიბულამ (ბაჩე-საკაომ) ინგლისის ელჩს გემფრის ოფიციალურად აცნობა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ატაულ ხაგხანი.

რეიტერის სააგენტოს ცნობის თანახმად, ხაბიბულამ გადასწყვიტა—გამოუშვას ახალი ფული—ერთი რუპიის (70 კაპ.) ღირებულებისა

როგორც „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი ყარაჩიდან იუწყება, ქაბულის პროვინციას შიმშილი მოელის. გირვანქა პურის ფასმა იქ 8 შილინგამდე (დაახლოებით 1 ნახ. მანეთი) მიაღწია. კორესპონდენტის ცნობებით, ხაბიბულამ 800 პატიმარი გაანთავისუფლა საპყრობილედან. (ადს)

„ირან“-ი ხაბიბულას შესახებ

თეირანი, 30 იანვარი. გაზეთმა „ირან“-მა მოათავსა ბაჩე-საკაოს ფოტოგრაფიული სურათი და წერილი მის შესახებ.

ამ კაცმა,—სწერს გაზეთი,—თავის ხალხს საშინელი არეულობა და უბედურება დაატეხა თავს. მან ხრამში გადაჩეხა ბედუკუღმართი სახელმწიფო ავღანისტანისა, რომელიც დიდებისაკენ მიიმართებოდა. ის უდიდესი ზიანი, რომელიც მან სახელმწიფოს მიაყენა, მეტის-მეტად მძიმეა და ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როდის ეღირსება ავღანელი ხალხი მშვიდობიანობისა და მყუდროების დამყარებას“. (ადს).

ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში ავღანისტანის მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 31 იანვარი, ავღანისტანის საგანგებო ელჩმა საბჭოთა კავშირში გულამ ნაბი ხანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგნაირად დაახასიათა ავღანისტანში შექმნილი მდგომარეობა:

„უკანასკნელ დღეებში ავღანისტანის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომელნიც საფუძველს გვაძლევენ ოპტიმისტურად შევხედოთ შექმნილ მდგომარეობას. დღითი-დღე იზრდება ხალხის აღშფოთება ბაჩე-საკაოს იმ ყაჩაღური ბანდების წინააღმდეგ, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ქაბული. ავღანისტანის მნიშვნელოვან ცენტრებში სდგება მოხალისეთა რაზმები, რომელთა მიზანია სამშობლოს ხსნა რეაქციონურად განწყობილ მეამბოხეებისაგან. აჯანყებულებს უკვე გაუტყდათ სახელი მოსახლეობის თვალში.

ბევრი ტომი, როგორც, მაგალითად, დურანი, გილზა, ლოგარი, ვარდაკი, მოხმანდი, ხეზარა, საფი, გადაჭრით აცხადებს, რომ მზადაა იბრძოლოს ფადიშაჰ ამანულა-ხანის სასარგებლოდ.

ავღანისტანის ყველა მნიშვნელოვანმა ქალაქმა და პროვინციამ (გერატი, მეიმანი, მაზარი, შერიფი, კატაგანი) **ფადიშაჰ ამანულას გაუგზავნა სათანადო პეტიცია. რომელშიაც ერთგულებას უცხადებს მას და აღუთქვამს ბრძოლას რეფორმების გატარებისათვის. გარდა ამისა, კუჰისტანელების წინააღმდეგ გამოვიდა შინვარის ტომი, რომელმაც წინად პირველმა დაიწყო აჯანყება მთავრობის წინააღმდეგ.** ამჟამად შინვარის ტომი, ალი-ახმედ-ხანის მეთაურობით, ქაბულს უტევს. შინვარის ეხლანდელი პოზიცია ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მაგრამ იმ მტრობას, რომელიც ჩამოვარდა შინვარისა და კუჰისტანელებს შორის, ეხლანდელ მომენტში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად, **ქაბულსა და მის მიდამოებში დაბანაკებულ მეამბოხეებს ყოველმხრიდან შემოერტყნენ ამანულას მომხრეები.** მიღებული ცნობების თანახმად, **უნდა მოველოდეთ, რომ ფადიშაჰი ახლო მომავალში დაიბრუნებს დედა-ქალაქს.**

რაც შეეხება იმას, თუ რა გავლენას მოახდენს აჯანყება ფადიშაჰის მიერ დაწყებული რეფორმების განხორციელებაზე, ეჭვს გარეშეა, რომ **ამანულა-ხანი რეფორმებს განუხრელად განაგრძობს შემდეგშიაც** ამავე დროს შეეცდება აღმოფხვრას ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს ასეთივე აჯანყების გამოწვევას. მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური ზიანისა, რომელიც მოგვაყენა უკანასკნელმა რეაქციონურმა აჯანყებამ, ამ აჯანყების გაკვეთილი მეტად ძვირფასი იქნება უფრო მტკიცე ბაზისის შექმნის დროს. ასეთი ბაზისი აუცილებელია იმ იდეების განხორციელებისათვის, რომლებისაკენაც მიისწრაფვის ფადიშაჰი“.

დასასრულ, გულამ ნაბი ხანმა განაცხადა, რომ მან ფადიშაჰისაგან მიიღო ოფიციალური ცნობა. რომლის თანახმად ფადიშაჰი კვლავ სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას, ფადიშაჰის დროებითი რეზიდენცია კანდაგარი იქნება.

„თავისთავად ცხადია,—განაცხადა მან,—რომ ავღანისტანის წარმომადგენლობანი საზღვარ-გარეთ დაემორჩილებიან მხოლოდ იმ განკარგულებებს, რომლებსაც გასცემს ფადიშაჰ ამანულა“. (ადს).

გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკება ჩაიშალა

ვარშავა, 30 იანვარი. ბერლინში გაიმართა თათბირი გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარის გერმესის და პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის ტვარდოვსკის შორის გერმანიის ელჩის (პოლონეთში) მონაწილეობით. თათბირი შეეხებოდა სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელებას. პოლონეთის პრესის ცნობით, თათბირი უშედეგოდ დამთავრდა (ადს).

დამატებითი არჩევნები საფრანგეთში

პირველი კენჭის ყრის შედეგები პიუტოში.

პარიზი, 30 იანვარი. ბურჟუაზიული პრესა ეხება დამატებითი არჩევნების პირველი ტურის შედეგებს პიუტოში (პარიზის მუშათა გარეთუბანი) და აღნიშნავს, კომუნისტ დეპუტატის მარტის გამარჯვებას. **მან ახლა მიიღო 6.563 ხმა, 326 ხმით მეტი, ვიდრე აპრილის არჩევნების დროს.** პრესის აზრით მეორე კენჭის ყრის დროს ბრძოლა გაიმართება მარტისა და მემარჯვენე პარტიების კანდიდატ გოტეროს შორის, რომელმაც 5.688 ხმა მიიღო.

სოციალისტური პარტიის სენის ფედერაციამ ამომრჩეველ სოციალისტებს მოუწოდა—ხელახალი კენჭის ყრის დროს ხმა მისცენ მარტის და „თუნდაც ამ გზით ხელი შეუშალონ რეაქციის გამარჯვებას“. არ იციან, დაამტკიცებს თუ არა სოციალისტური პარტიის ც. კ. სენის ფედერაციის გადაწყვეტილებას. ჯერ-ჯერობით კი არც სოციალისტური პარტიის ორგანო „პოპულიერ“-ი, არც პარტიის ც. კ. არ გამოხმაურებიან სენის ფედერაციის მიმართვას ამომრჩევლებისადმი.

მუშურ-გლეხური მთლიანობის ყრილობა

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. მექსიკიდან მიღებული ცნობებით, მუშურ-გლეხური მთლიანობის ყრილობამ დაადგინა—შექმნას „პროფკავშირთა ნაციონალურ-უნიტარული კონფედერაცია“. კონფედერაციაში შევლენ დამოუკიდებელი პროფკავშირები, აგრეთვე ის პროფკავშირები, რომელნიც მექსიკის შრომის რეფორმისტულ ფედერაციას გამოეყვნენ.

შრომის ფედერაციის მემარცხენე ბელადები ყრილობაზე მკაცრად ილაშქრებდნენ ფედერაციის რეაქციონური ბიუროკრატების წინააღმდეგ.

ყრილობამ საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო ფაშისტური კანონის (შრომის შესახებ) წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებს პრეზიდენტი პორტეს ხილი. ყრილობა მეორე რეზოლიუციაში ჰგმობს შრომის ფედერაციის კავშირს თეთრგვარდიელ ელემენტებთან, რაც მუშების წინააღმდეგ არის მიმართული. იუწყებიან, რომ კაროლინის საფეიქრო ფაბრიკების მუშების უმრავლესობა შრომის ფედერაციიდან გავიდა—მას შემდეგ, რაც ფედერაციის რეფორმისტმა ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს გამოექვეყნებიათ საჯარო ანგარიში ფედერაციის ფინანსების შესახებ. ფედერაციის რაზმელებმა თავს დაესხნენ კაროლინის მუშებს, მოჰკლეს ერთი და დასჭრეს ორი მუშა. ამ საქმის გამო დააპატიმრეს ფედერაციის ერთ-ერთი ბელადი. (ადს).

აჯანყება ესპანეთის ჯარში

პარიზი, 30 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

მადრიდიდან მიღებული ცნობებით, სიუდად რეალში (ესპანეთი) აჯანყდა საარტილერიო პოლკი. აჯანყებულმა პოლკმა ხელთ ჩაიგდო ჟანდარმერიის ყაზარმები, დადგა ზარბაზნები ქუჩებსა და ქალაქის მახლობელ გზებზე და შეაჩერა მატარებლების მიმოსვლა.

ესპანეთის დიქტატორის პრიმო დე-რივერას განცხადებით, მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო ზომები აჯანყების ჩასაქრობად, და კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო სიუდად-რეალში მომხდარი ამბებით, ამჟამად მოსპობილად შეიძლება ჩაითვალოს (ადს).

პარიზი, 30 იანვარი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება:

„პრიმო დე რივერამ (ესპანეთის დიქტატორმა) ნაციონალურ კრებაზე განაცხადა, რომ ვალენსიაში დააპატიმრეს კონსერვატიული პარტიის ძველი ლიდერი **სანჩეს გერა** და მისი შვილი, რომელნიც იქ ჩავიდნენ. დაპატიმრებულებს, როგორც სჩანს, კავშირი ჰქონდათ სამხედრო წრეებთან, ვინაიდან ნავთსადგურიდან პირდაპირ მე-5 საარტილერიო პოლკის ყაზარმებისაკენ გაემართნენ, მაგრამ გზაში დაპატიმრებულ იქნენ. აჯანყების ცდა სიუდად რეალში საბოლოოდ ჩაქრობილია. შეთქმულთა პროგრამა გამოურკვეველია. გენერალი **ორგასი,** რომელიც სიუდად რეალში ჩავიდა, სათავეში ჩაუდგა ჯარს და ინახულა ის ყაზარმა, რომელშიაც მოთავსებულნი არიან აჯანყებული პოლკის ოფიცრები. სიუდად რეალში ჩავიდნენ ქვეითა და ჯავშნოსანი ნაწილები. აეროპლანებმა, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ მთავრობის პროკლამაციების გასავრცელებლად, შეასრულეს დავალება და უკან დაბრუნდნენ“. (ადს).

შენიშვნა: კონსერვატიული პარტია წარმოადგენს მსხვილი ბურჟუაზიისა და აგრარიების რეაქციონურ პარტიას. იმ გადაწყვეტილების შემდეგ, რომელიც პრიმო დე რივერამ მოახდინა ამ პარტიის უმრავლესობა პატრიოტულ კავშირში გადავიდა. ამ კავშირს ხელმძღვანელობს პრიმო დე რივერა. კავშირში არ შევიდა მხოლოდ პარტიის ზომიერი ფრთა, რომელსაც მეთაურობდა სანჩეს გერა. სანჩეს გერა მტრულად იყო განწყობილი პრიმო დე რივერას წინააღმდეგ.

უმუშევართა დემონსტრაციები გერმანიაში

ბერლინი, 30 იანვარი. უკანასკნელ დღეებში სხვადასხვა ქალაქში უმუშევართა დემონსტრაციები გაიმართა. გუშინ ნეიკელნში (ბერლინის გარეთუბანი) უმუშევრებმა საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყეს შრომის ადგილობრივ ბირჟაზე გამეფებული წესების წინააღმდეგ. პოლიციის რაზმმა დააპატიმრა ოთხი კაცი, მათ შორის რეიხსტაგის დეპუტატი, კომუნისტი ბლენკლე, რომელიც გაანთავისუფლეს რეიხსტაგის კომფრაქციის მოთხოვნის შემდეგ. ბლენკლეს სასამართლოში აძლევენ, მას ბრალდება ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

უმუშევართა დემონსტრაცია გაიმართა აგრეთვე მაინის ფრანკფურტში.

დრეზდენში მოხდა აღმოსავლეთ საქსონიის უმუშევართა სადელეგატო კონფერენცია. **კონფერენცია** თავის რეზოლიუციაში მოითხოვს, რომ რეიხსტაგმა მიიღოს კომფრაქციის წინადადება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (ადს).

კამათი ელზასის საკითხის გარშემო

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 30 იანვ. პალატაში განაგრძეს კამათი ელზასის საკითხის გარშემო. ავტონომისტმა დეპუტატმა დალემ თავის სიტყვაში მოითხოვა თანასწორი უფლება ფრანგული და გერმანული ენებისათვის ელზასში და პროტესტი განაცხადა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ ფრანგების დანიშვნის წინააღმდეგ. დალემ მოითხოვა, რომ ელზასელებისთვის უზრუნველყოფილ იქნას კრებების და პრესის თავისუფლება გერმანულ ენაზე. ორატორმა მოითხოვა აგრეთვე გერმანიიდან ლიტერატურის შემოტანის შეზღუდვის გაუქმება და პოლიტპატიმართათვის სრული ამნისტიის გამოცხადება.

ინტერპელიანტებს უპასუხა პუანკარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთთან შეერთების წყალობით ელზასმა თავიდან აიცილა ეკონომიური კრიზისი.

„საფრანგეთმა,—სთქვა პუანკარემ,—აღადგინა ომისაგან დანგრეული ელზასი, გაავრცელა მასზე საფრანგეთის ფულის სისტემა და განავითარა მისი მრეწველობა.

ამიტომ გერმანიის ეკონომიური ბაზისიდან მოწყვეტას ელზასისთვის არავითარი ზიანი არ მოუტანია“.

ავტონომიური ელზასი, პუანკარეს აზრით, ეკონომიურად წარმოუდგენელია (ადს).

კელოგის პაქტის რატიფიკაცია

პარიზი, 30 იანვარი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ ერთსულოვნად მხარი დაუჭირა კელოგის პაქტის დაუყოვნებელ რატიფიკაციას. (ადს).

თეირანი, 30 იანვარი. მეჯლისის საგარეო საქმეთა კომისიამ განიხილა და დაამტკიცა კელოგის პაქტის რატიფიკაციის კანონპროექტი. კანონპროექტი ამ დღეებში წარედგინება მეჯლისს დასამტკიცებლად (ადს).

„სატრე ირანი“ იემენ-საბჭ. ხელშეკრულების შესახებ

თეირანი, 30 იანვარი. „სატარე ირანი“-ი კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა კავშირისა და იემენის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას და სწერს:

„იემენი, ნეჯდი და გეჯასი მომავალში საერთაშორისო მნიშვნელობას მოიპოვებენ. სპარსეთმა მეგობრული ურთიერთობა უნდა დაამყაროს ამ სახელმწიფოებთან“.

მეამბოხეთა საქმე თურქეთში

სტამბოლი, 30 იანვარი. მეამბოხეთა საქმის გარჩევა ბრუსაში გრძელდება. ერთ-ერთ მოწმის ჩვენებით, კონტრრევოლიუციონური ორგანიზაცია 17 თვე არსებობდა. ამბოხება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო ბრუსაში და სმირნის რაიონში. აიდინში შეთქმულებს განზრახვა ქონდათ ხელში ჩაეგდოთ ჰაეროდრომი და ბენზინის საწყობი. (ადს).

რუსი ემიგრანტების პრეტენზიები

ხარბინი, 30 იანვარი. „შორეულ აღმოსავლეთის ემიგრაციის ლიდერის“ დაირქმეულმა წარმომადგენელმა ხორვატმა განუცხადა კვანტუნის გენერალ-გუბერნატორს, რომ რუს ემიგრანტთა ორგანიზაციები, რომლებმაც ხორვატი ემიგრაციის წარმომადგენლად დანიშნეს იაპონიისა და ჩინეთის მთავრობათა წინაშე, სთხოვენ კვანტუნის ხელისუფლებას, რათა მან ხორვატი იცნოს ემიგრაციის წარმომადგენლად სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის რაიონში.

გენერალ-გუბერნატორის სამმართველომ უპასუხა: საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მეგობრული ურთიერთობის გამო, თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება (ადს).

მენშევიკები იმპერიალიზმის სამსახურში

სადათიერაშვილი ამჟღავნებს ქართველ მენშევიკების მაჩინაციებს

გერმანული გაზეთები ყალბი ფულის მკეთებლების პროცესის შესახებ

ბერლინი, 30 იანვარი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამორკვეული, გაირჩევა თუ არა სასამართლოში საქმე ჩერვონცების ფალსიფიკაციის შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საგამომძიებლო მასალის მხოლოდ ნაწილი იქნება გამოქვეყნებული სასამართლოს ღია სხდომაზე.

„ფოსიშე ცეიტუნგ“-ი გადმოგვცემს ზოგიერთ დაწვრილებით ცნობას გერმანიის ინსტანციებსა და ანტისაბჭოთა წრეებს შორის არსებული კავშირის შესახებ. გაზეთის სიტყვით, განსვენებული გენერალი გოფმანი თავის დროზე ლონდონში დეტერდინგთან მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოში აჯანყებისათვის ფინანსების მიწოდებისა და ნავთის იმ კონცესიების შესახებ, რომლებიც ინგლისს უნდა მიეღო იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება გაიმარჯვებდა. (ადს).

სადათიერაშვილი ამხელს ყალბი ფულების მკეთებელთ

ბერლინი, 30 იანვარი. ჩერვონცების ფალსიფიკაციის საქმე სენსაციური ხასიათს იღებს. გამოირკვა, რომ ყველა მასალა ამ საქმეზე, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ, ფოტოგრაფიით გადაიღეს და ინგლისს მიჰყიდეს. ასეთ მასალას ეკუთვნის პირველ რიგში ქართველ სადათიერაშვილის ჩვენება მანქანით დაბეჭდილ 50 ფურცელზე, რომელშიაც იგი ვრცლად ეხება მთელი აფიორის პოლიტიკურ სარჩულს. სადათიერაშვილი, როგორც მან თვითონ აღიარა, მხოლოდ იარაღი იყო პარიზში მყოფი, ეგრედწოდებული საქართველოს დემოკრატიული მთავრობისა, რომელიც სცდილობს საქართველოს გამოყოფას. ამ ჯგუფს კავშირი ჰქონდა დეტერდინგთან, ნავთის ტრესტის მეთაურთან და განსვენებულ გენერალ გოფმანთან. (ადს).

საბჭოთა წინადადების გარშემო

ლატვია და ესტონეთი საბჭოთა ოქმთან დამოკიდებულების შესახებ

კოვნო, 31 იანვარი. ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ლატვიისა და ესტონეთის საპასუხო ნოტა, რომელიც გუშინ გადაეცა ლიტვის ელჩებს რიგასა და რეველში; ნოტა შეიცავს პასუხს ლიტვის მიმართვაზე ლატვიისა და ესტონეთისადმი—შეერთებოდნენ იმ ოქმს, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარუდგინა პოლონეთს. ლატვია და ესტონეთი აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან შეუერთდნენ ოქმს, ამავე დროს ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ მისი შეერთება იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფორმა მიეცემა ოქმს მომავალ მოლაპარაკებაში. ამასთან ერთად ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მიესალმება იმ გარემოებას, თუ ოქმს სხვა დაინტერესებული სახელმწიფოებიც შეუერთდებიან. ესტონეთის მთავრობაც აცხადებს, რომ იგი მზად არის სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად შეუერთდეს ოქმს, რომელსაც შეუძლია შექმნას მშვიდობიანობის გარანტიები აღმოსავლეთ ევროპაში (ადს).

გაზ. „სოციალ-დემოკრატს“-ის პროტესტი

რიგა, 30 იანვ. როგორც „სოციალ-დემოკრატსი“ იუწყება, გაიმართა ლატვიის მთავრობის საიდუმლო სხდომა, რომელზედაც საგარეო საქმეთა მინისტრმა ვოლდისმა გააკეთა მოხსენება ლატვია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. გაზეთი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ სხდომას საიდუმლო ხასიათი ჰქონდა და აღნიშნავს, რომ ეხლანდელი მთავრობა საიდუმლო პოლიციის ყოველგვარი პროვოკაციის საშუალებით ამწვავებს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ნერვიულ ატმოსფერას ქმნის საბჭოთა დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის ლატვიაში, რომლებიც ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულებას ახორციელებენ (ადს).

„პოლონეთი არც კი ფიქრობს მიიღოს საბჭოთა წინადადება“

ბერლინი, 30 იანვ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება:

„პოლონეთი არც კი ფიქრობს მიიღოს საბჭოთა წინადადებანი. იგი სცდილობს მხოლოდ გვერდი აუხვიოს ამ მისთვის არასასიამოვნო წინადადებას და ბრალი დასდოს მოპირდაპირე მხარეს. პოლონეთს არა სურს ხელი შეუწყოს ისეთი შთაბეჭდილების შექმნას, რომ საბჭოთა კავშირის განზრახვები მშვიდობიანი ხასიათისაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ბალტიის სახელმწიფოებმა კარგათ იციან როგორც საბჭოთა კავშირის განზრახვები, ისე პოლონეთის გეგმები. საეჭვოა, რომ განხორციელდეს პოლონეთის გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ბლოკის შექმნის შესახებ“. (ადს)

„პაევალეხტ“-ი ლიტვინოვის წინადადების შესახებ

რეველი, 30 იანვ. „პაევალეხტ“-ი ეხება ესტონეთის მთავრობის პასუხს და სწერს:

„ესტონეთის, პოლონეთის, ლატვიისა და ფინეთის საზოგადოებრივი აზრი სცნობს, რომ შეთანხმების დადებას საბჭოთა კავშირთან წინ უნდა უძღოდეს ახსნა-განმარტებითი მოლაპარაკება. ლიტვინოვის ოქმი არც ისე უბრალოა, როგორც გვგონიათ, და საბჭოთა კავშირის მეზობელ სახელმწიფოებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ ამ ოქმს ან ერთად, ან ერთიმეორეთან შეთანხმებით (ადს).

ცუდი ამინდის გამო ღამის ცნობები არ მიგვიღია

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშაკთა ყრილობის მიმართვა ამხ. ს. ორჯონიკიძეს

მოსკოვი 31 იანვარი. ამ დღეებში დასრულდა პოლიგრაფიულ მრეწველობის სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელმაც სპეციალური დადგენილებით მიმართა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ამხ. სერგო ორჯონიკიძეს.

თავის მიმართვაში პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშაკთა ყრილობა ეხება იმ არანორმალურ პირობებს, რომელთაც ადგილი აქვთ ბეჭდვითი საქმის დარგში. განსაკუთრებით მიაქცევს ამხ. ორჯონიკიძის ყურადღებას ყრილობა ქაღალდის ტრესტის, პოლიგრაფიულ მრეწველობისა და გამომცემლობათა ურთიერთობის მოუწესრიგებლობაზე. ბეჭდვითი საქმის ამ სამი ძირითადი საფეხურების მუშაობა უმეტეს შემთხვევაში შეთანხმებული არაა. უმთავრესად აქედან ღებულობს სათავეს მთელი რიგი დეფექტები, რომელსაც ადგილი აქვს პოლიგრაფიულ მრეწველობაში და, საზოგადოთ, ბეჭდვით საქმეში. მოუგვარებელია ქაღალდით მომარაგების საქმე, ცუდადაა დაყენებული საიმპორტო მანქანების შემოზიდვა-განაწილება, ხშირად დამაკმაყოფილებელი არაა ბეჭდვითი პროდუქცია და სხვა.

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა ყრილობა სთხოვს ამხ. ს. ორჯონიკიძეს დახმარებას იმ ღონისძიებათა გამოძებნა-გატარებაში, რომელნიც, ყრილობის აზრით, აუცილებელია საქმის გამოსაჯანსაღებლად.

მიმართვაში სპეციალურად ლაპარაკია იმის შესახებ, რომ უნდა მოხდეს ბეჭდვითი ნაწარმოების სრული გაერთიანება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგეობის ქვეშ. ეს ღონისძიება, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საჭიროა გატარებულ იქნეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებშიაც.

მებამბეობის კოოპერატიულ თათბირის დადგენილებანი

მოსკოვი, 31 იანვარი. დასრულდა მებამბეობის კოოპერაციის სრულიად საკავშირო თათბირი, რომელმაც გამოიტანა მთელი რიგი რეზოლიუციები კოოპერატიულ მშენებლობის დარგში. თათბირის დადგენილებაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ აზერბეიჯანსა და სომხეთში საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს კოოპერაციის ორი სახე: მებამბეთა ამხანაგობანი და მებამბეთა კავშირი. რაც შეეხება საქართველოს, აქ კოოპერაციას ექნება მხოლოდ მებამბეთა სპეციალური ამხანაგობანი, რომელნიც შევლენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში.

პასუხისმგებელ ამხანაგების გადაყვანა წარმოებებში

მოსკოვი. 31 იანვარი. მოსკოვში და მთელ რიგ სხვა ინდუსტრიალურ ცენტრებში უკვე შეუდგნენ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებას, რომლის თანახმად, მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, უნდა გადაყვანილ იქნან საწარმოებში მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები.

„რაბოჩაია გაზეტა“ ამის გამო სწერს: „საჭიროა აქედანვე მიღებულ იქნეს ზომები, რათა ამხანაგების გადაყვანა საწარმოებში არ ხდებოდეს მექანიკურად. ეს ქმნის პარტიის დირექტივის ბიუროკრატიზაციის საშიშროებას, წარმოებაში გადასაყვანი ამხანაგები უნდა იცნობდნენ იმ საქმეს, რომლის გასაუმჯობესებლადაც მათ გზავნის პარტია, საწარმოებს შეემატება ხელმძღვანელთა ახალი კადრები, რაიც შეასუსტებს ბიუროკრატიზმს, გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას, დააჩქარებს მუშათა მასების კულტურულად ზრდას და სხვა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში

მოსკოვი, 31 იანვარი. გუშინ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სრულიად საკავშირო გაერთიანებათა ბიუროზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის დელეგატი ამხ. ბ. ბუაჩიძე. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარებაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი პროლეტარულ მწერლობის მიღწევებზე და ნაკლზე. მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მემარჯვენე საფრთხის საკითხს ქართულ პროლეტარულ მწერლობაში, რომელიც უმთავრესად ნაციონალისტურ გადახრების სახეს ღებულობს.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს 8 წლის თავისათვის

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა სამაზრო, საოლქო და სარაი ონო. კომიტეტებს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-8 წლის თავისა და წითელი არმიის მე-11 წლისთავის დღესასწაულს მშრომელთა ფართო მასების დღესასწაულის ხასიათი უნდა ატარებდეს. დღესასწაულის მთავარ მომენტებს უნდა წარმოადგენდეს:

1) იმ წარმატებათა პოპულარიზაცია, რომელსაც მიაღწია საქართველოს სოციალისტურმა მშენებლობამ 8 წლის განმავლობაში, მუშაობის ყველა დეფექტის გამოაშკარავება ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანათა განმარტება და ამ ამოცანათა დაკავშირება საბჭოების საარჩევნო კამპანიასთან.

2) საბჭოთა კავშირის საბრძოლველო მომზადებისა და თავდაცვის უნარიანობის შემოწმება.

3) მშრომელთა მასების კავშირის განმტკიცება წითელ არმიასთან და სამხედრო მშენებლობის მთელ ამოცანათა განმარტება.

4) თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის გაშლა-განვითარება მშრომელთა ფართო მასების ჩასაბმელად სამხედრო მუშაობაში.

5) კომუნისტური პარტიის, როგორც წითელი არმიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლის განმარტება.

6) განმარტება წითელი არმიის როლისა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და დაცვის საქმეში, ამასთანავე ანტისაბჭოთა პარტიებისა და სხვათა ჯგუფების მხილება.

ასეთი-განმარტებითი კამპანია და თვით დღესასწაული ჩატარებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

1) 15-დან 26 თებერვლამდე მუშათა, მუშაქალთა და გლეხთა მასიურ კრებებზე წარმოებებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში, გლეხთა სახლებში, სამკითხველოებში და სხვ. უნდა მოეწყოს მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის და კითხვის საღამოები შემდეგ თემებზე:

ა) სოციალისტური მშენებლობის შედეგები და პერსპექტივები საქართველოში;

ბ) ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხები და წითელი არმიის ამოცანები.

შენიშვნა: მუშების და გლეხების მასიური კრებები შეძლებისდაგვარად ჩატარებულ უნდა იქნეს წითელი არმიის ნაწილებთან ერთად.

2) მშრომელთა და წითელ არმიას შორის კავშირის განმტკიცების მიზნით უნდა მოეწყოს მუშათა და გლეხთა ექსკურსიები ყაზარმებში და სამხედრო ნაწილების კლუბებში, ეს ექსკურსიები შეთანხმებული უნდა იქნეს წითელი ყაზარმის დათვალიერებასთან.

3) წითელი არმიის მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი პირობების გასაცნობად და საბჭოთა, სამეურნეო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩასაბმელად წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობის ყოფა-ცხოვრებითი პირობების ყოველმხრივი გაუმჯობესების საქმეში, უნდა დათვალიერებულ იქნას ყაზარმები, მთავრობის წევრებისა და პარტიულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ.

4) კამპანიის პროცესში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გაძლიერდეს მუშაობა მოსახლეობის გასამხედროებისა, მშრომელთა ახალი ტირების, სამხედრო ცოდნის წრეების, მსროლელთა წრეების და ფიზკულტურის წრეების, სამხედრო კუთხეების და სხვ. მოწყობის საქმეში; ჩატარებულ უნდა იქნეს სამხედრო-სასპორტო შეჯიბრებანი, მოსახლეობაში სამხედრო მუშაობის წრეების დათვალიერება, მასიური სამხედრო ლიტერატურის გავრცელება და სხვ.

5) სოფლისა და ქალაქის კავშირის ხაზით გადმოების თბილისის საბჭომ უნდა მოაწყოს შეფების გამგზავრება სოფლებში, უნდა მისცეს მათ სათანადო საინსტრუქციო მითითებები დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

6) სკოლებში და ტექნიკუმებში ჩატარებულ უნდა იქნეს მოხსენებები საბჭოთა საქართველოს 8 წლის თავის და წითელი არმიის თერთმეტი წლის თავის შესახებ, მოწაფეთა მშობლების მოწვევით ამ კრებებზე.

7) მოეწყოს რადიო-გადაცემა დღესასწაულის ჩატარებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.

8) წითელი არმიის დღე—23 თებერვალი აღნიშნულ იქნეს წითელი არმიის ნაწილებში სპეციალურ მოხსენებების ჩატარებით, მოხსენებებზე მოწვეულ იქნენ მუშები; მოხსენებების შემდეგ მოეწყოს მხატვრული წარმოდგენები, სეირნობა, კინო და სხვ.

9) 25 თებერვალს ქალაქებში უნდა მოეწყოს სამხედრო ნაწილების (სადაც ასეთები არიან) აღლუმი, მშრომელთა დემონსტრაციები, ხოლო სოფლებში—მიტინგები, პროცესიები მუშათა საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, საღამოთი უნდა მოეწყოს საბჭოების საზეიმო სხდომები მოხსენებებით საბჭოთა საქართველოს 8 წლის თავისა და წითელი არმიის თერთმეტი წლისთავის შესახებ.

შენიშვნა: აღლუმის შესახებ იქნება განსაკუთრებული მითითება სარდლობის ხაზით.

10) პერიოდულ პრესაში და კედლის გაზეთებში ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების, ისტორიის და მშენებლობის საკითხები, საბჭოთა საქართველოს მიღწევები 8 წლის განმავლობაში და სხვ.

კამპანიის ჩასატარებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო აღმასკომებთან უნდა მოეწყოს კომისიები პარტიულ, პროფესიონალურ, კომკავშირის და საზოგადოებრივ (თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, საშეფო საზოგადოება) ორგანიზაციების და ქალთა საძლევანტო კრებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ლენინურ კომკავშირის ცეკამ, საქართველოს პროფსაბჭომ, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭომ, განათლების სახალხო კომისარიატმა, პოლიტგანათლების მთავარმა სამმართველომ და სხვ. თავიანთი ხაზით ადგილებს უნდა მისცენ სათანადო მითითებანი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **მ. კახიანი.**

ცეკას საგ. საპროპ. ბეჭდვითი განყოფილების გამგის მოადგილე **ორჯიკაშვილი.**

კომუნისტების მივლინება უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში

მოსკოვი, 31 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ საჭიროდ სცნო, რომ 1929—30 წელს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მივლინებულ იქნას 1.000 კომუნისტი, მათ შორის ქალები 15 პროცენტს უნდა შეადგენდნენ. მივლინებულთა შორის მუშები უნდა შეადგენდნენ 75—80 პროცენტს მაინც. მუშებს უნდა ჰქონდეთ საწარმოო სტაჟი არა ნაკლებ 5 წლისა. მათი საზოგადოებრივი მუშაობის სტაჟი 3—4 წელიწადს უნდა უდრიდეს. მოსამსახურეებს უნდა ჰქონდეთ საპასუხისმგებლო პარტიული სამუშაო. პროფესიონალური და სამეურნეო მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 6—7 წლისა. მივლინებულთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. მივლინებულებს უნდა ჰქონდეთ მუშფაკის შესაფერი მომზადება. ცეკამ დაამტკიცა ადგილების განაწილება პარტორგანიზაციებს შორის და წინადადება მისცა პარტორგანიზაციებს, მოამზადონ კანდიდატების სათანადო რაოდენობა. ცეკამ დაავალა ადგილობრივ პარტორგანიზაციებს—პროფორგანიზაციებთან, საბჭოთა მეურნეობის საბჭოებთან და ადგილობრივ პროფგანათლების ორგანოებთან ერთად მოაწყონ საღამოს კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის. კანდიდატების შერჩევა ადგილობრივმა კომისიებმა უნდა დაამთავრონ არა უგვიანეს 1 ივნისისა, ხოლო ცენტრალურმა კომისიამ—არა უგვიანეს 1929 წლის 1 ივლისისა. (ადს).

იწონებენ ტროცკისტების წინააღმდეგ მიღებულ ზომებს

ნუხა, 30 იანვარი. 29 იანვარს ნუხაში შესდგა ქალაქის პარტაქტივის გაფართოებული კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკას იანვრის პლენუმის შედეგებისა და ტროცკისტების უკანასკნელ კონტრრევოლუციონური გამოსვლების შესახებ. კრებამ ერთხმად მოიწონა სომხეთის კომპარტიის ცეკას ყველა გადაწყვეტილებანი და გამოცხადებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ღონისძიებანი საბჭოთა ხელისუფლების მტრების—ტროცკისტების მიმართ. (ადს).

მიწადმოწყობისა და მიწადმოქმედების მუშაკთა თათბირი

კამათი მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის საკითხებზე

ამხ. ზ. ელიავა

ძირითადი დებულება, რომელზედაც აგებულია საბჭოთა კანონმდებლობა, არის მიწის ნაციონალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის მესაკუთრე არის სახელმწიფო და არა სხვა ვინმე. სადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობა შექმნის ერთგვარ შუა კედელს მიწადმოსარგებლესა და მიწას შუა. ეს გარემოება დაჩრდილავს გლეხის თვალში საბჭოთა მიწის კანონმდებლობის ხასიათს და მიწის ნაციონალიზაციის ფაქტს. ამ მოვლენას განსაკუთრებით ადგილი ექნება საქართველოში, სადაც გლეხობა ასე ადვილად ვერ შეითვისებს ამ ინსტიტუტის დედა-აზრს, რადგანაც წარსულში ჩვენ არ გვქონია ამგვარი იურიდიული ინსტიტუტი. ასეთი პრინციპიალური მოსაზრება გვიკარნახებს ხელი ავიღოთ სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობაზე. არც პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებით შეიძლება მიზანშეწონილად ვცნოთ ზემოხსენებული ინსტიტუტის შემოღება, რადგან ის ფუნქციები, რომელთაც ამ საზოგადოებას აკისრებს ამხ. გენძეხაძე, ჩვენს სინამდვილეში ასრულებენ თემის საბჭოები. ცდება ამხ. გენძეხაძე, როცა ფიქრობს, რომ ასეთი საზოგადოება სოფლის მეურნეობის საკითხებში უფრო მეტ აქტივობას გამოიჩენს, ვიდრე საბჭოები, რომლებშიც ჩვეულებრივ შედიან სოფლის ყველაზე უფრო აქტიური ელემენტები. ჩვენ სოფლად არ გვყავს იმდენი ძალები, რომ ასეთ საზოგადოებებშიც იმუშაონ და საბჭოებშიაც. თუ ჩვენში თესვის ბრუნვა არ არის, ამას ხელს უშლის არა სადგილ-მამულო საზოგადოების მოუწყობლობა, არამედ ჩვენი მიწადსარგებლობის საერთო პირობები.

გარდა ამისა, ასეთი საზოგადოების მოწყობა გამოიწვევს ფუნქციების აღრევას მასსა და თემ-საბჭოს შორის. მაგალითად, რუსეთში საჭირო გახდა მთელ რიგ საკანონმდებლო აქტების გამოცემა მათ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. მეორე ღონისძიება, ამხ. გენძეხაძის მიერ დასახელებული—მიწების გათანაბრება სოფლად—წარმოადგენს ღონისძიებას არა მარტო მიწის შემოსავლიანობის გასადიდებლად, არამედ მთელი ჩვენი აგრარული რეფორმის საფუძვლიან გადასინჯვას. პირველ ყოვლისა საჭიროა გამოირკვეს, მივაღწევთ თუ არა ამ ღონისძიებებით მიწის გათანაბრებას. გენძეხაძე მოითხოვს მიწების გათანაბრებას არა რესპუბლიკის მაშტაბით, არამედ სოფლის ფარგლებში, თუ ჩვენ პერიოდული გადაყოფის პრინციპს მივიღებთ, ჩვენში, ე. ი. ინტენსიური კულტურის ქვეყანაში, სამი-ოთხი წლის შემდეგ, ეს გათანაბრება მაინც მოისპობა და ჩვენ ისევ გაუთანასწორებელ მიწადსარგებლობასთან გვექნება საქმე. ამ მეთოდით ჩვენ მივაღწევთ გათანაბრებას მხოლოდ ერთი სოფლის ფარგლებში, მაგრამ უთანასწორობა მაინც დარჩება სოფლებს შორის. ამგვარად მივიღებთ გეოგრაფიულ-სოციალურ დარაიონებას, ერთი სოფელი იქნება კულაკური, მეორე საშუალო, მესამე ღარიბი. არც ეკონომიური თვალსაზრისით არის მისაღები ამ ღონისძიების გატარება. ცალკე რაიონებში საშუალო შეძლების გლეხებს შეუმოკლებთ მიწებს, ხოლო ღარიბებს ვერაფერს შევმატებთ, მეურნეობა იმდენად დაწვრილმანდება, რომ ეკონომიური აღორძინების საშუალება მოესპობა მრავალ მიწიან რაიონებში ამ დეფექტს ადგილი არ ექნება, მაგრამ ასეთ რაიონებში ნორმის შემცირებითაც მივაღწევდით ასეთ გათანასწორებას.

ამხ. არუთიუნოვი

მიწადმოწყობა კომპლექსური მეთოდით, ე. ი. მიწადმომწყობის აგრონომის და მელიორატორის შეთანხმებული მუშაობა მოგვცემს უფრო მეტ ეფექტს, ვიდრე დღემდე გვქონდა ამ შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვენ მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის დღევანდელი ამოცანები. მიწადმოწყობა უნდა ჩატარდეს ისე, რომ იგი ხელს უწყობდეს საბჭოთა მეურნეობის აღორძინებას, მიწად მოსარგებლეების კოოპერატიულ გაერთიანებას, მათ კოლექტივიზაციას. დღემდე მიწადმოწყობა წარმოადგენდა მხოლოდ არსებული მიწის ნაჭრების რეგისტრაციას. ყველაზე ხელსაყრელი ფორმა მიწადმოწყობისა არის ჯგუფური მიწადმოწყობა და სწორედ ამ ჯგუფური მიწადმოწყობით უნდა მოვაწესრიგოთ ჩვენ მიწადსარგებლობის საკითხი. მომხსენებელი ამხ. გენძეხაძის ყველა არგუმენტები იქითკენ იყო მიმართული, რომ დაემტკიცებია ჩვენთვის სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობის აუცილებლობა. მაგრამ მისი არგუმენტები არ იყო დამარწმუნებელი. ეს საზოგადოებანი იქაც, სადაც ისინი დიდი ხანია არსებობენ, არ ასრულებენ იმ ფუნქციებს, რომელნიც მომხსენებელმა მათ დააკისრა. რუსეთში მათ ვერ შესძლეს მოსავლიანობის გადიდება, ვერ გაატარეს სოფლის აღორძინებისათვის საჭირო ღონისძიებები, ვერ შეაჩვიეს გლეხობა გაერთიანებულ მუშაობას. ისინი მხოლოდ ასრულებენ მიწის განმანაწილებელი ორგანოს მოვალეობას. საქართველოში ამის ტრადიციებიც არ არის. სადგილ-მამულო საზოგადოებათა მოწყობამ ჩვენ შეიძლება გვავნოს კიდეც იმ მხრივ, რომ ხელი შეუშალოს საბჭოების გამოცოცხლებას. რაც შეეხება მიწის გათანაბრებას, საჭიროა, რომ იგი დავაჩქაროთ, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე კულაკებს და შეძლებულ ელემენტებს გამოვგლიჯოთ მიწის საუკეთესო ნაჭრები და გადავცეთ ის ღარიბ გლეხობას.

ამხ. ბაგატუროვი

თუ განვიხილავთ კომპლექსურად და მიწადმოწყობის შედეგებს, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ დარგში არაფერი გაგვიკეთებია არც სოციალისტური მეურნეობის და არც ტექნიკური მიწადმოწყობის თვალსაზრისით. მიწის არსებულ ნორმები არ შეესაბამებიან ჩვენს ეკონომიურ რაიონებს.

საერთოდ, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოს წვრილ რაიონებად დაყოფა, ხოლო ამხ. გენძეხაძის მიერ წამოყენებულ ღონისძიებების გატარებისათვის საჭიროა საქართველოს სოფლის უკეთ შესწავლა. საერთოდ, მისი თვალსაზრისი მისაღებია.

ამხ. შარაშენიძე

სოფლების მიწების გათანაბრება აუცილებლად შეაფერხებს ჩვენი მეურნეობის ინტენსიფიკაციას. გორის მაზრაში გლეხი ხელს აიღებს ჭარხლის და სხვა ტექნიკურ კულტურების გაშენებაზე, თუ იგი მიწის მუდმივი პერიოდული გადაყოფის მოლოდინში იქნება. ნორმების შემცირებაც მიუღებელია, რადგან ეს გამოიწვევს ისედაც დაქუცმაცებულ მეურნეობის კიდევ მეტ დაქუცმაცებას, ერთად-ერთი გზა ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის არის კოლექტივიზაცია, ჩვენ აქეთკენ უნდა ავიღოთ გეზი და არა სადგ.-მამულო საზოგადოების მოწყობისაკენ.

ამხ. პსიტიძე

საზოგადოების მოწყობა და მიწების გათანაბრება ერთი მეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თუ საზოგადოება დაარსდება, მას უნდა მიეცეს მამულების გათანასწორების უფლება. საერთოდ ამ ღონისძიების გატარება ჩვენში ნაადრევია. ადგილობრივი გლეხობა მას ვერ შეეგუება. ყოველ შემთხვევაში სჯობს, ვიდრე კანონს გამოვსცემდეთ, ამის შესახებ საცდელად, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში გამოვყოთ რამოდენიმე სოფელი, მოვაწყოთ იქ საზოგადოებები და ჩავატაროთ ადგილების გათანაბრება. შემდეგ ვიმოქმედოთ ამ შედეგების მიხედვით, რომელთაც ამ სოფლებში მივიღებთ.

ამხ. მაილოვი

თუ ტექნიკური თვალსაზრისით მივუდგებით მიწათმოწყობას, გაცილებით უფრო ადვილია მისი გატარება გათანაბრების საფუძველზე. ვიდრე გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. გათანაბრება საგრძნობლად დააჩქარებს მიწათმოწყობის საქმეს, მაგრამ ტექნიკური პერსონალის გადიდება მაინც საჭიროა. დღემდე არავის უზრუნვია საქართველოში მიწათმოწყობის ტექნიკუმის დაარსებაზე, მისი მოწყობა მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა მიწათმოწყობა სოფლის მეურნეობის ერთ მთავარ საკითხად გადაიქცა. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აუცილებლად საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდეს მიწათმოწყობის ფაკულტეტი.

ამხ. სიხარულიძე

ამხ. გენძეხაძის თვალსაზრისი პრინციპიალურად სავსებით მისაღებია. მიწათმოწყობას ვერ დავსძრავთ მკვდარი წერტილიდან, თუ ისეთ რადიკალურ ღონისძიებას არ მივმართეთ, როგორიც არის მიწების სოფლობრივი გათანაბრება. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება მოვსპოთ მიწების დაქუცმაცება და სახნავ-სათესი ადილების სიშორე დასახლებული პუნქტებიდან. რა ნაყოფი უნდა გამოიღოს გლეხის შრომამ, როცა ხშირათ გლეხს პატარა ნაკვეთის დასამუშავებლათ 15 20 ვერსის გავლა უხდება? მიწების სოფლობრივი გათანაბრება პირველ ყოვლისა, უნდა გავატაროთ იქ, სადაც უფრო მეტია მიწების დაქუცმაცება. მიწათმოწყობის დაჩქარებისათვის საჭიროა სადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობა. საბჭოებს ვერ დავაკისრებთ იმ საქმეებს, რომელიც საზოგადოების ფუნქციას შეადგენს, რადგან საბჭოები ვერ გასწვდებიან ყველა იმ საკითხებს, რომელიც სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული.

ამხ. კუდრიავცევი

ზოგიერთი ამხანაგი ამტკიცებდა რომ საქართველოს გლეხობა გათანაბრების წინააღმდეგ გაილაშქრებსო, განსაკუთრებით მაშინ თუ ამ გათანაბრების შედეგათ სრული ნორმის მიღება არ მოჰყვება. ის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვაქვს, ამ აზრს აბათილებს. სამი მაზრის ბორჩალოს, ახალციხის და თბილისის ზოგიერთ რაიონებში ჩატარდა მიწების გათანაბრება რომლის შემდეგ გლეხებს არ ერგებოდათ სრული ნორმა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია უკმაყოფილება. პირიქით, იმ რაიონის გლეხები, სადაც ამ წესით მიწის მოწყობა არ მოესწრო, თხოულობდნენ მიწის მოწყობის დაჩქარებას. უფრო ძნელი იქნება სოფელთაშორისი მიწების გათანაბრება. რადგან ეს გამოიწვევს სოფლებს შორის შეხლა-შემოხლას. შემდეგ ორატორი საჭიროდ სთვლის ყურადღება მიექცეს უმაღლეს კვალიფიკაციის მიწადმოწყობის მომზადებას.

ამხ. წიფწივაძე

ამხ. ქურდაძის წინადადებით საჭიროა შემცირდეს მიწის ნორმები ჩაის კულტურის რაიონში, ეს ღონისძიება მიუღებელია, რადგან ეს კულტურა ეხლა იკიდებს ფეხს, მისგან ჯერ ჩვენს გლეხს მოგება არ უნახავს და თუ ეხლავე შევამცირებთ ნორმას ჩაის გაშენებაზე გლეხობას ხელს ავაღებინებთ. საერთოდ ნორმების შემცირება მისაღებია, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, რომ ამ ღონისძიებამ არ დავსცეთ სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობა. მიწადმოწყობის ფორმებს შორის საქართველოსთვის ყველაზე უფრო მისაღები ჯგუფური მიწადმოწყობაა.

ამხ. კოჭლაშვილი

მიწები უნდა ჩამოერთვას ყველა იმ პირებს რომელიც საკუთარი მუშა ხელით ვერ წვდება ადგილმამულს. საერთოდ, მიწის გადაყოფის დროს ისეთი გეზი უნდა იქნეს აღებული, რომ მიწა დიდათ არ დაქუცმაცდეს. სამოსახლო ადგილების ნორმების გამომუშავების დროს ერთი გარემოება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული: ბევრია ისეთი ოჯახი, რომელსაც მამაკაცი ან სრულებით არ ჰყავს, ან შინ არ არის, ასეთი ოჯახები ეწევიან მეფრინველეობას, რომლისათვის აუცილებელია ვრცელი ეზო. ასეთ ოჯახებს რასაკვირველია, უფრო მეტი სამოსახლო უნდა მიეცეს.

ამხ. შანიძე

შემცდარია ის აზრი, თითქოს სადგილმამულო საზოგადოებათა მოწყობა ხელს შეუწყობს გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლას. კოლექტივიზაციას აჩქარებს არა ესეთი ღონისძიება, არამედ ჯგუფური მიწადმოწყობა, ვინაიდან პატარა ჯგუფების გადასვლა უფრო ადვილია კოლექტივებზე, ვიდრე მთელი სოფლისა. მეორე მხრივ ასეთ საზოგადოებებს არ შეუძლიათ აწარმოონ აგროკულტურული მუშაობა და მექანიზაციის გატარება, რადგან მიწა ამ საზოგადოების არსებობის დროსაც ინდივიდუალურ სარგებლობის პრინციპზე რჩება.

მართალია, რომ დღემდე აგრონომებს მიწადმოწყობაში მონაწილეობა არ მიუღიათ მაგრამ ეს არის ჩვენი მიწის კოდექსის ბრალი, რადგან ის აგრონომებს ავალებდა მხოლოდ იმას, რომ დაეხარისხებია მიწა.

ამხ. ალავიძე

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოვსპოთ დღევანდელი დაქუცმაცებულ მიწადსარგებლობის ფორმა და მის ნაცვლად მოვაწყოთ გაერთიანებული მიწადსარგებლობა გათანაბრების საფუძველზე. ამისათვის კი აუცილებელია სადგილმამულო საზოგადოებათა მოწყობა. გათანაბრება უნდა მოხდეს არა ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით არამედ კომლობრივ, მაშინ ცხადია ადგილი არ ექნება იმ უთანასწორობას, რომელიც ამხ. გოგილაძეს წარმოუდგენია.

ამხ. მზარეულოვი

არ შეიძლება რუსეთის მიწადმოწყობა შევადაროთ საქართველოს მიწადმოწყობას. რუსეთში ჩვენ საქმე გვაქვს ერთნაირი ნიადაგისა და ჰავის მქონე მიწების უზარმაზარ სივრცეებთან, საქართველოში კი მრავალფეროვანი რელიეფია, მიწის ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა გვარი პირობებია, რაც მეტად ართულებს მიწადმოწყობის საქმეს. საქართველოში ჩვენ გვაქვს რაიონები სადაც გათანაბრება კარგ შედეგს მოგვცემს, მაგრამ ამავე დროს არის რაიონები, სადაც გათანაბრება სახიფათოა. მაგ. სამხრეთ ოსეთში ზოგიერთ სოფლებში ასეთი გათანაბრების დროს ერთ დესეტინაზე მეტ მიწის ნაკვეთს ვერ მივიღებთ თვითეულ კომლზე. რაიმე კულტურულ ღონისძიების გატარების შესახებ ასეთ პატარა ნაკვეთზე ლაპარაკიც მეტია.

აქ მიწადმოწყობის საკითხს შეხედეს სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით, მაგრამ არავის დაუძრავს კრინტი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის არა მარტო მიწების, არამედ გზების მოწყობასაც. ჩვენი გლეხი არ შეეცდება ახწიოს თავის მეურნეობის საქონლიანობა თუ მას საშუალება არ ექნება გაიტანოს თავისი პროდუქტები ბაზარზე.

ამხ. ასათიანი

გათანაბრებაზე უფრო მიზანშეწონილი ღონისძიებაა ნორმების კოეფიციენტის გადასინჯვა. ზოგიერთ რაიონში, სადაც ცუდი ბუნებრივი პირობებია, ნორმის კოეფიციენტი დაბალია და, პირიქით, ბევრგან ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია, ხოლო კოეფიციენტი მაღალი. ნორმების შეცვლა უნდა ემყარებოდეს ჩვენს რაიონების ეკონომიურ შესწავლას. სადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობა აუცილებელია იმ ღონისძიების გატარებისათვის, რომელსაც საჭიროებს ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია.

ამხ. მაჭავარია

სამიწადმოწყობო მუშაობაში იყო პერიოდი როცა ნაჭრობრივი მიწადმოწყობა აუცილებელი იყო. მემამულეებიდან ჩამორთმეულ მიწის ნაჭრების გლეხის მეურნეობაზე მიზომვით ჩვენ გლეხს მივეცით ერთგვარი თამასუქი, რომ ეს მიწა მის სარგებლობაში გადადის რომ მას შეუძლია მასზე კულტურული მეურნეობის გაშენება. ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. გლეხმა აღადგინა თავის მეურნეობა. დღეს ჩვენთვის მიწადმოწყობის ეს ფორმა მიუღებელია, რადგან წვრილნაჭრიანობა და ხარეზობა აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას კოლექტივიზაციის გზით. ბევრგან გლეხებს უკვე შეგნებული აქვთ ადგილების გაერთიანების მნიშვნელობა. მისი აუცილებლობა. არის ადგილები, სადაც გლეხები გვეუბნებიან—მოგვეცით ადგილების გაერთიანების საშუალებაო. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა განვახორციელოთ გლეხობის სურვილი.

ამხ. ს. ჟულელი.

მიწადმოწყობის საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლით დაგროვდა ძალიან საყურადღებო მასალა, რომელიც აუცილებლად დიდ სამსახურს გაუწევს იმ პირებს, რომელთაც ჩვენი ახალი მიწის კოდექსის შემუშავება აქვთ მინდობილი. ამხ. გენძეხაძემ აქ წამოაყენა რამოდენიმე პრინციპიალური დებულება. ერთი მათგანი შეეხება მიწადმოწყობის ფორმას, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგები სთვლიდნენ მიუღებლათ, ან ნაწილობრივ მიუღებლათ. ამხანაგებს უნდა გამოერკვია, მისაღებია ჩვენთვის თუ არა ამხ. გენძეხაძის დებულება, როგორც მიწადმოწყობის მთლიანი სისტემა, თუ იგი მისაღებია, მისაღები უნდა იქნას მთლიანად მთელი საქართველოსთვის და არა ცალკე რაიონებისათვის. ჩემი აზრით, ჩვენი მიწადმოწყობის სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ მომზადდეს ნიადაგი სოფლის მეურნეობის გადასაყვანად სოციალისტურ საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას. ასეთ სისტემას წარმოადგენს ამხ. გენძეხაძის მიწადმოწყობის პროექტი, რომლის განხორციელება შესაძლებელია ჩვენს პირობებში. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩვენ იგი გადავტაროთ ერთი ხელის დაკვრით, სხვადასხვა რაიონების მდგომარეობის შეუსწავლელად. მიწის გათანაბრება შესაძლებელია ყველგან, გარდა რამოდენიმე მთიან ადგილებისა თუ გათანაბრება პრინციპიალურად მისაღები იქნება პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება შეიძლება მიენდოს კომისიას, რომელიც გამოიმუშავებს სათანადო ინსტრუქციას.

მეორე პრინციპიალური დებულება არის სადგილმამულო საზოგადოებათა მოწყობა სოფლად. ეს დებულებაც ჩვენთვის სავსებით მისაღებია. ჩვენს გლეხობას რომ ასეთი ორგანიზაცია სჭირია, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გლეხები დღეს სხვადასხვა რჩევის, დარიგების და დახმარების მისაღებად მიმართავენ არა მარტო სამაზრო, არამედ ცენტრალურ ორგანიზაციებს. გლეხს საშუალება უნდა მივსცეთ თვითვე ადგილობრივ მოაწყოს ისეთი ინსტიტუტი რომელიც მოაწესრიგებს მთელი სოფლის გლეხობის საერთო საჭირბოროტო საკითხებს მეურნეობის წარმოების დარგში. ამბობენ, რომ ასეთი ინსტიტუტს სოფლად წარმოადგენს საბჭოს სას. სამ. სექცია. სექცია იმდენად დატვირთულია სხვადასხვა საკითხებით რომ მას საშუალება არა აქვს ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიოს თვითეულ გლეხს ცალ-ცალკე. მეორე მხრივ ასეთი საზოგადოების მოწყობა განტვირთავს საბჭოს მრავალი ისეთი საქმეებისაგან, რომლებიც გლეხობის თვითმოქმედებით და ინიციატივით უნდა კეთდებოდეს. აუცილებლად უნდა მოეწყოს სადგილმამულო საზოგადოება რომელიც ყველა ორგანიზაციებზე უფრო მეტათ აამოქმედებს გლეხობას, რადგან იგი ყველაზე უფრო ახლო იქნება გლეხობის ისეთ საჭირბოროტო საკითხებთან როგორიც არის მეურნეობის წარმოება, მიწის შემოსავლიანობის გადიდება და სხვა.

სავსებით მიზანშეწონილია აგრეთვე ამხ. გენძეხაძის წინადადება მიწადმოწყობის კომპლექსიური მეთოდით წარმოების შესახებ ე. ი. წინადადება მიწადმოწყობის, მიწადმომწყობის აგრონომის მელიორატორის, ბეითალის გაერთიანებული ძალებით და შეთანხმებული მუშაობით ჩატარების შესახებ, რადგან დღევანდელი ამოცანების თვალსაზრისით მიწადმოწყობა არის არა მარტო ტექნიკური ღონისძიება არამედ სათანადო პირობების შექმნა სხვადასხვა კულტურების შემოღების და განვითარებისათვის.

ამხ. ქურდაძე

ამ კამათმა, ამბობს ქურდაძე, კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ ჩვენი მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ წინასწარ პირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური შესწავლა და ამ შესწავლის საფუძველზე მისი ეკონომიურ რაიონებად დაყოფა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პირობების უცოდინარობა აბრკოლებს როგორც მიწადმოწყობას ისე კოლმეურნეობათა მშენებლობას ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ჩვენ არა გვაქვს სისწორით გამომუშავებული ნორმები ამა თუ იმ რაიონის მიწადსარგებლობისათვის ჩვენი სასოფლო მეურნეობის პირველ ამოცანად კი სწორედ ამ ნორმების მოწესრიგება უნდა ჩაითვალოს პირველ რიგში ჩვენ უნდა შევამციროთ ნორმები რადგან გათანაბრება კიდეც რომ გახდეს მისაღები, ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ნორმების გამომუშავებას და მის მიხედვით მიწების გადაყოფას უნდა შევუდგეთ დიდი სიფრთხილით და მდგომარეობის აწონდაწონვით. ვიმეორებ, ამ ღონისძიების ერთ საღები არ არის. ერთი მიზანი—[illegible] რებელ მოჯამაგირეებს და უმიწაწყლო გლეხებს, რომელნიც საკმაოზე მეტი მიწის მქონე კულაკების ექსპლოატაციას განიცდიან. ჩამორთმეული მიწების დარიგების დროს მტკიცედ უნდა იქნეს დაცული კლასიური თვალსაზრისი. მიწები უნდა გადაეცეს აუცილებლად ღარიბ გლეხობას პირველ რიგში ან იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც მიწების ნაკლებობის გამო მუშაობა ვერ გაუფართოვებიათ.

რაც შეეხება სადგილ-მამულო საზოგადოების მოწყობას მე იგი აუცილებლად არ მიმაჩნია, სოფლის ყველა აქტიური ელემენტი საბჭოს გარშემო იყრის თავს. ჩვენი სოფელი არც ისე მდიდარია აქტიური ძალებით, რომ საბჭოსაც გაუძღვეს და ასეთ საზოგადოებასაც ხელმძღვანელობს. პარალელური ორგანიზაციის შექმნა მხოლოდ ძალების მიზანშეუწონელი დაქუცმაცება იქნება. საქართველოში 440 თემსაბჭო გვაქვს. ჩვენ მათთვის ვერ გამოგვიძებნია ხელმძღვანელები მით უმეტეს ჩვენ ვერ შევსძლებთ ხელმძღვანელების გამოძებნას 4 ათასი სადგილმამულო საზოგადოებისათვის. არც გათანაბრების პრინციპი და არც სადგილმამულო საზოგადოება ჩვენთვის მისაღები არ არის.

ამხ. გენძეხაძის საბოლოო სიტყვა

თათბირის ყურადღება სამმა საკითხმა მიიპყრო, ესაა: 1) ნორმის გადასინჯვის საკითხი 2) მიწადმოწყობა გათანაბრების საფუძველზე, 3) სადგილმამულო საზოგადოებათა მოწყობა. მე არ მითქვამს, თითქოს საჭიროა ნორმის შემცირება. მე ვსთქვი, რომ ის ნორმები რომლებიც მიწის კოდექსით არის გათვალისწინებული, მეტად ზოგადი არიან და არ შეესაბამებიან მიკრორაიონებს. ამიტომ მიწადმოწყობის პროცესში მიწების შემდგომი გადაყოფის დროს საჭიროა თვითეულ ცალკე რაიონში გამოირკვეს რაიონის ეკონომიურ-სამეურნეო პირობები და ამის მიხედვით გადასინჯოს ნორმა, მიწადმოწყობის და ასეთ წესის ჩატარების დროს შეიძლება აღმოჩნდეს რომ ნორმა სავსებით შეესაბამება მეურნეობის სისტემას და არავითარ შეცვლას არ საჭიროებს. მაგრამ არის რაიონები, რომლებსათვისაც ნორმები ეხლავე შეიძლება შემცირდეს, დანარჩენ რაიონებში კი უნდა მოხდეს ამ ნორმების გადასინჯვა რაიონების სათანადო პირობების შესწავლის შემდეგ.

რაც შეეხება სადგილმამულო საზოგადოების მოწყობას მის წინააღმდეგ გამოსულ არც ერთი ორატორის საბუთი დამარწმუნებელი არ არის. ნაჭრობრივი მიწადმფლობელობა სრულიად არ ეწინააღმდეგება სადგილმამულო საზოგადოების არსებობას, რასაც ბელორუსიის მაგალითი ამტკიცებს თვით ასეთი ნაჭრობრივი მიწადსარგებლობის დროს სოფელს აქვს მიწების ისეთი კატეგორიები, რომელიც კოლექტიურ მეპატრონეს მოითხოვს. ასეთია, მაგ. საძალახოები. ამხანაგებმა აღნიშნეს: გარე-კახეთში ქარს მიაქვს მოსავალი, რადგან ნათესები დაცული არ არის ხეებით. ცალკე გლეხის მეურნეობას არ შეუძლია რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე გააშენოს ტყე ქარისაგან დასაცავად ეს კი ადვილად შეუძლია მთელ საზოგადოებას, გარდა ამისა, სოფლად ბევრია გამოუდეგარი დაჭაობიანებული ადგილები. არც ერთ მეურნეს ძალა არ შესწევს მის ამოსაშრობად, ამას ადვილად შესძლებს მთელი საზოგადოება. სწორედ მრავალი ასეთი საერთო მნიშვნელობის საკითხის რომელთა მოუწესრიგებლობა დიდ ზარალს აყენებს ყველა ცალკე მეურნეობას. სწორედ ასეთ საკითხების მოსაწესრიგებლად არის მოწოდებული სადგილმამულო საზოგადოებები. სათემო საბჭოებს შეუძლიათ გამოსცენ დადგენილებები ამა თუ იმ საკითხის მოსაწესრიგებლად, მაგრამ თუ გლეხობის შეგნება სათანადოთ მომზადებული არ არის, დადგენილება ქაღალდზე დარჩება, სადგილმამულო საზოგადოება თავის საკუთარი ინიციატივით კიდეც შეადგენს და კიდეც გაატარებს ცხოვრებაში ასეთ დადგენილებებს. რასაკვირველია, პარალელიზმს მუშაობაში ადგილი არ ექნება. პირიქით ასეთი საზოგადოების არსებობა კიდევ უფრო გამოაცოცხლებს საბჭოების მუშაობას.

ორატორების მიერ წარმოდგენილმა ცნობებმა კიდევ უფრო მეტი საფუძველი მომცეს, რომ ვამტკიცო მიწების გათანაბრების მიზანშეწონილობა საქართველოში. შორაპნის მაზრის წარმომადგენელმა გვაცნობა რომ ამ მაზრაში ერთ გლეხს ჰექტარნახევარი მიწა 83 ნაჭრათ ჰქონია დანაწილებული. შეიძლება ამ გლეხმა აინაზღაუროს თავის შრომა, ასეთ დაქუცმაცებულ მიწის ნაჭრებზე? ან რა აზრი აქვს მიწადმოწყობას ასეთი წვრილი ნაჭრების მისამაგრებლად მეურნეობებზე? ეს იქნება დროის, ენერგიისა და ფულის ფლანგვა. აუცილებელია ასეთი ნაჭრების გაერთიანება, რაც მოუხერხებელია მიწების გათანაბრების გარეშე. მიწების გათანაბრება არ ნიშნავს გაერთიანებულ მიწათსარგებლობას. მიწადსარგებლობის ფორმის არჩევა თვით გლეხობას უნდა მივანდოთ. გათანაბრების საწინააღმდეგო არგუმენტად მოწინააღმდეგებს მოჰყავთ ის მოსაზრება, რომ გლეხი არ გააშენებს ძვირფას კულტურებსო. ჩვენ ვიცით, რომ გლეხი კულტურებს აშენებდა „ობშჩინის" არსებობის დროსაც. გარდა ამისა, სხვა რესპუბლიკების მაგალითიც გვიჩვენებს, რომ სათემო მიწადმფლობელობის დროს ადგილი აქვს ძვირფას კულტურების ფართობის გადიდებას, რადგან გათანაბრება არ ვრცელდება არც არსებულ კულტურულ ნაჭრებზე. და არც იმაზე, რომელიც შემდეგში გაშენდება. მიწების გათანაბრება არ შეამცირებს არც კულტურების გაფართოებას და არც სასოფლო მეურნეობის საქონლიანობას, როგორც ეს აქვს წარმოდგენილი ამხ. ელიავას.

ჩემი საბოლოო აზრი ასეთია: რადიკალური მიწადმოწყობა აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს მიწების გადაყოფას და გათანაბრებას. ჩვენ ეს უნდა მივიღოთ როგორც პრინციპი და შემდეგ თანდათანობით გავატაროთ ცხოვრებაში. თუ აღმოჩნდება ისეთი სოფლები, სადაც ზოგიერთ კომლს ნორმაზე მეტი მიწა აღმოაჩნდება ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევა უნდა გაგრძელდეს.

აგრონომების და მიწადმომწყობების სიმცირის გამო რეფორმის გატარების დროს უნდა დაწესდეს ერთგვარი რიგი, თუ მრავალმიწიან რაიონებში ამ რეფორმების გატარების შემდეგ ჩვენ მივიღებთ თავისუფალ ფონდს, რომელიც შეგვეძლება გამოვიყენოთ, როგორც საბჭოთა მეურნეობისათვის, ისე კოლმეურნეობებისათვის. იმ რაიონებში, სადაც გათანაბრება შეამცირებს მიწადსარგებლობის ნორმას, ეს ღონისძიება უნდა დაუკავშირდეს გლეხების გადასახლებას. ასეთი რაიონებიდან ნაწილი გლეხობისა შეიძლება გადასახლებული იქნეს მრავალმიწიან რაიონებში.

ეს არ არის თეორეტიული მსჯელობის ნაყოფი, ეს ღონისძიება ტარდება ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში სადაც მიწადსარგებლობა ძალიან წააგავს საქართველოს მიწადსარგებლობას. იქ ეს სისტემა უკვე მიღებულია და ტარდება.

მართალია, ამის გატარება ძნელი საქმეა, მაგრამ ამის გარეშე ჩვენ ვერ გავთავისუფლდებით იმ დაბრკოლებებისაგან რომელნიც აფერხებენ სასოფლო მეურნეობის განვითარებას (ტაში).

მეხუთე დღე

კამათი საგაზაფხულო თესვის კამპანიის საკითხების გარშემო

თათბირის მეხუთე დღეს—31 იანვარს, ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების (სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება) და ამხ. ჟულელის მოხსენების (საგაზაფხულო თესვის კამპანია) გარშემო დაიწყო გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

პირველი საკითხი, რომელიც ორატორებმა დაუკავშირეს სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებას არის საქართველოს რაიონების ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა და მისი სამეურნეო დარაიონება.

მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება, მინერალური სასუქების გამოყენება, თესლის ხარისხი და მუშა საქონლის მიწოდების საკითხი მოითხოვენ ცალკე რაიონების მეურნეობის ხასიათის ნიადაგის და ჰავის პირობების გამორკვევას.

ამჟამად ხშირია შემთხვევები, როცა ადგილებზე იგზავნება ისეთი თესლი, რომელიც იქ გამოუდეგარია. იგივე ხდება იარაღ-მანქანების მიწოდების დროს. ბევრგან ტრაქტორი და გუთანი გამოუყენებელია რადგან ვერ ეგუება ადგილობრივი ნიადაგის პირობებს. არც ის არის შესწავლილი, თუ რომელ რაიონში როგორი სასუქია საჭირო. ეს გარემოება გადაუდებელ ამოცანად ხდის საქართველოს პირობების შესწავლას და მის დარაიონებას.

ზოგიერთ ორატორს მიზანშეწონილად მიაჩნია რომ ის თანხა, რომელიც თესლის შესაძენად არის გადადებული, მოხმარდეს ამ გამოკვლევას, რადგან თესლის შეძენა ახლა უკვე დაგვიანებულია და არც თანხაა საკმაო თესლის შესაძენად. ორატორები ერთხმად მოითხოვენ რომ ბოლო მოეღოს თესლის დამზადების შემთხვევით ხასიათს, აუცილებლად უნდა შეიქმნას თესლის ფონდი არა მარტო რესპუბლიკის მაშტაბით, არამედ თვითეულ სოფლის მიხედვით. ორატორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მთავრობის მიერ თანხის გადება ასეთი ფონდის შესაქმნელად. საჭიროა გლეხკომებმა ითაონ ხორბლეულის შეგროვება ამ ფონდის შესაქმნელად. თითქმის ყველა ორატორი მიზანშეწონილად სთვლის თესლის ნაცვლად გლეხებში ფულის დარიგებას. (მხოლოდ სვანეთის წარმომადგენელს მიაჩნია ეს წინადადება მისაღებად). მუშა საქონლის სიმცირეს აღნიშნავენ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებში მომუშავე აგრონომები. მათი გადმოცემით, ზოგიერთ ადგილებში საკვების უქონლობის გამო, საქონელს მოელის ან ამოხოცა, ან ჩალის ფასად გაყიდვა. რადგან საქონლის შეძენა არ ხერხდება, ზოგიერთების აზრით; ამ საქმისათვის გადადებული თანხის ნაწილით უმჯობესი იქნება შეძენილ იქნეს საკვები, რომელიც უნდა დაეგზავნოს დეფიციტიან რაიონებს. თათბირის მონაწილენი სავსებით იწონებენ მთავრობის მიერ მუშა საქონლის გამრავლების მიზნით საცდელი ფერმის მოწყობას და აგრეთვე საკვები ბალახის თესვის შემოღებას.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით უზრუნველყოფას, ორატორები საჭიროდ სცნობენ გამოსწორდეს წინად დაშვებული შეცდომები: დროზე ადგილებს დაეგზავნოს გამოსადეგი იარაღები და საწვავი მასალა საკმაო რაოდენობით, აუცილებელია აგრეთვე ადგილებში მიიღონ ზომები მანქანების სრული დატვირთვისათვის. ხშირია შემთხვევები, რომ ტრიერი გაუწმენდავს სტოვებს მთელი რაიონის გლეხთა თესლს. ყოველმა ტრიერმა უნდა გასწმინდოს მინიმუმ ხუთი ათასი ფუთი. ბევრგან დაუტვირთავია აგრეთვე ტრაქტორები, რომლებიც არ ხნავენ მიწის იმ რაოდენობით, რომლის ხვნა მათ შეუძლიათ. მანქანების გამოუყენებლობის მიზეზი ბევრგან მათი ხშირი მოშლაა, რაც მოხმარების უცოდინარობის შედეგია. ამ მოვლენის აღსაკვეთად საჭიროა მომზადდეს კვალიფიცირებული მუშა ხელი ერთი მხრივ და მეორე მხრივ გაფართოვდეს სარემონტო სახელოსნოების ქსელი და მოეწყოს მოძრავი სახელოსნოები.

ორატორები აღნიშნავდენ ცენტრალურ დაწესებულებების სუსტ ხელმძღვანელობას და მათ მიერ ხშირად დაპირების შეუსრულებლობას. ადგილები თავის მუშაობას უფარდებდენ იმ გეგმებს და დაპირებებს, რომლებსაც ცენტრალური დაწესებულებები იძლევიან. მაგრამ ეს დაპირებები ხშირად ქაღალდზე რჩება და მთელი მუშაობა ფუჭად იკარგება, რაც სცემს სამაზრო ორგანოების ავტორიტეტს მასაში. ზოგიერთი ამხანაგი საჭიროდ სთვლის, რომ საქართველო დაიყოს რაიონებად იმის და მიხედვით, თუ სად როგორი თესვის კამპანიის ჩატარებაა საჭირო: არის რაიონები, სადაც მისდევენ მხოლოდ საშემოდგომო პურეულის თესვას. არის ისეთი რაიონებიც, სადაც მხოლოდ საგაზაფხულო თესვას მისდევენ, ასეთი დაყოფით შეიძლება უფრო მეტი ნაყოფიერი შედეგების მიღება, რადგან შრომის განაწილება (დროის მიხედვით) ორგანიზაციებს უკეთესი მომზადების საშუალებას მისცემს. ზოგიერთებს დაუშვებლად მიაჩნიათ ერთგვარი ტრაფარეტი ყველა რაიონებისათვის. საგაზაფხულო კამპანია არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ პურეული მცენარეულობის დათესვით, იგი უნდა შეეხოს აგრეთვე კარტოფილის, ბალახეულობის და სხვა რენტაბელური მცენარეულობის თესვასაც. მაგ. ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში და სვანეთში დიდ მოსავალს იძლევა კარტოფილი. ამ კულტურის მოსავლიანობის გასაძლიერებლად არა თუ მიღებულია წამახალისებელი ზომები, არამედ გადიდებულია სას. სამ. გადასახადი, რის გამოც გლეხობა ამცირებს კარტოფილის თესვას.

ორატორების აზრით თესვის კამპანიის დროს საკმაო ყურადღება არ ექცევა ძვირფას კულტურებს, რომლებიც ჩვენი გლეხის ბიუჯეტში უკვე მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. საჭიროა, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმაში ამ კულტურების დახმარება თესვის კამპანიის დროს გადიდდეს მათი ხვედრითი წონასთან შეფარდებით.

ორატორები ხაზს უსვამენ აგრეთვე მიწადმოწყობის დაჩქარების საჭიროებას განსაკუთრებით კოლმეურნეობებში და მაღალი კულტურის რაიონებში.

ეხებიან რა წყალთა მეურნეობის სამმართველოს უმოქმედობას, თათბირის მონაწილენი საჭიროდ სცნობენ, რათა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოეწყოს სამელიორაციო განყოფილება, რომელიც მიზნად დაისახავს ჭაობიან ადგილების ამოშრობას, ადგილობრივი სარწყავ არხების გაყვანას და ამავე დროს ხელმძღვანელობასაც გაუწევს სოფლად არსებულ მელიორატიულ ამხ-ებს.

კამათის დასასრულს საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა მომხსენებელმა ამხ. **ჟულელმა,** რომელმაც მოუწოდა ადგილობრივ მუშაკებს, რომ ენერგიული მუშაობით, ყველა ორგანიზაციის მუშაკთა ძალების გაერთიანებით, საზოგადოებრივი აზრის გაცხოველებით საგაზაფხულო თესვის კამპანიის გარშემო, შექმნან ისეთი პირობები, რომ კამპანიამ, მიუხედავად განსაზღვრული რესურსებისა, გამოიღოს მაქსიმალური ნაყოფი.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს ორატორების მიერ დასახულ ღონისძიებათა გატარებას თესვის კამპანიის წარმატებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ამით დამთავრდა თათბირის უკანასკნელი სხდომა.

საბჭოების არჩევნები

საარჩევნო კრება, საბჭოების შემადგენლობის ჩამოყალიბება

ყველა მაზრაში უკვე დამთავრდა საბჭოების საანგარიშო კამპანია. თებერვლის 1-დან იწყება თვით არჩევნები.

განსაკუთრებით საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ საარჩევნო კრებებს დაესწროს ყველა მოქალაქე, ვინც საარჩევნო უფლებით სარგებლობს, ამ მიზნით კერძოდ საჭიროა, რათა საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს ეცნობოს სახელობითი უწყებების გაგზავნით ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე (საარჩევნო ინსტრუქციის მუხ. 44). ამომრჩევლებისათვის უწყებების დაგზავნა ჩვენში ნაცადი საშუალებაა, რამაც საბჭოთა ორი უკანასკნელი არჩევნების დროს ხელი შეუწყო ამომრჩეველთა აქტივობის გაძლიერებას, მუშა და გლეხი ხალისიანათ ეხმაურებოდა წერილობით მოწვევას, რაც მათთვის იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ მათ ეკითხებიან სახელმწიფოებრივ საქმეებს, რომ ისინი თვითონ არიან ხელისუფლების თანამოზიარენი. უწყებების სისტემამ საბჭოთა არჩევნებში თავისი დანიშნულება გაამართლა და ის მომავალშიაც უნდა იქნას გამოყენებული. დამსწრეთა რიცხვის გასადიდებლად აგრეთვე მნიშვნელოვანია საარჩევნო კრების მოწვევა შესაფერ დროს და მოხერხებულ ადგილას. ჩვენი ხაზი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არჩევნებში მონაწილეობის მხრივ მუშათა კლასის, მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის აქტივობა წინ უსწრებდეს ამომრჩეველთა ყველა სხვა ჯგუფების აქტივობას, რომ აგრეთვე გაძლიერებული იქნეს მშრომელ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში.

ამ მხრივ, 1927 წლის საბჭოთა არჩევნების შედეგი, 1926 წელთან შედარებით, იძლევა შემდეგ სურათს:

ქალაქებში, სადაც მოწყობილია საქალაქო საბჭო:

	1927 წ.	1926 წ.
ამომრჩეველთა საერთო აქტივობა	54,4	54,0
ქალთა აქტივობა (არჩევნების მონაწილეთა მიმართ)	36,5	34,5

პროფკავშირებში შეკავშირებულ და შეუკავშირებელ ამომრჩეველთა აქტივობა ამავე ტიპის ქალაქებში ასეთია (სათანადო ცნობები დამუშავებულ იქნა მხოლოდ 1927 წლის არჩევნების შესახებ):

	მამა-კაცი	ქალი	სულ
შეუკავშირებელი ამომრჩევლები (მუშა-მოსამსახურენი)	67,2	56,7	63,1
შეკავშირებული (მუშა-მოსამსახ.)	46,7	45,8	46,3

თემებში და იმ ქალაქებში, სადაც მოწყობილია სათემო საბჭო:

	1927 წ.	1926 წ.
ამომრჩეველთა საერთო აქტივობა	52,3	51,1
ქალთა აქტივობა	36,5	34,5

ამავე (1927) წლის ამომრჩეველთა აქტივობა სოციალურ ნიშნის მიხედვით ასეთი იყო:

გლეხნი	51,8
მოჯამაგირე	56,1
საწარმ. მუშები	57,2
მასწავლებლები, ექიმები და აგრონომები	63,3
დანარჩ. მოსამსახურენი	52,3

ამ ცნობებიდან ვხედავთ, რომ: ა) როგორც ქალაქებში, ისე თემებში ქალების აქტივობა ჯერ კიდევ ჩამორჩება მამა-კაცების აქტივობას; ბ) ჯერ კიდევ მცირეა შეუკავშირებელი ამომრჩევლების აქტივობა (ქალაქებში) გ) არ არის საკმარისი თემებში ყველაზე მასიური ამომრჩევლების—გლეხების აქტივობა; დ) გაცილებით უფრო დიდი უნდა იყოს მოჯამაგირეთა აქტივობა და სხვ. ყველა ამ გარემოებას ეხლანდელ არჩევნების დროს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

საარჩევნო კრების განსახილველად უნდა დაისვას მხოლოდ ორი საკითხი: 1. საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 2. განაწესების დამტკიცება. კიდევ სხვა საკითხების დასმით დღის წესრიგის დამძიმება მიზანშეწონილი არაა, ვინაიდან ეს მოადუნებს ამომრჩეველთა ყურადღებას თვით არჩევნებისადმი და გააჭიანურებს კრებას, კრება უნდა ჩატარდეს კანონით გათვალისწინებული წესების მტკიცედ დაცვით; ეს წესები კრების გახსნისთანავე უნდა ეცნობოს ამომრჩევლებს.

ძირითადი საკითხი მთელ საარჩევნო კამპანიაში არის კანდიდატების შერჩევა საბჭოებისათვის, მომავალი საბჭოების ნაყოფიერი მუშაობა, ამ მუშაობაში სწორი კლასობრივი ხაზის გატარება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხეთ ღირსეული სადეპუტატო კანდიდატების შერჩევა.

საქალაქო საბჭოებში ხელმძღვანელ როლს უნდა თამაშობდეს მუშათა კლასი და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებულ უნდა იქნან უმთავრესად დაზგის მუშები. საქალაქო საბჭოებში შედიოდა:

	1927 წ.	1926 წ.
მუშა	36,5	20,8
დაწინ. მუშები	6,3	ცნ. არ არის
მოსამსახურე	35,0	49,2
დანარჩენი	22,2	30,0

როგორც ვხედავთ, მუშური სექტორი 1927 წლის საბჭოებში საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.

თემსაბჭოებში უნდა განმტკიცდეს მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის პოზიციები, აგრეთვე საკმაო რაოდენობით წარმოდგენილი უნდა იქნენ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული და საზოგადოებრივად აქტიური საშუალო გლეხები. თემსაბჭოს პრეზიდიუმებში და სარევიზიო კომისიებში ხელმძღვანელობა უნდა მოიპოვოს ღარიბ გლეხობამ, აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქნას მოჯამაგირეთა დაწინაურება თემსაბჭოების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე.

უკანასკნელ წლების თემსაბჭოების და თემაღმასკომების სოციალური შემადგენლობა ასეთია:

სოციალური ჯგუფები	თემსაბჭოები		თემაღმასკომები	
	1927 წ.	1926 წ.	1927 წ.	1926 წ.
გლეხი	74,6	77,8	70,0	65,5
მოჯამაგირე	2,5	0,1	0,5	—
მუშა	2,9	2,2	2,7	2,6
მასწ., ექიმი, აგრონომი	5,9	6,3	—	—
დანარჩ. მოსამსახ.	11,3	11,5	24,6	31,1
სხვა ჯგუფები	2,8	2,1	2,2	0,8

გლეხებიდან თემსაბჭოებში შედიოდა:

	1927 წ.	1926 წ.
ღარიბი	57,7	49,8
საშუალო	39,2	46,7
შეძლებული	3,1	3,5

ამ ცნობების მიხედვით ვხედავთ თემსაბჭოებში მოჯამაგირეთა მონაწილეობის არა საკმაო ზრდას, საერთოდ გლეხობის მონაწილეობის რამოდენიმედ დაკლებას, თუმცა ამავე დროს დიდია ღარიბი გლეხობის მონაწილეობა და სხვ.

უნდა გავაძლიეროთ მუშა, მოჯამაგირე და გლეხ-ქალთა მონაწილეობა საბჭოებში და მათ აღმასრულებელ ორგანოებში; ამ მხრივ უნდა მივსდიოთ იმ გეზს, რომ ქალთა წარმომადგენლობა საბჭოში თანდათანობით გაუთანაბრდეს მათ წარმომადგენლობას საბჭოს საარჩევნო კრებებზე, ე. ი. არჩევნებში ქალთა მიერ გამომჟღავნებული აქტივობა უნდა განმტკიცდეს მათი დაწინაურებით საბჭოებში ეხლანდელ არჩევნებში ამოცანად უნდა დავისახოთ მუშა, მოჯამაგირე და ღარიბ გლეხ-ქალთა შემდგომი დაწინაურება ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებში: საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად, განყოფილებათა გამგეებად, ხოლო სოფლად—საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად, თემის სარევიზიო კომისიის წევრებად და თემსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. თვითეული მაზრის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა აუცილებლად უნდა მოახერხონ, რომ მაზრაში რამოდენიმე თემსაბჭოს თავმჯდომარედ გაყვანილ იქნან აქტიური, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ქალები.

აქვე მოგვყავს ცნობები ქალთა მონაწილეობის შესახებ უკანასკნელ წლების საარჩევნო კრებებზე, საბჭოებში და თემსაბჭოს პრეზიდიუმში.

	1925 წ.	1926 წ.	1227 წ.
საარჩევნო კრებაზე	20,9	31,6	36,4
თემსაბჭოებში	8,0	8,4	8,7
საქ. საბჭოებში	11,5	10,3	10,2
სულ საბჭოებში	8,4	8,6	9,5
საბჭოს პრეზ.	1,4	1,8	2,2

როგორც ვხედავთ, ქალთა მონაწილეობა საარჩევნო კრებებზე შეუწყვეტლივ მატულობს, ამავე დროს მათი მონაწილეობა თემსაბჭოებში და მით უფრო თემსაბჭოს პრეზიდიუმში მეტად მცირეა, ან განიცდის უმნიშვნელო მატებას, ხოლო ზოგან (საქალაქო საბჭოებში) კიდევაც კლებულობს, ასეთი მდგომარეობა ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიცვალოს საბჭოებში და მათი პრეზიდიუმებში ქალების მონაწილეობის გაძლიერებით

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების სწორად ჩამოყალიბებას ნაციონალური ნიშნის მიხედვით. ამომრჩეველ მოსახლეობაში არსებულმა ნაციონალურმა შეფარდებამ სრული გამოხატულება უნდა ჰპოვოს ახალი საბჭოების შედგენილობაში,

საბჭოების პარტიულ შედგენილობის საკითხში ჩვენი გეზია შენარჩუნებულ იქნეს კომუნისტური ელემენტების—პარტიულების და ახ. კომკავშირელების ისეთი მონაწილეობა, რომელიც საკმარისი იქნება საბჭოს და მისი აღმასრულებელი ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

წარსულ წლებში საბჭოების პარტიული შემადგენლობა ასეთი იყო:

	თემსაბჭოებში		თემსაბჭოების პრეზიდიუმში		საქალაქო საბჭოებში	
	1927	1926	1927	1926	1927	1926
ს. კ. (ბ) პ.	24,2	21,0	52,6	49,6	54,9	50,9
ახ. ლ. კ. კ.	8,8	6,5	5,9	5,0	5,8	6,2
უპარტიო	67,0	72,5	41,5	45,5	39,3	42,9

აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მაზრების არა სწორი მიდგომა საკითხისადმი, როდესაც სამაზრო პარტიული კომიტეტები პირდაპირ წინადადებას აძლევენ თემის ორგანიზაციებს, თუ რამდენი პროც. კომუნისტებისა და კომკავშირელებისა უნდა გაიყვანონ საბჭოებში. აქ საჭიროა სწორი ხელმძღვანელობა. უმჯობესია საბჭოებში გავიყვანოთ კომუნისტების და კომკავშირელების ნაკლები პროცენტი, მაგრამ შერჩეულნი, რომელთაც შეუძლიათ სწორი პარტიული ხელმძღვანელობა უზრუნველყონ საბჭოების მუშაობაში, ვინემ გავიყვანოთ რაც შეიძლება მეტი პროცენტი კომუნისტებისა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანმა ვერ გამოიჩინა წარსულში სათანადო მიდგომა საქმისადმი და ვერ დაიმსახურა ავტორიტეტი მშრომელ მოსახლეობაში.

გარდა ამისა, კომუნისტები სოფლად შეადგენენ მოსახლეობის მცირე ნაწილს, რომელსაც სოფლის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ მის ირგვლივ შემოკრებილი იქნება უპარტიოთა ფართე მასა და ჩაბმული საბჭოების მუშაობაში პარტიის ხელმძღვანელობით.

საქმე ახლა მოითხოვს არა იმდენად საბჭოებში კომუნისტების პროცენტის გადიდებას, რამდენადაც პარტ. პოლიტიკის სწორი გზით გლეხობის ჩაბმას საბჭ. აღმშენებლობაში, რის უპირველესი საწინდარია მათი საბჭოებში მოზიდვა და ამ უკანასკნელთა მუშაობის სწორად წარმართვა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოების შედგენილობის ხარისხობრივი შერჩევა. ჩვენ უნდა გვყავდეს საბჭოებში აქტიური, საქმიანი მუშაკები. ყოველი დეპუტატი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას საბჭოს მუშაობისათვის. საბჭოების მუშაობა მრავალფეროვანია და რთული. საბჭო ქალაქის და თემის პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ცენტრია. დეპუტატობა არ არის მარტო საპატიო წოდება, არამედ უდიდესი საზოგადოებრივი მოვალეობაც. საბჭოების კარგი თუ ცუდი მუშაობა სავსებით დეპუტატების ფხასა და უნარს, გულმოდგინებას და სიბეჯითეს მიეწერება.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატების საქმიანობას. საბჭო—პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოა. საბჭო უნდა ატარებდეს სწორ კლასობრივ ხაზს, საბჭოებში უნდა ავირჩიოთ მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც გადაუხვევლად გაატარებენ საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ პოლიტიკას. ასეთი ხალხი ჩვენ გვყავს როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. ამგვარი ელემენტები იზრდებიან კულაკთან ყოველდღიურ ბრძოლაში. ისინი იჩენენ ინიციატივას საზოგადოებრივი საქმეების წამოყენებაში, ჩაბმული არიან საბჭოების სექციურ მუშაობაში და ხელ-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ საბჭოებთან. გზა უნდა მივცეთ და ფართედ გაუღოთ კარი საბჭოებში ორივე სქესის ამგვარ აქტიურ მუშაკებს,—მოჯამაგირეებს, და ღარიბ და საშუალო გლეხებს. ამავე დროს ქალაქში და სოფლადაც არიან ისეთი პირები, რომელთაც მიზნად აქვთ ჩვენი მშენებლობის არა დახმარება, არამედ შეფერხება, საბჭოებშიაც უთუოდ მოიპოვებიან მთელი რიგი დეპუტატები, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს. საანგარიშო კრებებზე გამართულ კამათში გამოაშკარავდა მათი უმოქმედობა, გულგრილობა, დაუდევრობა და სხვ. ასეთი პირები, რა თქმა უნდა, არ უნდა გავაჭაჭანოთ საბჭოებში.

სწორ ხელმძღვანელობას კანდიდატების წამოყენების საქმეში აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა. პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატურები წინასწარ განიხილება საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ღარიბი გლეხობის წინა საარჩევნო კრებაზე. საარჩევნო კრებაზე კანდიდატთა სია წამოყენებული იქნება პარტიული ორგანიზაციის სახელითვე. დაუშვებელია საკუთარი პარტიული სახის არგამოჩენა. პარტია წამოაყენებს და დაიცავს თავის კანდიდატებს. ამაში ცუდი არაფერია. ცუდია ის, რომ კომუნისტები და ახ. კომკავშირელები ზოგჯერ სრულ უმოქმედობას იჩენენ საარჩევნო კრებაზე და არ იცავენ პარტიული ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს ან, რაც უფრო ცუდია, ხმას აძლევენ ამ კანდიდატების წინააღმდეგ (ერთეული შემთხვევები იყო საბჭოთა 1927 წლის არჩევნებში სენაკის, ოზურგეთის, შორაპნის და სხვა მაზრებში). ცუდი იქნებოდა ისიც, რომ ამომრჩეველთა ნება-სურვილი ჩავახშოთ და მათ ძალით მოვახვიოთ თავზე მათთვის არასასურველი კანდიდატები. აქტიური, ერთსულოვანი გამოსვლა საარჩევნო კრებაზე და პარტიული დისციპლინის მკაცრად დაცვა, არა ბრძანებლობა, მტკიცე ხელმძღვანელობა—აი გზა პარტიის გამარჯვებისაკენ საბჭოთა არჩევნებში.

საარჩევნო კრებაზე მთავარი ადგილი ეკავება ბრძოლას კანდიდატებისათვის, კულაკური და ანტი-საბჭოთა ელემენტები შეეცდებიან გაიყვანონ საბჭოში თავისი დამქაშები, ან ყოველ შემთხვევაში სახელი გაუტეხონ საბჭოთა არჩევნებს. ამ მხრივ დამახასიათებელია კულაკების ტაქტიკა საბჭოთა 1927 წ. არჩევნებში. კულაკები ილაშქრებენ კომუჯრედის და ღარიბ გლეხობის მიერ წამოყენებული კანდიდატთა სიის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ მიემხროთ საშუალო გლეხობა და დაიმატებინათ თავისი კანდიდატები, აფხაზეთის, თბილისის და ახალქალაქის ზოგიერთ სოფელში კულაკები ილაშქრებენ ღარიბ გლეხთა კანდიდატების წინააღმდეგ იმ საბუთით, რომ სიღარიბე სიზარმაცის და უუნარობის მაჩვენებელიაო. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ თვით ღარიბი გლეხები მხარს უჭერდენ კულაკებს კანდიდატურებს. ეს აიხსნება ნათესაური და ოჯახური კავშირით, აგრეთვე კულაკის ეკონომიური ზეგავლენით და ღარიბთა ზოგიერთ ფენების შეუგნებლობით, ამავე დროს გვქონდა შემთხვევები, რომ იგივე ღარიბი, აგრეთვე საშუალო გლეხობა (აფხაზეთი, ბორჩალოს მაზრა) უარყოფითად უყურებდა მოჯამაგირეთა არჩევას საბჭოში. ამაში ბრალი მიუძღვის როგორც გლეხობის, ისე მოჯამაგირეთა საერთო პოლიტიკურ-კულტურულ ჩამორჩენილობას.

მენშევიკები ყველგან კულაკებთან შეხმატკბილებულად გამოდიოდნენ. მათი არსებობა გამოაშკარავდა საბჭოთა არჩევნებში უმთავრესად ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრების ზოგიერთ თემებში. მენშევიკები ილაშქრებდენ კომუჯრედის კანდიდატთა სიის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ყველა ეს კანდიდატები წინასწარ დანიშნულია საბჭოში კომუნისტების მიერო. ამავე დროს მენშევიკებმა ზოგან კანდიდატთა სიები თვითონ წამოაყენეს და მათი გაშავების შემდეგ გაიძახოდნენ: ხალხო, დაიმალენით კომუნისტებმა საბჭო უკვე აირჩიესო. მენშევიკები არაფერს არ ზოგავდენ, რათა სახელი გაეტეხათ საბჭოებისათვის. ზოგან მენშევიკებმა და კულაკებმა ასეთ ხერხს მიმართეს; მათ მიერ დასახელებულ სიაში თვალის ასახვევად ზოგიერთი კომუნისტის და კომკავშირელის გვარებიც შეიტანეს. მენშევიკებს ეს ოინი, რა თქმა უნდა, არ გაუვიდათ. მათ იწვნიეს სასტიკი და სრული დამარცხება, მათ წინააღმდეგ ცოცხალ კედლად აღიმართა ბლოკი ღარიბ და საშუალო გლეხობისა, რომელთაც არჩევნების პროცესში საერთო ენა გამონახეს და სრული პოლიტიკური ნდობა გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოთა წარსული არჩევნების გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ მშრომელთა რიგების უფრო მეტად შემჭიდროებისათვის—კულაკებისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

ცხადია, ეხლანდელ არჩევნებში კულაკური და ანტი-საბჭოთა ელემენტები კვლავ განაახლებენ ჩხირკედელაობას და წაეპოტინებიან სადეპუტატო მანდატებს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში. მათ ხელები მოკლე აღმოაჩნდებათ.

თუ სათანადო ყურადღებით ჩავატარებთ საბჭოების არჩევნებს, მაშინ ჩვენი ძირითადი საბჭოთა ორგანოები ნამდვილად გაამაგრებენ მუშათა კლასისა და გლეხობას შორის კავშირს და ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის შეუჩერებელ ზრდას სოციალისტურ მშენებლობის გზით.

დ. ქუჩულორია.

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

საბჭოების საანგარიშო კამპანია საქართველოში საგრძნობი წარმატებით დამთავრდა.—პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ენერგიით უნდა შეუწყონ ხელი არჩევნების ჩატარებას.—ავირჩიოთ საბჭოებში მშრომელთა ნდობით აღჭურვილი და კლასიური ხაზის მტკიცედ დამცველი დეპუტატები.—არც ერთი კულაკი და ანტისაბჭოთა ელემენტი არ უნდა შეგვეპაროს საბჭოში.

არჩევნები თბილისში

ფეხსაცმელების ფაბრიკაში

გუშინ, მუშაობის დამთავრების შემდეგ ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშები დაზგებიდან პირდაპირ საარჩევნო კრებაზე გაეშურნენ კრებაზე ამომრჩეველთა 98 პროც. გამოცხადდა. მიუხედავათ იმისა, რომ სამუშაოდან იყვნენ მოსულნი, მუშებმა არაჩვეულებრივი აქტივობა გამოიჩინეს განაწესის განხილვის დროს. ისინი მოითხოვდნენ, რათა თბილისის საბჭომ გადამწყვეტი ზომები მიიღოს უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად. საბოლოოთ უნდა მოწესრიგდეს ტრამვაის მოძრაობა და სხვა.

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო თბილისის კომიტეტის განაწესი და თბილისის საბჭოში დეპუტატებად აირჩია ამხ. ასრიბეკოვი, კირაკოზოვი, დერთატიანი, მეფისაშვილი, ბეგლაროვი და სხვ.

ფეხსაცმელების კოლექტივში

კრებაზე გამოცხადდა ამომრჩეველთა მთელი 100 პროც. მუშებმა განაწესს დაუმატეს მთელი რიგი წინადადებები, რის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ გამოჰყო:

ამხ. ლ. ენუქიძე, მიხ. ოსიპოვი, ა. გრიგორიანი. კანდიდატათ ამხ. შ. არუთინოვი.

ნავთლუღის საქონლის სადგურში

ნავთლუღის ჯგუფკომში შემავალ მუშა-მოსამსახურეთა საერთო საარჩევნო კრებამ—მოისმინა თბილისის ახალ საბჭოსათვის მისაცემი დავალებანი. თავის მხრივ მუშებმა მთელი რიგი მუხლები შეიტანეს განაწესში.

განაწესის წაკითხვის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს წევრათ აირჩია ამხ. აფთონ ანთიძე, ხოლო კანდიდატად ამხ. ნ. შარაშენიძე.

ნავთლუღის რაიონის დიასახლისებში

ნავთლუღის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრების გაერთიანებულმა საარჩევნო კრებამ მოისმინა მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო დამსწრეთ საბჭოს მუშაობა და აღნიშნა ამ მუშაობის როგორც ნაკლი, ისე მიღწევებიც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ხუთმეტმა კაცმა. ორატორები მოითხოვდნენ თბილისის მომავალ საბჭოსაგან, რათა მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გარეუბნებს და მიიღოს ყოველგვარი ზომები მათი კეთილმოსაწყობად. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ თბილისის საბჭოს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და მომავალ საბჭოს მუშაობის უფრო გასაცხოველებლად შეიმუშავა სათანადო ღონისძიებანი.

დასასრულ კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ფატმა მამალოევი, მარიამ ჯღერია და პელაგია ბიბილური, კანდიდატად ამხ. კატო თათარაძე.

ავირჩიეთ დეპუტატები

გუშინ, საღამოს 6 საათზე ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს მე-8 რაიონის სახალხო კვების მუშაკებმა, დუდუკზე დამკვრელებმა და თურქული დრამის მსახიობებმა.

კრების დაწყების წინ გაცხოველებული საუბარია თურქულ, სომხურ და ქართულ ენაზე. საუბრის საერთო თემაა თბილისის საბჭო და საბჭოში ასარჩევი დეპუტატები. გაიხსნა კრება ამხ. ტერ-ვართანოვის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში სდგას თბილისის კომიტეტის განაწესის განხილვა და თბილისის საბჭოს დეპუტატების არჩევა.

კრებამ მოისმინა განაწესი და ზოგიერთი შესწორებებით მიიღო ერთხმად.

ამის შემდეგ, თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ლეონტი რუხაია, ჰასან-საბრი და ასლან სულეიმანოვი.

კრებას დაესწრო ამრჩეველთა 60 პროც.

სასურსათო ბაზაში

— თბილისის საბჭომ უნდა გააძლიეროს სასკოლო მშენებლობა.

— დაუნდობელი ბრძოლა ლოთობას და ცრუმორწმუნეობას.

— მეტი ყურადღება დედათა და ბავშთა დაცვის საქმეს,—უმატებენ თბილისის კომიტეტის განაწესს სასურსათო ბაზისა და სამხედრო ტრანსპორტის მუშები.

თბილისის საბჭოს დეპუტატებათ კრებამ აირჩია ამხ. ქ. კაზარიანი და ს. ოგანეზოვი. ამომრჩეველთა დასწრება 85 პროც. უდრიდა.

განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევრებში

29 იანვარს, განათლების მუშაკთა სახლში შესდგა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: დეპუტატებისათვის განაწესის მიცემა და თბილისის საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

კრებაზე განაწესი წაიკითხა ამხ. ბოკერიამ ქართულ ენაზე და ამხ. ჭიჭუშვილმა რუსულ ენაზე.

სხდომამ თბილისის საბჭოს საერთო განაწესს დაუმატა შემდეგი მუხლები: საბინაო მშენებლობის გაძლიერება, უმუშევრობის შემცირების მიზნით შრომის კოლექტივების მოწყობა და სათანადო ღონისძიებების გამონახვა პროსტიტუციის, ლოთობის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასასრულ კრებამ თბილისის საბჭოში აირჩია შემდეგი ამხანაგები: წევრებად: იოს. არსენიშვილი, დავით გაბინი, დუტუ ბუთრგოზიანი, მამიკონ სტეფანოვი და სერგო სოსიანი, კანდიდატათ ამხ. კვანტალიანი.

სად შესდგება საარჩევნო კრებები

დღეს, თბილისის საბჭოს საარჩევნო კრებები შესდგება შემდეგ ადგილებზე:

26 კომუნარის რაიონში

№ 2 მკერავთა კოლექტივის შენობაში მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება აღნიშნულ კოლექტივის და ქალთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მსმენელთა და თანამშრომელთა გაერთიანებული საარჩევნო კრება.

— ტყავტრესტის მესამე ქარხანაში დღეს, სამის ნახევარ საათზე შესდგება აღნიშნულ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

— მეჩექმეთა კოლექტივში, დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგება ამავე კოლექტივის წევრთა საერთო კრება, სადაც მოხდება თბილისის საბჭოს წევრების არჩევნები.

— სანიტარულ-ტექნიკურ საზ-ში (მადათოვის კუნძული) დღეს, სამის ნახ. საათზე დანიშნულია აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომელთა საბჭოს საარჩევნო კრება.

— № 2 ტყავის ქარხნის მუშების საარჩევნო კრება დანიშნულია დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ.

— ქიმიურ ქარხანაში, მუშაობის დამთავრების შემდეგ, დღის 8 საათზე შესდგება ამავე ქარხნის მუშების საარჩევნო კრება.

მუშათა დემონსტრაციები

კომუნალურ მუშაკთა საარჩევნო დემონსტრაცია

გუშინ, თბილისში გაიმართა კომუნალურ მუშაკთა საარჩევნო დემონსტრაცია. დღის 8 საათისთვის ტრამვაის პარკთან თავი მოიყარეს ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა. სრულ სამ საათზე დემონსტრაცია მწყობრი რიგებით, დროშებით და საარჩევნო ლოზუნგებით დაიძრა მუშტაიდის ქუჩით, პლეხანოვის პროსპექტით. გაიარა ელბაქიძის აღმართი და რუსთაველის პროსპექტით გაემართა თავისუფლების მოედნისკენ. ერევნის ქუჩაზე და ყოფილ ზემელის აფთიაქთან დემონსტრანტებს შემოუერთდნენ სხვადასხვა კომუნალური ორგანიზაციების მუშაკები.

თავისუფლების მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც კომუნალური მუშაკების პროფესიონალური კავშირის სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. თავდგირიძე და აკოპოვი.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. ი. ვარძიელი, რომელმაც მოუწოდა დემონსტრანტებს ასევე ფხიზლათ შეხვდნენ არჩევნებს და საქმიანი თვითკრიტიკის გაძლიერებით ხელი შეუწყონ ჩვენი აღმშენებლობის დეფექტების გამოაშკარავება-გამოსწორებას.

საანგარიშო კამპანიის შედეგები

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 30 იანვარი. სამაზრო საარჩევნო კომისიის ცნობებით, საანგარიშო კამპანია ქუთაისის მაზრის თითქმის ყველა თემში დამთავრდა. საანგარიშო კამპანია არ დამთავრებულა მხოლოდ 6 თემში, რომელნიც მდებარეობენ მთიან ადგილებში, სადაც საანგარიშო კრებები და არჩევნები ერთდროულად იქნება ჩატარებული.

საანგარიშო კამპანიაში მონაწილეობა მიიღო 86.105 ამომრჩეველმა. საანგარიშო კრებებს დაესწრო ამომრჩეველთა 71 პროც. (მამაკაცი 88 პროც., ქალი 54 პროც.).

გუბის თემში ვადამდე ჩატარებულ არჩევნებში სათემო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ღარიბი გლეხი ქალი ასინეთი იამანიძე.

ქალაქ ქუთაისის საწარმოო წამოწყებებში საანგარიშო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 95 პროც.

1 თებერვლიდან საბჭოების არჩევნები მოხდება მთელ მაზრაში (ადს).

სენაკის მაზრაში

ახალსენაკი, 30 იანვ. 28 იანვ. მთელ მაზრაში დამთავრდა საბჭ. საანგარიშო კამპანია. შედეგები დამაკმაყოფილებელია. სულ აღრიცხულია 64.019 ამომრჩეველი; აქედან მამაკაცი არის 30.946, ქალი 33.073, ამომრჩეველთა ამ რიცხვიდან საანგარიშო კრებებზე გამოცხადდა 39.246 კაცი, ე. ი. 61,3 პროც. აქედან ქალი იყო 13,190, ე. ი. 20,6 პროც., მამაკაცი 26,056, ე. ი. 40,7 პროც.

კამათში მონაწილეობა მიიღო 1.282 ამომრჩეველმა, მათ შორის 109 ქალმა (ადს).

რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში

ამჟამად თითქმის დასრულებულია საანგარიშო კამპანია რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში.

სულ მაზრაში აღრიცხულია 52,599 ამომრჩეველი. 1927 წლის საბჭოთა არჩევნების დროს კი ამომრჩეველთა რიცხვი უდრიდა — 68.500, ამნაირად წელს აღრიცხულია ამომრჩევლები 23 პროც. ნაკლები, რაც იმით აიხსნება, რომ მიმდინარე კამპანიის დროს სიაში არ შეაქვთ ის პირები, რომლებიც გასულია მაზრის გარეთ, ხოლო ასეთების რიცხვი კერძოთ რაჭაში ძალზე დიდია.

უფლება აღკვეთილთა რიცხვიც 1927 წელთან შედარებით შემცირებულია, მაგალითად 1927 წელში საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდა 3.810 კაცს, წელს კი 3.579, რაც შეადგენს ამომრჩეველთა 6,8 პროცენტს.

მაზრა, ნაცვლად 181 უბნისა 1927 წელში, მიმდინარე კამპანიის დროს დაყოფილია 181 საარჩევნო და საანგარიშო უბნად.

სათანადო მუშაობა სწარმოებს ქ. ონში ღარიბ ებრაელთა შორის, რომელთა მოთხოვნილება უმთავრესად გამოიხატება კეთილ-მოწყობის, მათთვის რაიმე სამუშაოს გამოძებნის და სხვათა შესახებ.

ყველა თემ-საბჭოებმა ჩააბარა ანგარიშები თავის მუშაობაზე როგორც ღარიბთა ჯგუფებს, ისე ამომრჩეველთა საერთო კრებებს.

ამჟამად გვაქვს ცნობები, ამომრჩეველთა საერთო საანგარიშო კრების ჩატარებაზე 115 საანგარიშო უბნიდან. ამ კრებაზე დასწრება უდრის 48,5 პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრის პერიოდში რაჭა-ლეჩხუმში არჩევნების ჩატარება მიზანშეუწონელია, ვინაიდან ამ დროს მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი გასულია მაზრის გარეთ და შინ უმთავრესად ქალები რჩებიან, ხოლო ქალებისათვის ზამთარში კრებებზე სიარული არც ისე ადვილია და სწორედ ეს ამცირებს დამსწრეთა პროცენტს. თუ ავიღებთ მარტო მამაკაცებს, მათი დასწრება საანგარიშო კრებებზე მაზრაში უდრის 75,2 პროცენტს. იყო ისეთი სოფლები, სადაც მხოლოდ ქალები ესწრებოდა კრებას და მთელ სოფელში 2—3 მამაკაცი თუ მოიპოვებოდა და ისიც მოხუცი.

ანტი-საბჭოთა პარტიის წევრები (ყოფილი მენშევიკები, ფედერალისტები და სხვა) ან სულ არ მოდიოდნენ კრებაზე, ან თუ მოდიოდნენ ხმას არ იღებდნენ, საერთოდ უპარტიო ინტელიგენციის აქტიობა შედარებით სუსტი იყო საანგარიშო კამპანიაში.

თვითკრიტიკა ფართოდ იყო უზრუნველყოფილი მთელი კამპანიის მსვლელობაში და ამ მხრივ რაიმე გადახრას ადგილი არ ჰქონია გარდა ერთი თემისა, სადაც თემსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, მისი მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, კრების დამსწრეთ მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ მოითხოვეთ ყველაფრის გაკეთება, მაგრამ სამუშაოთ, რომ დაგიძახებთ, თუ არ გამოხვედით ცხვირს მოგამტვრევთ"-ო.

საანგარიშო კრებებზე უმთავრესად ეხებოდნენ შემდეგ საკითხებს: სურსათის ნაკლებობას, კოოპერაციაში ფართლის ნაკლებობას და არა წესიერ განაწილებას, გზების და ხიდების უვარგისობას და საჭიროებას, თვით დაბეგვრის საკითხებს და სას.-სამ. გადასახადის არა სწორად გაწერას (უმთავრესად შეძლებული და ნაწილობრივ საშუალო გლეხობა) სას.-სამ. კრედიტს და სხვ.

მართალია საანგარიშო კამპანიის დროს ჩვენ არ გვქონია მაზრაში საქმე რაიმე სერიოზულ ანტი-საბჭოთა გამოსვლებთან, მაგრამ ისიც, რაც იყო, სავსებით ლაპარაკობს იმაზე, რომ ღარიბთა დარაზმვა და მათში მუშაობა არამც თუ საჭირო, არამედ აუცილებელია,

ამის დამამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო ფაქტი:

ყველა იმ უბნებში, სადაც კი ღარიბთა კრებები წინდაწინ ჩატარდა, ამომრჩეველთა საერთო კრებაზე ღარიბები გამოდიოდნენ ერთსულოვნად და ორგანიზაციულად ყოველგვარი ანტი-საბჭოთა და კულაკური გამოსვლების ცდების წინააღმდეგ (აბარი, უწერა, ცაგერი, ზვარეთი), ხოლო იქ (ონის თემის ს. ღარი), სადაც ღარიბთა საანგარიშო კრება წინასწარ არ ყოფილა მოწვეული, როცა ყოფილი აზნაური და შეძლებული გლეხები გამოვიდნენ პროვოკაციული განცხადებებით საარჩევნო კრებებზე, მათ ფეხის ხმას აჰყვა გლეხობის ერთი ნაწილი, მაგრამ, როცა ჩვენი ამხანაგები გამოვიდნენ შესაფერი განმარტებით, შემდეგ კრება მთლიანად ხელისუფლების მხარეზე აღმოჩნდა.

როგორც ვხედავთ რაიმე დიდ და სერიოზულ, კულაკურ და ანტი-საბჭოთა გამოსვლებთან არ გვქონია საქმე, მაგრამ ამით იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს ასეთი გამოსვლა სრულიად არ ყოფილიყოს, ამისათვის საკმარისია მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: ზვარეთის, სორის და აბარის თემში რამოდენიმე ბობოლა გლეხი გამოვიდა სავალდებულო სახ-დაზღვევის წინააღმდეგ, ეს ხალხი საპროვოკაციოთ იყენებდა აგრეთვე კოოპერაციაში ფართლის ნაკლებობას, ისინი ილაშქრებდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, როგორც ვითომც-და მიუღებელი ჩვენი პირობებში. ლენტეხის თემის, (ქვემო სვანეთი) ორ უბანში გამოვიდა ერთი და იგივე პირი—მეფის დროის ყოფილი ოფიცერი, რომელიც აქ ქადაგებდა „საბჭოები არაა გლეხობისათვის სასარგებლო ორგანიზაცია, ეს ბრმა იარაღია კომპარტიის, მისი პოლიტიკის გამტარებელი და რომ უფრო ადვილად გაატარონ ეს პოლიტიკა საბჭოებში განგებ ირჩევენ „შეუგნებელ" (გულისხმობდა ღარიბებს) გლეხებს"-ო. როდესაც მის საწინააღმდეგოთ გამოვიდნენ ჩვენი ამხანაგები, ის ასე ასწორებს თავის გამოსვლას „ცენტრალური ხელისუფლება კი ზრუნავს ჩვენთვის, მაგრამ სამაზრო ხელისუფლება არ ზრუნავს"-ო და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნე, თვითეული ასეთი გამოსვლების წინააღმდეგ ღარიბები, როგორც ერთი კაცი, ისე გამოდიოდნენ წინააღმდეგ და ზოგჯერ (უწერა, აბარი) მათი კრებიდან გაგდებაც კი მოითხოვეს.

საერთო საბჭოების არჩევნებისათვის ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობასთან ერთად დარაზმული და მომზადებულია, დაბრკოლება, როგორც ზემოთ ვსთქვით, მხოლოდ იმაშია, რომ ამომრჩეველთა საუკეთესო ნაწილი (კერძოთ რაჭიდან) იმყოფება გასული მაზრის გარეთ.

ფ. ჭილაძე.

სრულიად საქართ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ
მოწვეული
მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების
საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა
და ცენტრალურ საარჩევნო კომისიის
რწმუნებულთა
რესპუბლიკანური თათბირი
გაიხსნება პარასკევს, 1 თებერვალს საღამოს 6 საათზე
სასახლის წითელ დარბაზში
საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

დადგენილება

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოების მიმდინარე გადარჩევასთან დაკავშირებით საგიტაციო მოტო-გადარბენის მოწყობის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საბჭოების მიმდინარე გადარჩევასთან დაკავშირებით, ნება დაერთოს თბილისის საავტომობილო კლუბს მოაწყოს ამა წლის თებერვლის 3-დან 6-მდე თანჩართვით — სამდღიური საგიტაციო გადარბენა: თბილისი, თელავი, სიღნაღი—უკანვე დაბრუნებით.

2. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცენ თბილისის საავტომობილო კლუბს, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიის თანახმად, ამა წლის თებერვლის 3-დან 6-მდე თანჩართვით, თავისი მოტო-მანქანები და აგრეთვე განთავისუფლონ სამსახურიდან იმავე დღეების განმავლობაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მითითებით გადარბენის მონაწილენი საშუალო შრომის ხელფასის შენარჩუნებით. ხელფასის შენარჩუნებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. ვარძიელი.

1929 წლ. იანვრის 30
თბილისი—სასახლე.

ზემო-სვანეთში

(საინფორმაციო ცნობებიდან)

ზემო-სვანეთის ყველა თემებში დამთავრდა ამომრჩეველთა და ხმის უფლება აღკვეთილთა სიების შედგენა და გამოქვეყნება. მრავალ ადგილებში კულაკები ორგანიზაციულად დარაზმული სცდილობენ საანგარიშო და საარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლას. ისინი აშკარად გამოდიან კრებებზე ხმა აღკვეთილთა დასაცავად და თვით საარჩევნო ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ. ზოგან ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს თემსაბჭოებში, ხოლო სადაც კულაკობა უფრო ძლიერი და ორგანიზაციულად შეკავშირებულია, ცდილობენ ჩაშალონ საანგარიშო კრებები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ლატალის თემში. კულაკები ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს კრებები მოწვეულია გლეხობის დიდი გადასახადებით დასაბეგრათ და მოუწოდებენ ამომრჩევლებს არ დაესწრონ კრებებს.

ღარიბი გლეხობა წინააღმდეგობას უწევს კულაკების შემოტევას, თუმცა ისინი სუსტად არიან შეკავშირებულნი. საშუალო გლეხობა ყოველთვის ვერ იჩენს სიმტკიცეს და ზოგჯერ გულგრილადაც ხვდება საანგარიშო კამპანიას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, სათანადო ბრძოლას აწარმოებს კულაკების წინააღმდეგ და მთელი ძალღონით უჭერს მხარს პარტიის პოლიტიკას და ხელისუფლების საქმიანობას.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ ქალები, ისინი აშკარად და აქტიურად ილაშქრებენ ხმა ჩამორთმეულთა და კულაკების წინააღმდეგ. ქალები მიუთითებენ კოოპერატივების სუსტ მუშაობაზე, სკოლების და გზების უყურადღებობაზე და დაწესებულებებში არსებულ ბიუროკრატიზმზე.

მშრომელი ინტელიგენცია დიდ დახმარებას უწევს სათემო საარჩევნო კომისიებს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში.

თემებში დაწყებულია ადგილობრივი მნიშვნელობის განაწესის შემუშავება. განაწესის შედგენაში ცხოველ მონაწილეობას იღებენ როგორც ღარიბი და საშუალო გლეხობა, ისე ქალებიც.

ზემო-სვანეთში მიწა-ტყის კავშირის წევრები და მოჯამაგირეობა მცირერიცხოვანია, რომლებიც გაფანტული არიან თემებში. ისინი ღარიბ გლეხობასთან ერთად წინააღმდეგობას უწევენ კულაკების თავხედობას.

საბჭოთა დემოკრატიზმის და თვითკრიტიკის ურყევად გატარება უზრუნველყოფილია და უნაკლოდ ტარდება ცხოვრებაში. თემებში მოწვეულ ყველა კრებებზე დაუფარავად სწარმოებს განვლილი მუშაობის შეფასება როგორც ადგილობრივ, ისე მაზრის მასშტაბითაც, აღნიშნავენ როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებსაც.

იყო შემთხვევები დემაგოგიური გამოსვლებისაც ანტისაბჭოთა ელემენტების მხრივ, მაგრამ ასეთი გამოსვლები აღშფოთებას და დაცინვას იწვევდა ამომრჩევლების მხრით. ამგვარად საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მიმდინარე წელში სწარმოებს დიდი აქტივობით და კლასიური ინტერესების სწორად გაგებით.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას იღებენ კომკავშირის, პროფკავშირების და კოოპერატიული ორგანიზაციები. უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირები და კოოპერაცია ზემო-სვანეთში სუსტად არიან შეკავშირებული და ამის გამო კამპანიაში არ სჩანს სათანადოდ მათი საქმიანობა, ხოლო სადაც ეს ორგანიზაციები უფრო ძლიერია, მათი მუშაობაც დამაკმაყოფილებელია.

ღარიბი და საშუალო გლეხობა ყველა ორგანიზაციებთან ერთად, კომპარტიის ხელმძღვანელობით გაცხოველებულ სამზადისს აწარმოებენ არჩევნებისათვის.

ზემო-სვანეთში დღემდის არ არის ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები. ამასთანავე საშუალო გლეხობასაც ვერ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რის გამოც ღარიბ და საშუალო გლეხობის კავშირი ყოველგან არ არის მტკიცე, რასაც სათანადოდ იყენებენ კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები.

პარტია და ხელისუფლება იღებს ყოველგვარ ზომებს ღარიბ და საშუალო გლეხობის შესაკავშირებლად და კლასიური მტრის გასარიყავად. საერთო ძალღონით საანგარიშო და საარჩევნო კამპანია ჩატარდება ინსტრუქციის თანახმად და მიღებული დირექტივების ნიადაგზე.

მთიანი ყარაბახის წარმომადგენლები აფხაზეთში

სოხუმი, 31 იანვარი. სოხუმში ჩამოვიდა მთიანი ყარაბახის სამი წარმომადგენელი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მეგობრულ შეჯიბრებაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. ჩამოსულთა შორის არის მთიანი ყარაბახის ცაკის მდივანი ამხ. სარუმოვი, რესპუბლიკის პროკურორი ამხ. კაგრამანოვი და ტერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბადალოვი.

ცაკთან გაიმართა აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჩანბამ და მთიანი ყარაბახის ცაკის მდივანმა გააკეთეს მოხსენებები ჩატარებული მუშაობის შესახებ. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ მთიანმა ყარაბახმა ბევრად გაუსწრო აფხაზეთს, სადაც მოსამზადებელი მუშაობა დიდის დაგვიანებით ჩატარდა. გადაწყდა, დეფექტები და მიღწევები განხილულ იქნას სოხუმის ქალაქის საბჭოს პლენარულ სხდომაზე—ამომრჩეველთა აქტივის თანადასწრებით (ადს).

დაპატიმრებული კულაკის განთავისუფლება

ახალსენაკი, 30 იანვარი. სოფელ ქვემო-ქალადიდში დაპატიმრებული კულაკი გეგელია განთავისუფლეს. ეს ამბავი აღშფოთებას იწვევს ადგილობრივ ღარიბ გლეხთა შორის. ღარიბი გლეხები მოითხოვენ—პასუხისგებაში იქნას მიცემული კულაკი გეგელია, რომელმაც ღარიბ გლეხს სცემა იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა კრებაზე წინადადება შეიტანა—წართმეოდა გეგელიას საარჩევნო ხმის უფლება (ადს).

მეჩეთი კლუბად

ლიუქსემბურგი, 30 იანვარი. სოფ. სარვანში (ბორჩალოს მაზრა) საანგარიშო კრებების დროს გლეხების მიერ გამოტანილ დადგენილების თანახმად, მეჩეთი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ცარიელი იყო, კლუბად გადაკეთდება. ამ დადგენილების გამოტანის თაოსნობა უმთავრესად ქალებს ეკუთვნის.

თემსაბჭო შეუდგა გადაწყვეტილების განხორციელებას; შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვა მეჩეთის შესაკეთებლად და ინვენტარის შეძენისათვის (ადს).

კულაკების გამოსვლები გორის მაზრაში

წითელ ქალაქის თემის სოფ. დოისში 16 იანვარს ხმა ჩამორთმეულმა შეძლებულმა გლეხებმა მოინდომეს ამავე სოფლის მასწავლებლის აქტიური კომკავშირელის ამხ. ხიდამონძიძის ცემა. მაგრამ ვინაიდან მიზანს ვერ მიაღწიეს, წავიდნენ და საანგარიშო კრების მიმდინარეობის დროს ასტეხეს დებოში. კრებაზე დამსწრე ღარ. და საშუალო გლეხ. მოითხოვეს მათი კრებიდან გაძევება, მაგრამ კულაკები არავის არ დაემორჩილენ, რის შემდეგ მათ წინააღმდეგ მიიღეს ადმინისტრატიული ზომები.

სოფ. რეხის კომკავშირის უჯრედის ერთერთ სხდომაზე გაირჩა საკითხი კოლა ქარელიშვილის კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ. რადგან ეს ახალგაზრდა არის კულაკის შვილი, რომელსაც წართმეული აქვს ხმის უფლება. კომკავშირის უჯრედმა ერთხმად მიიღო დადგენილება ქარელიშვილის კომკავშირის რიგებიდან გარიცხვის შესახებ, რის შემდეგ მან ეს ფაქტი აცნობა თავის ხმაწართმეულ მშობლებს. 18 იანვარს გორში მომავალ კომკავშირის უჯრედის მდივანს და ბიუროს წევრს კოლა და ვანო ყაჟიტაშვილებს სასოფლო გზაზე თავს დაესხა კულაკი ქარელიშვილი მთელი თავისი ოჯახის წევრებით და მოინდომეს სიკვდილი, მაგრამ იქვე შემთხვევით მყოფ ღარიბ გლეხების წინააღმდეგობის გამო, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

თავხედი კულაკის წინააღმდეგ მიღებულია ადმინისტრატიული ზომები.

ქ. მ.

ა.-კ. რკ.-გზელთა საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი

მეორე სხდომა

31 იანვარს, დილის სხდომაზე გამოვიდა საგზაო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კანდელაკი, რომელიც შეეხო რკინისგზელთა პროფკავშირის ბათომის საუბნო კომიტეტის გაუქმების საკითხს.

ბათომის საუბნო კომიტეტის გაუქმება, როგორც მომხსენებელმა განაცხადა გამოწვეულია საკავშირო რკინისგზელთა მე-9 ყრილობის დადგენილებით, სადაც ნათქვამია, რომ მოხდეს ზოგიერთი საუბნო კომიტეტების სამოქმედო რაიონის გაფართოება.

ბათომის საუბნო კომიტეტის ფუნქციები გადადის სამტრედიის საუბნო კომიტეტის ხელში.

ეს ღონისძიება იძლევა თანხების ეკონომიას. დაზოგილი თანხა მოხმარდება რკინისგზელების კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ა.-კ. რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. პოზდეევის მოხსენება გზის 1928-29 წლის საწარმოო პროგრამის და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

გზის საექსპლოატაციო გეგმა, სთქვა მომხსენებელმა, 1928-29 წლისათვის დამტკიცებულია 66 ნახევარი მილიონი მან. რაოდენობით.

ახალი სამუშაოებისათვის გადადებულია 17 მილიონი მანეთი; ელექტროფიკაციისათვის 3 მილიონი ნავთსადენისათვის 1 მილიონი და სხვ. საერთოდ ახალ სამუშაოებზე წელს უნდა დაიხარჯოს სულ 23 მილიონი მანეთი. ამას ემატება 2 მილიონი იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც ვერ იქნა შესრულებული შარშან. ასე, რომ ახალი სამუშაოებზე წელს წარმოებული უნდა იქნეს 25 მილიონი მანეთის ფარგლებში.

საბინაო მშენებლობისათვის გადადებულია სულ 2 მილიონი მანეთი.

ამავე საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ტუხტიაშვილი, რომელიც შეეხო შტატების საკითხს და განაცხადა, რომ ადმინისტრაციას ეს საკითხი სათანადოთ შესწავლილი არ აქვს და არ იცის, თუ როგორია მუშა-ხელია საჭირო მისთვის გზაზე.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გზის შემკეთებელ მუშების დაქირავების საკითხს და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გზის ადმინისტრაცია გვერდს უხვევს ცენტრის დირექტივას ხაზზე კვალიფიციური შემკეთებელი მუშების მოწვევის შესახებ და ასეთ სამუშაოებზე იწვევს დროებით მომუშავეებს.

სახელმწიფო სესხები

1927 წ. სესხის გასაღება ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საკითხი, თუ რამდენადაა გავრცელებული ამიერ-კავკასიაში 1927 წლის 8 პროცენტიანი სახელმწიფო სესხი. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სესხის რეალიზაცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში არ იყო საკმაოდ ინტენსიური და ხშირად ირღვეოდა სესხის ვადებისა და შეღავათების შესახებ გამოცემულ დეკრეტის ძირითადი დებულებები. გამოყენებული არ იყო აგრეთვე ნარჩენების აკრეფის ღონისძიებები რომლებიც ნებადართულია კანონით. ეს დეფექტები გამოწვეულია უმთავრესად სუსტი ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით რესპუბლიკანურ ფინსახკომების მხრიდან. სესხის გასაღების მუშაობის შესუსტებით ა.-კ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს მხრიდან და კანონის შესრულების დაგვიანებით.

ამის გამო, სესხის რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ აუცილებლად სცნო წინადადება მისცეს ფინსახკომს სასწრაფოდ გადასცეს 8 პროც. სესხის გასაღების მთელი მუშაობა სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს, რომელსაც ევალება სისტემატიური მეთვალყურეობა იქონიოს იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს სესხის რეალიზაცია ცალკე წარმოებებში და ბანკებში.

ამასთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აუცილებლად სცნო დაავალოს სახელმწიფო წარმოებებს 1929 წლის 1-ლ აპრილისათვის საბოლოოდ დაფარონ თავისი დავალიანება აღნიშნული სესხის მიმართ.

სამსახურის გაწევა ობლიგაციების მეპატრონეთათვის

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორამ მიმართა საქართველოს პროფსაბჭოს წინადადებით—მოწყობილი იქნეს სახელმწიფო სესხების, კერძოდ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციების მეპატრონე მუშა-მოსამსახურეებისათვის სამსახურის გაწევა თვით წარმოებებში და დაწესებულებებში. ობლიგაციის მეპატრონე მუშა-მოსამსახურეები თავისი სამსახურის ადგილას მიიღებენ ცნობებს ტირაჟების ვადის შესახებ, იქვე შეამოწმებენ სპეციალურ ცხრილების მიხედვით მოგებებს, იქვე მისცემენ მათ წვრილ მოგებებს, შეატყობინებენ კუპონების განაღდების ვადებს და სხვა. ამავე დროს მათ იქვე მიაწოდებენ ცნობებს ობლიგაციების დაგირავების წესების შესახებ.

პალეონტოლოგიური ნაშთების პოვნა

განათლების სახ. კომისარიატში საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილებიდან შემოვიდა ცნობა, რომ ზესტაფონში ამ რამდენიმე თვის წინად აღმოუჩენიათ იშვიათი პალეონტოლოგიური ნაშთები. ნაშთები აღმოჩენილი ყოფილა ნიადაგის 20—25 მეტრის სიღრმეზე იმ ადგილას, სადაც სარდაფის აგებას აწარმოებდა საზ-ბა „საქართველოს ღვინო".

აღმოჩენილ ნაშთებს შორის ყოფილა: ცხოველების გაქვავებული ძვლები, კბილები, ქვებზედ ამოჭრილი თევზები, მცენარეების ფოთლები და სხვ. აღმოუჩენიათ აგრეთვე ანტროპომორფიული (ადამიანის მსგავსი) მაიმუნების თავის ქალები.

ამ ღირსშესანიშნავი განძეულობის აღმოჩენის შესახებ, როგორც ეს საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ცნობიდან სჩანს, არც სამუშაოების ხელმძღვანელებს, არც სიძველეთა კომიტეტის წარმომადგენლებს და არც სხვა ვინმეს არ მიუწოდებიათ ცნობა შესაფერ ორგანოსათვის. ამის გამო საქართველოს მუზეუმს აღმოჩენილი ნივთებიდან სრულიად არაფერი ხდომია.

ახლად აღმოჩენილ მასალების, დიდი ნაწილი (12 ფუთზე მეტი) ვიღაც კერძო პირს წაუღია ბაქოში და არავინ იცის თუ რა ბედი ეწვია ამ იშვიათ სამეცნიერო სიმდიდრეს, ნაწილი კი კერძო პირებს დაუტაცნიათ.

მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილება შუამდგომლობს, რომ მიღებულ იქნეს ზომები აღმოჩენილ მასალების შესაგროვებლად და მათი მუზეუმისათვის გადასაცემად.

წითელ ჯვარში

საპრეტენზიო საქმეები

1928 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტმა მიიღო სამი საპრეტენზიო განცხადება, რომელთა მიხედვით მთელი საპრეტენზიო თანხა უდრის 25.000 დოლარს.

1928 წ. 1-ლ ოქტომბრიდან მიღებულია 22 მემკვიდრეობითი პრეტენზია, ღირებული რამოდენიმე მილიონ მანეთად; 7 ქონებრივი (უცხოეთში დარჩენილ უძრავ-მოძრავი ქონების ლიკვიდაციის შესახებ) პრეტენზია — 2.007.000 მან. ღირებულების; 7 სავეტერინარო (უცხოეთში მოსამსახურე რუს ჯარისკაცთა) პრეტენზია—ორი საქმე საბჭოთა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც დაიღუპნენ ამერიკის ან კანადის წარმოებებში და ერგებათ დასაზღვევი პრემიები. ამ უკანასკნელ პრეტენზიების თანხა განისაზღვრება—10.000 დოლარით.

ხსენებულ საქმეების ნაწილი უკვე გადაგზავნილია მოსკოვში. მათ შესახებ პრეტენზიების აღსაძვრელად, ხოლო მეორე ნაწილი გაფორმების პროცესშია.

კიდევ ლოთობის შესახებ

(პრაქტიკული წინადადებანი)

ლოთობა არის საზოგადოებრივი ბოროტება. ლოთობას სდევს უამრავი ცუდი და საზიანო შედეგები. ლოთობის წინააღმდეგ უნდა იქმნეს დარაზმული მთელი მშრომელი მასების ყურადღება. ლოთობას უნდა გამოეცხადოს შეუბრალებელი და დაუზოგველი ომი, მაგრამ იბადება საკითხი: როგორ შეიძლება ლოთობის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა? თავის თავათ ცხადია, რომ ყველაზე უფრო სწორი და საიმედო საშუალება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში არის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება მშრომელ მოსახლეობაში. ჩვენ ვიცით, რომ იმ ფაბრიკა-ქარხანაში, ან მუშათა უბანში და სოფელში, სადაც კულტურული მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, იქ, ლოთობას და სხვა არა კულტურულ გასართობებს ნაკლებად აქვს ადგილი, მათ ნაკლებათ ეტანებიან მუშა-მოსამსახურეები და გლეხები. მაშასადამე, საჭიროა ფაბრიკა-ქარხნებში, მუშათა უბნებში, სოფლებში ფართოთ გავშალოთ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. მუშა-მოსამსახურეები ძალიან ეტანებიან ექსკურსიებს, კინოებს, რადიოს და სხვა ასეთებს და ამ მხრივ მათი მოთხოვნილება უნდა დავაკმაყოფილოთ.

ახლა დავსვათ მეორე საკითხი: რამდენად სწორია მოთხოვნა, რომ მუშათა უბნებში დაიკეტოს მაგარი სასმელებით მოვაჭრე რესტორანები? მათი დაკეტვა მოგვცემს რაიმე სარგებლობას, თუ სარგებლობის ნაცვლად მივიღებთ ზარალს და მეტათ ცუდ შედეგებს? რომ ამაზე გავსცეთ პასუხი, საჭიროა მოვიგონოთ, თუ რა შედეგი გამოიღო მაგარ სასმელების გაყიდვის აკრძალვამ უკანასკნელ ომის დროს რუსეთში. ლოთობა ოდნავადაც არ შემცირებულა, პირიქით, უფრო გაძლიერდა, მოეწყო რამდენიმე ათასი საიდუმლო არყის სახდელი ქარხნები. იყიდებოდა სხვადასხვა სუროგატები, მაგალითად პოლიტურა, ოდეკალონი, დენატურატი, დიდი გრადუსიანი დიუტი, ჩუმად გამოხდილი არაყი და სხვა, რაც აუარებელ ხალხს სწამლავდა, და სამუდამოთ აავადებდა, ასახიჩრებდა. ყველა ამ „სასმელებს" ლოთები შოულობდენ, იძენდენ მამასისხლად ე. ი. შაურის მაგივრ აძლევდენ მანეთს. ასე, რომ ლოთობას არ დაუკლია, სამაგიეროდ მოგებულნი დარჩნენ სხვადასხვა ჯურის ჩარჩი-სპეკულიანტები. აქედან აშკარაა, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, უნაყოფო იქნება, თუ ის ვაწარმოეთ შიშველი ადმინისტრატიული წესით. ლოთობა არის ავადმყოფობა, რომელიც ამა თუ იმ პირს გამჯდარი აქვს ძვალსა და რბილში. ამიტომ საჭიროა ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა სულ სხვა ზომებით და საშუალებით, და არა ადმინისტრატიული ზომებით.

განა ამერიკაში არ არის აკრძალული მაგარი სასმელების გაყიდვა? მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იქ, ლოთობა ვერ მოსპეს, ამერიკაში მაგარი სასმელები შეაქვთ აეროპლანებით, წყალქვეშა ნავებით და სხვა.

ერთი სიტყვით ლოთობის წინააღმდეგ უნდა აწარმოვოს მშრომელმა მასამ სასტიკი ბრძოლა, მაგრამ არა მაგარი სასმელების გაყიდვის აკრძალვით, რესტორან-სამიკიტნოების დახურვით, როგორც ამას მოითხოვენ ზოგიერთები, არამედ კულტურული მუშაობის გაძლიერებით.

ჩემი აზრით, პირველ რიგში უნდა დაარსდეს ჩვენში სიფხიზლის საზოგადოება, რომელიც **გაუძღვება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას პრაქტიკულად და იდეურად.**

ქ. ხომერიკი.

ჩაის კულტურა ჩვენში

სამი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაარსდა და მუშაობა დაიწყო საზ.-ბა „საქართველოს ჩაი"-მ.

„საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ მისი დაარსების პირველ დღეებში ჩაიბარა საქართველოს და აჭარისტანის მიწათმოქმედების სახკომისარიატისაგან სულ „754" ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მდგომარეობა ამ პლანტაციებისა უსაშინლესი იყო: თითქმის თვითეული ჩაის ბუჩქი მოუვლელობისა გამო, განადგურების გზაზე იდგა. პლანტაციები თავის დროზე არ იწმინდებოდა ბალახისაგან არ სწარმოებდა ჩაის მავნებლებთან ბრძოლა, რის გამო ბუჩქი თანდათან ზიანდებოდა და სუსტდებოდა.

„საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ თავის მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია უკვე არსებულ პლანტაციების გაუმჯობესება-გაჯანსაღებას და ამიტომ გადასინჯული იქნა მუშაობის მთელი ის მეთოდები, რომლებიც უწინ ამ პლანტაციებში სწარმოებდა. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები გაწმენდა-დამუშავების მხრივ და დღეს,—სამი წლის მუშაობის შემდეგ, პლანტაციებმა მიიღეს კულტურული სახე, რამაც საშუალება მოგვცა აგვეწია მოსავლიანობა და გაგვეუმჯობესებინა ჩაის ხარისხიც.

„საქ. ჩაიმ" დიდი ყურადღება მიაქცია ახალი პლანტაციების გაშენებას, ამ მხრივ მუშაობის მთავარი მომენტია: გლეხის პლანტაციის სივრცის საგრძნობი გაფართოება. ნაწილი იმ დიდძალი მიწის ფართობისა, რომელზედაც თითქო ვერც ერთი კულტურა ვერ ხარობდა,—დღეს გამოყენებულ იქნა და მათზე ახალი პლანტაციებია გაშენებული, რამაც საგრძნობლად შეამცირა უმუშევრობა სოფლებში და ფინანსიურად კი გლეხური მეურნეობა გააძლიერა. 1926 წელში გაშენებულ იქნა 26 ჰექტარი; 1927—573 ჰექტარი, ხოლო 1928 წელში 2071 ჰექტარი. სულ, დღეს-დღეობით გვაქვს 2.670 ჰექტარი.

ჩაის ბუჩქი მრავალწლიანი კულტურაა. ის მოსავალს იძლევა მესამე წლიდან და სრულმოსავლიანი კი ხდება მეშვიდე-მერვე წლის შემდეგ. რის გამო ჩაის კულტურა ითხოვს შრომისა და რესურსების დახარჯვას; რადგან ჩაის ბუჩქი შემოსავალს მხოლოდ მეოთხე წლიდან იძლევა, ამიტომ გლეხისათვის შექმნილია შესაფერი პირობები ჩაის გასაშენებლად. ჩაის მოყვანელს ეძლევა ყოველმხრივი აგრონომიული უფასო დახმარება და სათესლე რჩევა-დარიგება. გარდა ამისა, მას მთავრობის მიერ ეძლევა სათესლე მასალა და გრძელვადიანი სესხი. საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია ჩაის ფართობის 40.000 ჰექტარამდე აყვანა 1934 წლისათვის.

თუ „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა კიდევ უფრო გააცხოველებს თავის მუშაობას 40.000 ჰექტარი განსაზღვრულ დროში აუცილებლად გაშენდება. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე, რომ გლეხობამ, ადგილობრივ ხელისუფლების და პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სათანადო დახმარება გაუწიონ „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობას.

საჭიროა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკების და საკრედიტო ამხანაგობის მონაწილეობა ამ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმის წარმატებით დამთავრებისათვის. რადგანაც მთავრობის მიერ თანხის სწორი განაწილება და თავის დროზე პლანტატორებისათვის მიწოდება დიდ როლს თამაშობს ყოველ მუშაობის ნორმალური განვითარების საქმეში. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურის ასეთი სწრაფი ტემპით განვითარებისა და მთავრობის დირექტივის უმტკივნეულოდ ჩატარებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს გლეხობისათვის თავის დროზე მიწოდებას. ის სამწუხარო ფაქტები რომლებსაც წარსულში ადგილი ჰქონდა, მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. „საქართველოს" ჩაი"-ს გამგეობის 1927 წლის მოთხოვნა ოცდაოთხი მანქანა-იარაღის მომარაგების შესახებ, შესრულებულ იქნა მხოლოდ 1928 წლის დასასრულში და ისიც შემდეგი სახით: სამი ტრაქტორის მიწოდებით, რომლებიც არც ისე გამოსადეგი აღმოჩნდა, როგორც ეს საჭიროა ჩაის რაიონების ნიადაგებისათვის.

ახალი გეგმის სავსებით გასამართლებლად და მთავრობის დავალების ასრულება სავალდებულოა თვითეულ ჩვენთაგანისათვის და იმედი უნდა გვქონდეს რომ ასი პროცენტით შესრულებული იქნება ის გეგმა, რომელიც ჩვენ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს საზღვარგარეთიდან შემოტანილი ჩაის ნაცვლად საბჭოთა ბაზრის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს ადგილობრივი ჩაის საშუალებით.

ა. ქავთარაძე.

ლიტერატურული დისპუტი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გამართა ოთხშაბათს ლიტერატურული დისპუტი. მოისმინეს იქნა

ამხ. პ. ქიქოძის მოხსენება

შემდეგ თემაზე: „ქართული მხატვრული პროზა, პოეზია და კრიტიკა 1928 წელში".

მომხსენებელი აკეთებს გასული წლის ლიტერატურის მიმოხილვას და ცალ-ცალკე არჩევს თვითეულ ლიტერატურულ მიმართულების მიერ მიცემულ პროდუქციას.

წარსული წელი, ლაპარაკობს მომხსენებელი, ხასიათდება კლასთა ბრძოლის გამწვავებით ლიტერატურულ ფრონტზე. 1927 წელს ეს ბრძოლა აშკარად არ სწარმოებდა. მემარჯვენე მწერლები ამხანაგური დეკლარაციების საფარს ქვეშ ემზადებოდნენ, ქმნიდნენ შინალიტერატურულ ემიგრაციას და ამზადებდნენ იარაღს შეტევისათვის.

ამ შეტევის განხორციელება ჩვენ ვნახეთ გასულ წელს ჟურნალ „არიფიონის" სახით.

მემარჯვენე ლიტერატურის სათავეში იდგნენ ფეოდალური ინტელიგენციის ნაშთები, რომელნიც ფეოდალური იდეების შემოპარების საშუალებით მიზნათ ისახავდნენ ლიტერატურულ პოზიციების გამაგრებას და ლიტერატურის სათავეში ჩადგომას.

მომხსენებელს მოჰყავს მაგალითისათვის ადგილები „არიფიონის" გარშემო დარაზმულ მწერლების ნაწარმოებებიდან. ასახელებს გერონტი ქიქოძის წერილს, სადაც იგი სილამაზით ჯვარის მონასტერს „ზაჰესზე" მაღლა აყენებს, შ. დადიანის „ათე"-ს, რომელშიაც მოცემულია ფეოდალიზმის იდეალიზაცია, შანშიაშვილის „შოთას ბეჭედს", რომელშიაც შოთას და თამარ მეფის დროის იდეებით გამოდის მწერალი, ჯავახიშვილის მოთხრობას „დამპატიჟე", რომელიც წმინდა კულაკურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ასეთი ფეოდალური ლიტერატურის მესვეურნი, ლაპარაკობს მომხსენებელი, დარწმუნებულნი იმაში, რომ საკუთარი ძალებით ისინი დიდ შედეგებს ვერ მიაღწევდნენ, უკავშირდებიან ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ ასეთ მოკავშირეებად მათ ჰყოლიათ დეკადენტური მწერლები, როგორიც არიან კ. გამსახურდია, რობაქიძე და სხვები. უკანასკნელთა ლიტერატურული ფიზიონომია ასეთია: ორიენტაცია ბურჟუაზიულ ევროპაზე პლიუს ქართული პატრიოტიზმი.

მომხსენებელი შემდეგ ახასიათებს სიმბოლისტების ლიტერატურულ სახეს და აღნიშნავს, რომ ისინიც იმ საერთო ფრონტს ამაგრებენ, რომელიც ჩვენი პროლეტარული ლიტერატურის წინააღმდეგ არის მიმართული.

მათი სახით ჩვენ გვყავს კლასიური მტრები, რომელთაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. ისინი როგორც იდეის, ისე მხატვრული ფორმის მხრივ უკან დამხევი ძალები არიან.

შემდეგ მომხსენებელი გადადის პროლეტარულ მწერლების დახასიათებაზე და ლაპარაკობს, რომ ჩვენი პროლეტარული მწერლობა გასულ წელს, სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა ანტისაბჭოთა პროლეტარულ მწერლობის შემოტევას, მაგრამ პროლეტარულ მწერლობას დიდი [illegible] როგორც პროზის, ისე პოეზიის დარგში. [illegible] თანამგზავრებათ, მაგრამ თანამგზავრობას თავისი დრო და ვადა აქვს. „მუდმივი თანამგზავრობა" წარმოუდგენელია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, ბ. ჟღენტმა, პ. იაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ტ. ტაბიძემ, ამხ. ვარდინმა, ნ. ზომლეთელმა და სანდრო ეულმა.

კ. გამსახურდია თავის სიტყვას ანდომებს იმის მტკიცებას, თითქოს ის არ არის უცხო ელემენტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომ ვითომ პოლიტიკაში ის არ ერევა და მის ნაწარმოებშიაც არაფერია (!) ანტიპროლეტარული, ვისაც ჩემი შეფასება უნდა, მან უნდა გადაიკითხოს ჩემი შვიდი თეთრი წიგნი, რომელიც მე მივეცი ქართველ მკითხველს.

მიხ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს, რომ ის სდგას არიფიონის თვალსაზრისზე. მისი აზრით პოლიტიკის თვალსაზრისით არ უნდა ხდებოდეს ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება. მე ჩემს ნაწარმოებში, თუ საბრალო ტიპები გამომყავს, ეს იმიტომ, რომ მე თანაგრძნობის ღირსათ მიმაჩნია ყოველი ჩაგრული და დაბეჩავებული ადამიანი.

ამხ. ი. ვარდინ-მგელაძის სიტყვა

ამხ. ვარდინი პასუხს აძლევს კ. გამსახურდიას და მ. ჯავახიშვილს და აღნიშნავს შემდეგს:

— ჩვენ მტრისა და მოყვარის გარჩევა ვიცით. გამსახურდია რომ მოყვარე იყოს, ჩვენ მას მივიღებდით და მოყვრულათ მოვექცეოდით. მან სთქვა, რომ შვიდი თეთრი წიგნი მაქვსო: საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს წიგნი თეთრია და არა წითელი. როცა ლაპარაკობთ: მტრები არ ვართო, ეს თქვენი სამწერლო მოღვაწეობით უნდა დაგვიმტკიცოთ. ის, რაც თქვენ დასწერეთ, არ გამოგვადგება ჩვენ, არ გამოადგება პროლეტარულ მკითხველს. აქ გამსახურდია ლაპარაკობდა:—მე მწერალი ვარ და არა პოლიტიკოსიო. ეს არ არის მართალი, ყველა მისი ნაწარმოები პოლიტიკური ხასიათისაა. იქნება კ. გამსახურდია უარყოფდეს ყოველივე ბურჟუაზიულს, მაგრამ ეს უარყოფა მას გამოუდის ფეოდალურად და არა პროლეტარულად.

ჯავახიშვილმა სთქვა, რომ იგი ყველანის ნიადაგზე სდგას. არიფიონის პროგრამა უარყო ჩვენმა კრიტიკამ, უარყო მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ამის შემდეგ ასეთი განცხადება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ურთიერთ შორის სალაპარაკო აღარაფერი დაგვრჩენია, ჩვენ გადაჭრით დაპირისპირებული ვართ ერთმანეთის წინააღმდეგ.

ჯავახიშვილმა სთქვა, რომ იგი ყველა ტანჯულის თანამგრძნობია. ეს კი ჩვენთვის არ არის მისაღები. ჩვენ დამარცხებულ მტერს რომ თანაუგრძნოს ჯავახიშვილმა, ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. თუ გსურთ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე იყოთ, შეიძულეთ ის, ვინც ჩვენ გვძულს.

კამათის დასრულების შემდეგ მომხსენებელმა საბოლოო სიტყვაში პასუხი გასცა გამოსულ ორატორებს.

დისპუტი გათავდა ღამის 1-ლ საათზე.

საქართველოს ექიმთა მე-5 კონგრესი

უკანასკნელი სხდომა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

29 იანვარს დილის 11 ნახ. საათზე პროფ. ალ. ალადაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა მე-5 კონგრესის უკანასკნელი პლენარული სხდომა.

მისალმების დეპეშები

მდივანი აქვეყნებს კონგრესის პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ მისალმების დეპეშებს, რომელიც გაეგზავნა ამიერ-კავკასიის ცაკს, საქართველოს ცაკს, სახკომისართა საბჭოს საქ. კომპარტიის ცაკას და აჭარისტანის მთავრობას.

„სრულიად საქართველოს ექიმთა მე-5 სამეცნიერო კონგრესი რომელიც გაიხსნა საბჭოთა აჭარისტანის დედა-ქალაქში—ბათომში 24 იანვარს, ესალმება ა. კ. ცაკს, საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს, საქ. კომპარტიის ცაკას და აჭარისტანის ცაკს, სახკომსაბჭოს და საოლქო პარტიულ კომიტეტს. კონგრესი სთვლის თავის მნიშვნელოვან ამოცანად იმ პრობლემების შესწავლას რომელიც წარმოიშვა ხალხის ეკონომიურ განვითარებასთან დაკავშირებით მისი ჯანმრთელობის დასაცავათ.

კონგრესი იმედოვნებს, რომ ამ ამოცანათა მეცნიერული შესწავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი აღნიშვნა იმ ღონისძიებათა, რომელთა განვითარება საქართ. მშრომელ ხალხს გაადვილებს და ამგვარად ხელს შეუწყობს ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნებს და ჩვენი მშრომელი ხალხის მოთხოვნილებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის (ცხოვრებაში) გატარებას.".

რეზოლიუციები საპროგრამო საკითხებზე

კონგრესმა ერთხმად მიიღო საპროგრამო საკითხებზე გამოტანილი რეზოლიუციები:

რეზოლიუციაში კუჭის წყლულის შესახებ ნათქვამია, რომ კუჭის წყლულის წარმომშობ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოფაცხოვრებას, კონსტიტუციონალურ და რასიულ თავისებურებებს: კონგრესი სასურველად სთვლის გაგრძელდეს მრავალი წყლულის რთული პრობლემის შესწავლა კლინიკებსა და საავადმყოფოებში და აგრეთვე წყლულის გავრცელების შესწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

რეზოლიუციაში კოლიტების შესახებ აღნიშნულია, რომ ეს დაავადება ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, რასაც მთელ რიგ სხვა პირობებთან ერთად, ხელს უწყობს სუბტროპიკული ჰავა და მოსახლეობის თავისებური კვება-საზრდოობა. ეს ავადმყოფობა ხშირად ქრონიკულ მიმდინარეობას იღებს, მძიმე სისხლნაკლებობას იწვევს და ხანგრძლივად ამცირებს მშრომელი ხალხის შრომის უნარს. კონგრესმა საჭიროდ მიაჩნია, რათა სამკურნალო დაწესებულებებმა, საავადმყოფოებმა, წერტებმა და ექიმებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ სნეულების გავრცელების და მიმდინარეობის თავისებურებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. საჭიროა აგრეთვე, რომ ჯანმრთელობის ადგილობრივმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ სნეულების წინააღმდეგ პროფილაქტიურ ზომების მიღებას.

მომავალი მე-6 კონგრესის საორგანიზაციო ბიუროს არჩევა

კონგრესმა დაადგინა მომავალი მე-6 კონგრესი მოწვეული იქნას 1931 წელს. ქ. სოხუმში. არჩეულ იქნა მე-6 კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე პროფ. ალ. ალადაშვილი, მდივნები: პრ. დოც. მ. მგალობლიშვილი და ექ. ასლანიშვილი, წევრები: ამხ. გ. [illegible], პროფ. ნათიშვილი, პრ. ამირეჯიბი; პრ. ღამბაშიძე; პრ. მ. წინამძღვრიშვილი, პრ. გ. ელიავა, პრ. ს. ვირსალაძე, პრ. გ. გ. მუხაძე პრ. ს. ყიფშიძე, ექ. ივ. კონიაშვილი პრ. დოც. ვ. ცაცხლაძე; დოც. შ. მიქელაძე; დოც. ა. წულუკიძე, პრ. იგ. თიკანაძე, ექ. ექ. ზედგინიძე, გ. მეფარიშვილი, მამულია; ფანცხავა; მ. ზაალიშვილი; ივ. ლორთქიფანიძე; ანჩაბაძე, ჯაფარიძე (სოხუმი). პ. გიგინეიშვილი (ბათომი). რ. შაშიაშვილი (ბათომი), ა. გრიგოლია (სოხუმი), ჩ. ლოსაბერიძე (ქუთაისი), ექ. ვლ. ლორთქიფანიძე, გვერდწითელი, ქ. ელიოზიშვილი, (გორი); ი. ჩიქვაიძე (გურჯაანი), ექ. ბალიშვილი (თელავი), დარჩიაშვილი (სიღნაღი), ი. ასათიანი (ახალციხე) ალ. წერეთელი (ზესტაფონი), ს. ხუნდაძე (ჭიათურა), ნ. გამრეკელი (ჭიათურა), გ. ჟორჟიკია (ახალსენ.); ჰედია (ზუგდიდი). ასათიანი (ოზურგეთი), მჭედლიშვილი (ჭრებალო), ჩირგაძე (ბორჯომი).

მე-6 კონგრესის საპროგრამო საკითხები

კონგრესმა დაადგინა მომავალ კონგრესზე დაშვებული იქნას მოხსენებები მხოლოდ საპროგრამო საკითხებზე. საპროგრამო საკითხებად მიღებული იქნა შემდეგი თემები:

1) რევმატიზმით დაავადებანი საქართველოში.
2) ჰიპერტონზიის ეტიოლოგია და პათოლოგია.
3) ბავშთა სიკვდილობა და მასთან ბრძოლის მეთოდები საქართველოში.
4) ორგანო—ვეგეტატიური (სიმპატიური) ნერვების სისტემა. მისი ანატომია, ფიზიოლოგია, სიმპტომატოლოგია და გამოკვლევის მეთოდები.
5) ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში.
6) პროფესიონალურ სნეულებათა გავლენა მოსახლეობის დაავადებაზე.

ექ. ვ. ვეფხაძე.

ამხ. კუჭაიძე საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესის შესახებ

ბათომი, 30 იანვარი. საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. კუჭაიძემ ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საქართველოს ექიმთა მეხუთე კონგრესის შედეგების შესახებ განაცხადა:

„საქართველოს ექიმთა კონგრესზე, რომელიც ბათომში შესდგა, გაკეთებულ იქნა სამი მთავარი მოხსენება: კუჭის რგვალი წყლულობა, კოლიტებისა და მოსახლეობის მოძრაობის შესახებ საქართველოში. გარდა ამისა, კონგრესმა პროგრამის გარეშე მოისმინა 60-მდე მოხსენება მედიცინის სხვადასხვა დისციპლინების მოძრაობის შესახებ საქართველოში. ამ წილეობა მიიღო როგორც ცენტრის, ისე პერიფერიების მეცნიერულ ძალთა ფართო წრეებმა.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო მოხსენებები პროგრამის მესამე საკითხზე—მოსახლეობის მოძრაობის შესახებ საქართველოში. ამ მოხსენებებმა პირველად მოგვცეს სრული სურათი საქართველოს მოსახლეობისა ეროვნების, ასაკის და სქესის მიხედვით. ეს მოხსენებები შეიცავდნენ დაწვრილებით დამუშავებულ ცნობებს, დაწყებული 1870 წლიდან, საქართველოს მოსახლეობის დაბადების, მოკვდაობის, ქორწინების და ბუნებრივი ზრდის შესახებ ეროვნებათა მიხედვით. მოხსენებების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ნორმალურად მიმდინარეობს, განსაკუთრებით გასაბჭოების შემდგომ წლებში. ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდის პროცენტი საგრძნობლად აღემატება ასეთსავე პროცენტს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ეს აიხსნება ფართო მუშურ-გლეხური მასების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებით, საექიმო სანიტარული ქსელის გაფართოებით და იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ შრომის დაცვისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში.

თავის დასკვნაში საქართველოს მოსახლეობის მოძრაობის შესახებ კონგრესმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ბავშთა მოკვდაობის წინააღმდეგ, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რისთვისაც უნდა გაიხსნას ბავშობისა და დედობის დაცვის საექიმო-პროფილაქტიური დაწესებულებები. გარდა ამისა, კონგრესმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა სოციალური სნეულებების—მალარიის, ტუბერკულიოზის, ანკილოსტომიის და სხვ. წინააღმდეგ და სერიოზული ყურადღება მიექცეს ერთი რაიონიდან მეორეში გადასახლებას.

შემდეგისათვის, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან დაკავშირებით, კონგრესი საჭიროდ სთვლის სერიოზული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, ფიზიკურ აღზრდას. ამ მიზნით შემდეგი კონგრესის პროგრამაში შეტანილი იქნება სპეციალური საკითხი ამ თემაზე.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კონგრესმა მეტად ცოცხლად ჩაიარა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ძალთა მთელმა შემადგენლობამ. კამათში მონაწილე ორატორებმა მოგვცეს ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი ამა თუ იმ საკითხის გაშუქების დროს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფართო და მდიდარი საექიმო გამოფენა, რომელიც გაიხსნა კონგრესის დროს. გამოფენის მოწყობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა თავისი დაწესებულებებით, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ, აჭარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა, ამიერ-კავკასიის რკ. გზების ჯანმრთელობის განყოფილებამ და სხვ. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ოთხი დღის განმავლობაში იგი 5.000 კაცმა ინახულა (ადს).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

მესამე ტირაჟი დაიწყება 16 თებერვალს

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

16 თებერვალს საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად სოფელ გურჯაანში შესდგება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა მესამე ტირაჟი. ტირაჟის ჩასატარებლად ყოველგვარი წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია. ტირაჟთან დაკავშირებით გამოიცა მაზრის ხელისუფლების მოწოდება გლეხობისადმი. ტირაჟს დაესწრებიან გლეხი დელეგატები ამიერ-კავკასიის სხვადასხვა მაზრებიდან.

ჭოჭუა.

ქრონიკა

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს ქ. თბილისისა და მისი მიდამოების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 2 თებერვალს მლაშე ტბას მახლობლად იწარმოებს საარტილერიო სროლა. 4 და 5 თებერვალს სასროლო მოედანზე (ვაკეზე) იწარმოებს სროლა ტყვიისმფრქვევლებიდან.

მარმარილოს გატანა საზღვარგარეთ

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რა რაოდენობით შეიძლება მარმარილოს გატანა ა.-კავკასიიდან საზღვარგარეთის ბაზარზე. ამავე მიზნით გამოკვლეული იქნება მარმარილოს ხარისხი და თვითღირებულება.

თბილისის აღმასკომში

◆ **სახლის გადაცემა გლეხკომისათვის.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით სასტუმრო „დუშეთი“-ს შენობა გადაეცა თბილისის სამაზრო გლეხკომს.

◆ **აგარაკების გაქირავების ნიხრი.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საკურორტო განყოფილების მიერ წარდგენილი აგარაკების გაქირავების ახალი ნიხრი მომავალი საზაფხულო სეზონისათვის.

◆ **ვაჭრობის განსაზღვრის წესი.** თბილისის აღმასკომმა მიანდო იურიდიულ განყოფილებას დაამუშაოს თბილისის მაზრაში ვაჭრობის ახალი წესი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

სამეცნიერო მივლინება. ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით, საფრანგეთში იგზავნება სამეცნიერო მიზნით საქ. უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ-თერაპევტიულის კლინიკის უფროსი ასისტენტი ნიკ. ყიფშიძე.

◆ **მუშათა დისპანსერიზაციის კაბინეტი.** ჯანმრთელობის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გახსნას თბილისში მუშათა დისპანსერიზაციის კაბინეტი.

◆ **პიონერთა ჯანმრთელობის შემოწმება.** ჯანსახკომის საგანგებო კომისიამ საჭიროდ სცნო ჩაატაროს მთელ რესპუბლიკაში პიონერთა ჯანმრთელობის შემოწმება.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **ცემენტის ქარხნის სამუშაოები.** ახალშენებათა სამმართველომ დაამუშავა და ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა კასპის ცემენტის ქარხნის სამუშაოთა კალენდარული გეგმა.

◆ **ტყვარჩელის სამუშაოები.** ს. მ. უ. საბჭოში მიღებული ცნობით, ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონში ახალი გამოკვლევების ჩასატარებლად წელს გაღებული იქნება 500.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **ჩაიბარებით დეპოში.** გორიდან—ოზურგეთს, ზესტაფონიდან—თარცვანის, ქოვიანდან—ხანჩალიანცს გურჯაანიდან—ჩიქვაიძეს. პეტროპავლოვსკიდან—ოსმანიანცს და სტარი-ვიდოვგიდან—ივანიანცს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ბორის გოდუნოვი“

—ოპერა მუსორგსკისა

მუსორგსკის მუსიკას პირველ ყოვლისა ახასიათებს რეალური მიდგომა ცხოვრების ყოველნაირ შემთხვევებთან და სინამდვილის დაკავშირება გმირთა მოქმედებასა და ჰარმონიასთან. „ბორის გოდუნოვის“ მომქმედ პირების განსახიერება მოითხოვს ამ ოპერის მუსიკალურ შინაარსის დეტალურად შეგრძნობას არტისტის მიერ. პიროგოვის გამოსვლა თბილისის საოპერო სცენაზე გოდუნოვის პასუხისმგებელ როლში მაჩვენებელია, რომ ამ არტისტის მთავარი ნიჭი მიისწრაფვის რეალიზმისაკენ და ადვილად სძლევს ყოველ სიძნელეს, თუ ამას აქვს ადგილი მწვავე დრამატიზმის სფეროში. პიროგოვი იმდენად მძლავრი და რეალურია ბორის გოდუნოვის როლში, რომ მაყურებელს ავიწყდება სცენიურ წარმოდგენის პირობითი ხასიათი, და არა მარტო მაყურებელს, არამედ იმ მსახიობებსაც, რომელნიც პიროგოვთან ერთად მონაწილეობენ წარმოდგენაში. ის ფაქტი, რომ არტისტი, შემსრულებელი მეფის შვილის როლისა (ოვჩარენკო) ატირდა ნამდვილი ცრემლებით უკანასკნელ მოქმედებაში ბორის გოდუნოვის სულიერ განცდის და სიკვდილის დროს,—საკმარისად ნათელჰყოფს, თუ რამდენად მძლავრია შთაბეჭდილება პიროგოვის შემოქმედებისაგან ბორის გოდუნოვის როლში.

დანარჩენ ამსრულებელთა რიცხვიდან ჩვეულებრივ სიმაღლეზე ვნახეთ ნიჭიერი დემიანენკო მოხეტიალე ბერის მისაილის როლში. სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა თავისი მუსიკალობით, სიმღერით და სცენიურ შეხედულებით რეპეზოვამ (მარინას როლში). უფრო გასახარელად მიგვაჩნია ჩვენი ოპერის ახალგაზრდა ძალების გამოყენება „ბორის გოდუნოვში“ და სრული კმაყოფილება მაყურებლებისა ამ ძალების ვოკალურ შემოქმედებისაგან, მაგ., ოვჩარენკოსი (ფეოდორი) და რომანოვსკისა (ქსენია). ამ ოპერის დადგმაზე და მომქმედ პირების მიზანსცენებზე გავჩუმდებით, ვინაიდან ყველაფერი ეს, აგრეთვე გუნდის შემოქმედება და მასიური სცენები არ დაშორებულან ძველ ტრაფარეტს და შაბლონებს.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

მწერალ-ქალის განდეგილის გარდაცვალების გამო

გუშინ, ნაშუადღევს ხელოვნების სასახლეში შესდგა გამსვენებულ მწერალ ქალის—განდეგილის დამკრძალავი კომიტეტის პირველი სხდომა.

დამკრძალავმა კომიტეტმა გადასწყვიტა რომ განსვენებული დაკრძალულ იქნეს მწერალთა პანთეონში—დიდუბეში 3 თებერვალს. ცხედარს ხელოვნების სასახლიდან გამოასვენებენ კვირას, ნაშუადღევის სრულ 1-ლ საათზე. იმავე დღის 12 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

დამკრძალავი ხარჯები თავის თავზე მიიღო საბჭოთა მწერლების ფედერაციამ.

ქუთაისის მაუდი

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, ქუთაისის მაუდის ფაბრიკის წლიური პროდუქცია (ფაბრიკის საწარმოო გეგმის თანახმად) უდრის—154.000 მეტრს, რაც ფულად დახლოვებით 1.100.000 მანეთს შეადგენს. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ფაბრიკის მთელი წლის პროდუქცია განაწილა შემდეგ ნაირად:

ვინაიდან მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში ცენტრალური მრეწველობისაგან მიღებულია შალეულის მცირე მარაგი, ქუთაისის ფაბრიკის მთელი პროდუქცია გადაეცემა ცეკავშირს ადგილობრივ ბაზარზე გასანაწილებლად; მესამე კვარტალის მთელი პროდუქცია გადაეცემა სახ. ვაჭრ. საპაიო ამხანაგობას, რომელიც ამ შალეულის ნაცვლად საქართველოში შემოზიდავს იმავე ღირებულების ბამბის ქსოვილებს. მეოთხე კვარტალის მთელი პროდუქცია გასაღებული იქნება (ცეკავშირის და მუშკოოპის ხაზით.

გუმბრინ-ფლორიდინის ექსპორტი

„ზაკგოსტორგ“-ს მიმდინარე წლის განზრახული აქვს ცდის სახით ორი ვაგონი გუმბრინ-ფლორიდინის გატანა საზღვარგარეთის ბაზარზე.

როგორც მკითხველებმა იციან, ქუთაისის მაზრის სოფელ გუმბრში აღმოჩენილია ფლორიდინის დიდი ბუდობები. ამ მადნის გამოკვლევამ დაამტკიცა რომ გუმბრის ფლორიდინი გაცილებით უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ფლორიდინის მადანი.

ზემოაღნიშნულ გუმბრინ-ფლორიდინის წარმოება საქართველოს სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს სამთო-მადნო ტრესტმა დაიწყო გასული წლის ზაფხულს. ამჟამად გუმბრში სწარმოებს მადნის დამმუშავებელ დიდი ქარხნის აგება, რომლის ამოქმედების შემდეგაც გუმბრინის წარმოება იმდენათ გაფართოვდება, რომ საკმაოდ დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას. გარდა ამისა შესაძლებელი იქნება მისი დიდი რაოდენობით გატანა საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

პარტიული ცხოვრება

რკინისგზეზე

62.016 მან. მუშათა გამომგონებლობისათვის

მიმდინარე წელში ა.-კ. რკ. გზას, წარმოების რაციონალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად და მუშათა გამომგონებლობისათვის ხელის შესაწყობად მიეცემა 62.016 მანეთი.

თანხა უკვე განაწილებულია ცალკე განყოფილებათა შორის. სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანას მიეცა 12.000 მანეთი.

სალიანდაგო განყ. ახალი უფროსი

ა.-კ. რკ. გზის სალიანდაგო განყოფილების უფროსად დაინიშნა ინჟ. დიკაროვი.

ფაკულტეტის გადაცემა

ა.-კ. რკ. გზის გამგეობის თხოვნის თანახმად, რკ. გზ.-ს ტრანსპორტის განათლების ცენტრალურმა სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა გზათა სახ. კომისარიატის წინაშე რათა თბილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საექსპლოატაციო-სამშენებლო და მექანიკური ფაკულტეტების ხელმძღვანელობის საქმე გადაეცეს გზათა სახ. კომისარიატს.

მატ. № 9—10 გაუქმებულია

მგზავრების სიმცირის გამო, სახალხო მატარებელი №9—10 რომელიც დადიოდა თბილის-ბათომს შორის კვირაში სამჯერ, 1 თებერვლიდან სრულიად უქმდება.

სასამართლო

განაჩენი მოქ. მილოვის, ნათენაძის და სხვ. საქმეზე

თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. კურამშვილის თავმჯდომარეობით გუშინ დაასრულა იმ პირთა გასამართლება, რომელნიც სპეკულიაციას ეწეოდნენ მუშკოოპის მაღაზიიდან გამოტანილ ფართლეულით.

მუშკოოპის № 90 მაღაზიის გამგეს ტიგრან მილოვს და მის ხელქვეით ნოქარს ბაგრატ ნათენაძეს მიესაჯათ დისციპლინარული სასჯელი.

კერძო გადამყიდველებს: ანტონ მგალობლიშვილს, ტერ-კაზაროვს ივანოვს, მინაშიროვს, გალუსტოვს; კალთმოხოვს და მიხეილ თედიაშვილს, რომელთაც მაღაზიიდან სისტემატიურად გაჰქონდათ საქონელი კერძო ბაზარზე გასასაღებლად მიესაჯათ ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

კერძო ვაჭრებს: ალიხანოვს, მეჩიტოვს, ლოტოევს და სადაგოვს, რომლებიც სპეკულიაციას ეწეოდნენ გადამყიდველებისაგან შეძენილ საქონლით მიესაჯათ ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ოჯახური დრამა

თბილისში დასავლეთის ქ. № 5 სახლში 1922 წლიდან ცხოვრობდა ცოლ-ქმარი ლიდია გრიგოლის ასული და ლიუდვიგ მარგულეცი.

სამი წლის განმავლობაში ცოლ-ქმარს შორის კარგი დამოკიდებულება იყო, მაგრამ 1925 წლიდან ეჭვიანობის ნიადაგზე მათი ურთიერთი დამოკიდებულება მეტად გამწვავდა.

გახშირდა ცოლ-ქმარს შორის ჩხუბი და შეხლა-შემოხლა, რასაც შედეგად მოჰყვა მათი გაყრა.

ეჭვიანობდა ცოლი ლიდია, რომელმაც მიატოვა ლიუდვიგი და მეგობარ ქალთან გადასახლდა საცხოვრებლად.

ლიუდვიგ მარგულეცი ვერ შეურიგდა ცოლის განშორებას და თხოვნით მიმართა მას დაბრუნების შესახებ. ლიდიასაც უყვარდა ლიუდვიგი და ბევრი თხოვნა აღარ დასჭირდა. დაუბრუნდა ქმარს.

რამდენიმე ხანი დაჰყვეს ერთად; მაგრამ მალე ისევ თავი იჩინა ეჭვიანობამ, რასაც ჩვეულებრივი სცენები მოჰყვა. ისევ დაისვა საკითხი განშორების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში განშორების ინიციატორი იყო ქმარი ლიუდვიგი.

ლიდია არ დათანხმდა განშორებაზე. ქმარმა „მმაჩ“-იდან აიღო ქაღალდი განქორწინების შესახებ და ფაქტის წინაშე დააყენა ეჭვიანი ცოლი.

ცოლს უსახსრობის გამო არ შეეძლო ცალკე ბინის დაქირავება სხვაგან წასასვლელი ადგილი არ მოეპოვებოდა. ამიტომ საცხოვრებლად ისევ იმავე ბინაში დარჩა. რამაც ერთგვარი ძალა დაუკარგა ლიუდვიგის მიერ „მმაჩ“-იდან გამოტანილ ქაღალდს.

ასე ნახევრად მომდურებულად განაგრძობდნენ ისინი ერთად ცხოვრებას.

გასული წლის 21 ნოემბერს ლიდიას, რომელიც ნავთლუღში იყო გამგზავრებული დაბრუნებისას სახლში დაუხვდნენ სტუმრები: ლიუდვიგის ქალიშვილი პირველი ცოლიდან და ერთი უცნობი ქალი.

ლიდიამ მაშინვე ეჭვი აიღო, რომ ეს უცნობი ქალი მისი ქმრის საყვარელია და ამიტომ ძალიან ცივად შეხვდა მას.

ლიუდვიგმა სადილი გაუმართა სტუმარ ქალს და სუფრაზე თავისი ცოლიც მიიწვია. ლიდიას არაფრად ეხალისებოდა მისი ქმრის საპატიო სტუმრის გვერდით დაჯდომა. მაგრამ განმეორებითი თხოვნის შემდეგ ისიც შეუჯდა სუფრას და ბოღმით დაუწყო ცქერა სტუმარ ქალს.

— მოიქეცი ისე როგორც წესი და რიგია: თუ არ გსიამოვნებს აქ ყოფნა მიბრძანდი — მკაცრით მიმართა ქმარმა ლიდიას.

სტუმარმა ქალმა იგრძნო, რომ თვითონ იყო უკმაყოფილების მიზეზი, ადგა და გამოეთხოვა ყველას სტუმარი გააცილა ლიუდვიგმა. ლიდია ბრაზმორეული ჩაწვა ლოგინში და მორთო ტირილი.

ლიუდვიგმა დაბრუნების შემდეგ ჩხუბი აუტეხა ცოლს სტუმრის ცუდათ მიღებისათვის.

— კიდევ მე მიჩხუბები შენ არამზადავ? ჩემს სახლში საყვარლები მოგყავს და მავალებ მათ კარგად გაუმასპინძლდე? წყრას უკაცრავად!

ლიუდვიგმა არ მოითმინა ცოლის გამოკამათება და წიხლი დაუზილა ლოგინში მწოლარე ლიდიას.

ქალს თურმე სასთუმალს ქვეშ მომზადებული ჰქონდა რევოლვერი. ფარულად მოიმარჯვა ხელში, გამოუშვნა ქმარს და ესროლა. ლიუდვიგი დაიჭრა. ქალმა მეორედ ესროლა და მოარტყა გულში.

დაჭრილი ლიუდვიგი გაიქცა ეზოში. სადაც უგრძნობლად დაეცა ქვებზე. ლიდიამ გამოსდია ქმარს და ქვებზე წაქცეულს კიდევ დაახალა სამი ტყვია. და მოჰკლა.

ქალი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო.

ბერ.

ამინდი საქართველოში

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, 31 იანვარს საქართველოში ასეთი ამინდი იყო:

ბათომი. სიწყნარე ღრუბლიანი დარი, სითბო 5 გრად., ზღვაზე მსუბუქი ღელვა.

ფოთი. ძლიერი ქარი, ღრუბლიანი დარი, სითბო 4 გრად.

ქიათურა. სუსტი ქარი ღრუბლიანი დარი, სითბო 1 გრად.

ბორჯომი. სიწყნარე, მოწმენდილი, ყინვა 5 გრად.

ლიბანი. სიწყნარე, ღრუბლიანი დარი ყინვა 9 გრად.

აბასთუმანი. სიწყნარე, ღრუბლიანი დარი, ყინვა 6 გრად. წინა ღამით თოვდა, თოვლის სისქე 20 სანტიმეტრი.

გორი. სუსტი ქარი ღრუბლიანი დარი, ყინვა 4 გრად.

გუდაური. სიწყნარე, მოღრუბლული, თოვა, ყინვა 13 გრად. თოვლის სისქე 60 სანტიმეტრი.

თბილისი. სიწყნარე მოღრუბლული, დარი, თოვა ყინვა 4 გრად., თოვლის სისქე 10 სანტიმეტრი

საგარეჯო. ღრუბლიანი დარი, ყინვა 6 გრადუსი. წინა ღამით თოვდა.

ლიუქსემბურგი. სიწყნარე, ღრუბლიანი დარი, ყინვა 4 გრად.

—:—

მოსკოვში და ლენინგრადში

მოსკოვში და ლენინგრადში 22 გრად. ყინვა. 30 იანვართან შედარებით მოსკოვში ყინვა შესუსტდა 4 გრადუსით, ხოლო ლენინგრადში გაძლიერდა 2 გრადუსით.

მოსკოვში მოწმენდილია, ქრის სუსტი ქარი, ლენინგრადში ჯანღია.

რადიო-გადაცემა

დღეს 1-ლ თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ოქტომბრელის საათი; გაზეთი „ინი კენდ“: მოხსენება—„ყვავილი და მისი საწინააღმდეგო აცრა“; მოხსენება—„მზადება გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის“; საუბარი (ციკლიდან „ტექნიკა მასებს“; მოხსენება—„პროფკავშირთა საკავშირო ყრილობის შედეგები“, ტექნიკური კონსულტაცია; მრავალფეროვანი კონცერტი; უკანასკნელი ცნობები.

შემთხვევები

18 წლის მონადირის დაჯილდოება

მონადირეთა კავშირში მიღებული ცნობით, კვირას, 27 იანვარს ორთაჭალის რაიონში ე. წ. ბაბანასოვის ტყეში; 13 წლის მონადირე ბავშვმა ვლადიმერ გარდიევმა მოუკლავს ძუ მგელი. ბავშვი მონადირე მამას წაყოლია თოფით იხვებზე სანადიროთ. მგელი პირველად შესჩნებია ბავშვის მამას რომელმაც მგელს ესროლა, მაგრამ ააცდინა.

თოფის ხმით დაფეთებული მგელი გაიქცა იმ მიმართულებით, სადაც ბავშვი იხვებს ეძებდა. მგლის გამოჩენისთანავე ბავშვი არ დაბნეულა და ტყვიის მიზანში გარტყმით მგელი მოუკლავს.

მონადირეთა კავშირმა პატარა მონადირეს მისცა ჯილდო.

თვითმკვლელობა

გუშინ, დავით სოლომონისძე ფურცელაძემ (ვ. ხ. ბარნოვის ქ. 58) თვითმკვლელობის მიზნით სტრიხინინით მოიწამლა თავი. მას აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაუგზავნეს ქალაქის საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას ფურცელაძე გარდაიცვალა.

დაჭრა

თეთრის მოედანზე ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მძიმედ დასჭრა მუშკოოპის სარძეო ქარხნის მუშა შიმშონი დავითისძე მორდუხოვი. დაჭრილი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— შურისძიების მიზნით, ვიღაც ბოროტგამზრახველმა რევოლვერის ტყვიით დასჭრა გიორგი მიხეილისძე ნაცვლიშვილი. მას აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და გადაიყვანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— კარლ მარქსის მოედნის მახლობლად უცნობმა რევოლვერის ტყვიით თავი დაიჭრა გიორგი სიმონისძე ჩხოტუამ (მცხ. ყაზბეგის ქ. 5).

ჩხოტუა გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ხანძარი

31 იანვარს, კალინინის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 3. სასწრაფოდ გამოწვეულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ხანძარი ჩააქრო 10 წუთში. როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაჩენილა საკვამურ მილის გაუწმენდაობის გამო.

ქურდობა

გაქურდეს ტყავეულობის სახელოსნო (კომუნალური ქ. 32). წაიღეს 2.000 მანეთის ტყავეულობა.—გირა განკაბლოვას ოპერის თეატრში მოპარეს 120 მანეთის ნივთები.—არტაშ ისაევის ბინიდან (განაპირა ქ. 22), მოიპარეს 130 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ნიკოლოზ ხატიევის ბინა (საბჭოთა ქუჩა 117), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

1927 წლის 10 პროც. სესხის მერვე ტირაჟი

19 იანვრის საღამოს სხდომა

100 მანეთიანი მოგებანი

ასმანეთიანი მოგებანი ხვდა სესხის ოცივე სერიის შემდეგი ნომრის ობლიგაციებს:

007630	035682	043452	070594	034136	040892	061969	080611
103853	119689	153522	166646	113569	136599	161384	181620
033359	038259	057431	080390	035380	042614	063807	099633
108682	135316	154129	170369	114199	139867	164187	193795

20 იანვრის დილის სხდომა

100 მანეთიანი მოგებანი

ხვდა ოცივე სერიის შემდეგ ობლიგაციებს:

000072	032331	058424	075868	114535	136261	156202	181899
108621	127115	142941	174112	012185	047632	063838	086540
000572	040278	059638	076179	115236	137122	157406	183050
109574	127118	146719	175685	012807	048275	067138	092257
002554	041304	060294	078353	115674	138244	160751	188810
110577	127174	147984	178916	013215	048853	069588	095053
003945	043941	060671	078412	116435	138427	161069	190130
111978	127471	149030	179422	016210	049952	069673	095555
004307	043997	061467	078734	118489	138430	161319	192468
112360	128308	150268	179543	018218	049977	070144	096428
005855	045704	061576	079567	119125	139088	164174	193589
113778	130572	150809	180198	022922	053371	072059	100288
008678	045781	061637	080132	120884	139377	166866	196078
114235	132128	153568	180597	024316	054255	072198	104553
008852	046486	063102	080377	122054	139615	170670	196201
114253	132718	153984	180780	025037	055187	074383	106878
010488	047099	063108	081085	124297	140922	172135	196995
114274	134864	155254	181153	031561	057047	075269	106961
010533	047584	063493	084984	124992	142262	173305	

250 მან. მოგებანი

ობლ.	სერ.	ობლ.	სერ.	ობლ.	სერ.	ობლ.	სერ.	ობლ.	სერ.	ობლ.	სერ.
002191	04	030283	04	066825	11	097473	09	128289	01	161774	10
004465	06	031406	16	067516	15	099763	05	129795	02	163358	15
005119	06	033459	17	067589	15	100968	07	132429	03	164207	04
008202	19	035877	18	067653	16	102262	08	135240	13	165891	11
011962	08	036628	18	070278	20	102549	17	135265	02	167784	11
012407	18	037518	15	071752	03	104772	02	139549	18	168281	20
012776	06	038441	05	074953	02	106411	13	141020	06	171813	17
013351	11	043645	20	074960	07	108796	09	142759	14	174335	01
016590	11	043656	15	077420	10	109818	01	144903	18	174912	03
018110	01	045892	01	084259	03	112459	20	145854	14	175045	16
018420	18	047683	18	086721	01	112795	10	147222	20	175503	03
018859	16	048407	01	087366	20	114588	18	148452	03	177327	02
022885	17	050319	07	088265	02	114954	03	149535	01	178343	19
024945	20	054267	20	088798	11	116367	01	150669	14	179862	09
024968	12	055172	10	089826	15	118230	09	150702	08	185007	01
025070	09	056528	02	090213	14	121039	11	151683	18	189726	11
025257	01	058300	20	090533	12	123165	14	152698	02	191973	17
025515	17	061804	04	092012	06	127365	17	153183	09	197020	19
026063	11	062280	12	093309	01	127505	06	153654	13	198528	17
027358	07	065109	08	095380	05	127674	10	153815	12	199806	06
029645	16	066175	05	095906	08	127718	02	158952	12		

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. ეკონომიური ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტების (ეკონომისტების) წარმოებითი სწავლებისათვის დაწესებულებასა და საწარმოში მიღების შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სამეცნიერო თეორეტიულ მომზადებასთან დაკავშირებით და თანახმად ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლ., ივნისის 14-ს დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 44 №-რი, მუხ. 320) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე შერეულ საზოგადოებებს მიიღოს სამუშაოზე, წარმოებითი სწავლებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მივლინებული სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტები (ეკონომისტები) შემდეგ საფუძველზე.

2. სტუდენტები მიივლინებიან მე-8 სემესტრის განმავლობაში, ყოველი წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-მდე.

შენიშვნა: თვითეულ ცალკე დაწესებულებაში და საწარმოში მისავლინებელ სტუდენტთა რიცხვი შეთანხმებულ უნდა იქნეს დაწესებულებასა და საწარმოსთან.

3. დაწესებულებასა და საწარმოში შესრულებული სამუშაოსათვის სტუდენტები არავითარ გასამრჯელოს არ იღებენ.

შენიშვნა: ამა მუხლის წესი არ შეეხება იმ სტუდენტ-პრაქტიკანტებს, რომელნიც სამუშაოზე მიიღებიან სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ივნისის 14-ს დადგენილების 1—3 მუხლ. შესაბამად (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 44 №-რი მუხ. 320).

4. დაწესებულებისა და საწარმოს ადმინისტრაცია მოვალეა სტუდენტის შრომა ისე გამოიყენოს, რომ მას შეეძლოს შეისწავლოს ის პირობები, რომლებშიაც მომავალში მოუხდება მუშაობა

5. მივლინებული სტუდენტები ყველა სხვა თანამშრომლის თანაბრად, ემორჩილებიან დაწესებულებისა თუ საწარმოს შინაგანაწესის წესს.

6. სტუდენტები შეასრულებენ სამუშაოს იმ პროგრამით, რასაც შეიმუშავებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტი დაინტერესებული დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. პროგრამით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთი სახის სამუშაოდან მეორე სახის სამუშაოზე ისეთი ვარაუდით გადასვლა რომ სტუდენტს შეეძლოს გაიცნოს დაწესებულებისა თუ საწარმოს ორგანიზაციისა და მუშაობის ტექნიკას მთლიანად.

7. დაწესებულებასა და საწარმოში სტუდენტებს ანაწილებს ადმინისტრაცია, რომელიც განსაზღვრავს თვითეული სტუდენტისათვის სამუშაოს ხასიათსა და მუშაობის წესს წარმოებითი პროგრამისა და დაწესებულებისა თუ საწარმოს შესაძლებლობის მიხედვით.

ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე სტუდენტს გადაიყვანს დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის წარმომადგენელთან, შეთანხმებით.

8. მეთვალყურეობის გასაწევად იმისათვის რომ დაწესებულებასა და საწარმოში სტუდენტების სწავლება შემუშავებული პროგრამის მიხედვით სწარმოებდეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტი დანიშნავს პროფესორთა და მასწავლებელთა წრიდან ხელმძღვანელთ, რომელნიც მოვალენი არიან პერიოდულად სათანადო დაწესებულებასა და საწარმოში განსაზღვრონ, დაწესებულებისა თუ საწარმოს ადმინისტრაციასთან ერთად, მივლინებული სტუდენტების შრომის გამოყენების ფორმები და აძლიონ სტუდენტებს მათი სამუშაოს მიხედვით. სათანადო განმარტებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ს. სტეფანოვი.

1929 წ. იანვრის 30.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 1 თებერვალს, დილის 1-ლ საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომპარტიის და კომკავშირის ორივე უჯრედის ბიუროების სხდომა.

სხდომა შესდგება ბიურო-კოლექტივში. გარდა ბიუროს წევრებისა სხდომაზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: აკაკი კაცია, ივანე მეტრეველი, ამბერკი ლეონტისძე ძიგრაშვილი, კალენიკე ივანესძე ჭიჭინაძე, იონა გაბუნია, გიორგი დიმიტრისძე ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბიქტორისძე ჯაფარიძე; სვიმონ იაკინთესძე კობახიძე, სიმონ დიმიტრისძე წვერავა, ნიკოლოზ იუსტინესძე ფანცხავა, გრიგოლ ბართლომესძე კეკელიძე, გერასიმე სოლომონისძე ძიძიგური, გიორგი ზაქარიასძე ლეიაშვილი.

—:—

დღეს 1-ლ თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომპარტიის და კომკავშირის ორივე უჯრედის გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

დღეს, 6 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კომუჯრედის დახურული კრება კომკავშირთან ერთად.

—:—

თბ. სახ. უნ. სამკ. ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო იუწყება, რომ დღეს 1 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგება პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება ოდონტოლოგიური ინსტიტუტის შენობაში პარტიის წევრთა და კომკავშირელთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

თბ. სახ. უნივ. აგროფაკის 1-ლი უჯრედი აცხადებს, რომ დღეს სრულ 12 საათზე ბიურო-კოლექტივში უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხ.: პაპუაშვილი ნიკოლოზ ბიჭიასძე პაპუაშვილი გრიგოლი დავითისძე და მარამიძე.

—:—

პარასკევს, 1 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მე-84 შრომის სკოლის ბინაზე (ავლაბრის ქ. 34) შესდგება მასწავლებელთა კომუჯრედის ღია სხდომა.

სავალდებულოა ყველა კომუნისტის და კომკავშირელის გამოცხადება. სასურველია აგრეთვე უპარტიოთა დასწრება.

საქართველოს ლენინურ კომკავშირის ც. კ. [illegible] საკონფლიქტო კომისია აუწყებს [illegible] წევრს და აგრეთვე წარმოების მუშაკებს, რომელიც მიწვეულნი [illegible] საკონფლიქტო კომისიაში, რომ ხვალ, 2 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე, ნავთლუღის სადგურზე (სამგზავრო) კომკავშირის უჯრედში შესდგება საკონფლიქტო კომისიის ღია სხდომა. სავალდებულოა ცეკავ და თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის ყველა წევრის და აგრეთვე წარმოების მუშაკთა დასწრება.

—.—

ხახ. უნ. პედ. ფაკ. არსებული მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, ქვემოთ-ჩამოთვლილ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ისინი უნდა გამოცხადდენ ამავე უჯრედის ბიუროში ამხ. შალვა სალუქვაძესთან პირველ თებერვალს, საღ. 5 საათზე.): წვერავა ქეთო ჭობულაია თინა, დიდიძე გიორგი, გორდელაძე ნადია; ბახტაძე გრიგოლი, შარგიანი თამარი ჭოჭიათელაძე ვერა; ქორიძე ეკატერინე; ცაგარეიშვილი სოფიო; სანაძე ტატიანა, ჩხეტია მიხეილი, თოფურია არისტრახი და სტურუა ელენა.

—.—

თბ. სახ. უნ. სოც.-ეკონ. ფაკულტეტის I-ლი და მე-2 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 1-ლ თებერვალს საღამოს სრულ 5 საათზე.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ ანკეტა-განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ.

—.—

თბ. სახ. უნივერსიტეტის აგროფაკთან არსებული ა. ლ. კ. კავშირის 1-ლი უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს 1 თებერვალს, დღის 12 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა ბიუროს ყველა წევრ კანდიდატთა დასწრება აუცილებელია: აგრეთვე [illegible] და დაესწრონ შემდ. ამხანაგები: თოთიბერიძე ქრისტეფორე, მაისურაძე ვახტანგი მაგრელიშვილი ოქროპირი, ფირცხალავა დიონისე და დოლიძე დავით.

—.—

ხახ. უნივ. პედ. ფაკ. არსებული კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს პარასკევს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია ამავე ფაკულტეტის კომპარტიის და კომკავშირთა წევრ კანდიდატთა გაერთიანებული კრება. ყველა წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების მთავარმმართველობა აუწყებს საზოგადოებას, რომ 29 იანვარს, ქ. თბილისში გარდაიცვალა მწერალი ქალი

განდეგილი

(დომინიკა ზურაბ ს ასული ერისთავ-მდივნისა)

სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულის ბინაზე (ელბაქიძის დაღ. № 1), საღამოს 7 საათ დაკრძალვა კვირას, 3 თებერვალს. გამოსვენება ხელოვნებათა სასახლიდან 12 საათზე.

2—1 296

დამწუხრებული ოლღა ქმრით [illegible] შვილებით: ძარო, შალვა, ვალოდია, ბუთა ნასარიძეები აუწყებენ ნათესავთ, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი

ეკატერინე მიხეილის ასული ჭავჭანიძე-კალანდაძისა

293

გულმოკლული და ანეტა შვილებით: გოგი, ცოლით თამარა სანაძეები, ნინა ქმრით კლიმენტით და შვილებით: ირა, ეთერი ფირცხალავები აუწყებენ ნათესავთ, რომ გარდაიცვალა

ეკატერინე მიხეილის ასული ჭავჭანიძე-კალანდაძისა

დაკრძალვა 2 თებერვალს, 3 საათზე. გამოსვენება საბჭოს ქ. № 94. 294

ძმები ლეონტი, ალექსანდრე და კონდრატი გოციროძე, დები იულია, ეკატერინე და ნადეჟდა აუწყებენ ნაცნობებს

ტერეზია ლუარსაბის ასული ჭიჭინაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხოტევში 1-ლ თებერვალს. 297

დამწუხრებულნი მეუღლე დავით ბეჟანის ძე დევიძე, შვილებით, რძლებით, სიძეებით, შვილიშვილებით აუწყებს ნათესავ-მეგობრებს, რომ 2 თებერვალს, 2 საათზე, მათი უსაყვარლესი

ბარბალე მარკოზის ასული დევიძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. დიდი-ჯიხაიშში. 95

ქ. ქუთაისის მე-2 უბ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 9 თებერვალს 1929 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მაქსიმე პეტრეს-ძე ჩეიძის ერთი სამსართულიანი ქვიტკირის სახლს მდებარე ქ. ქუთაისში ჩუბინიძის ქუჩ.-ზე, რომელიც შეიცავს ზედა სართულში ოთხ საცხოვრებელ ოთახს ერთი სამზარეულოთი, შუა სართულში ორ საცხოვრებელ ოთახს ერთი სამზარეულოთი და ქვედა სართულში ერთ თვალ სარდაფს, სახლი დახურულია ნახევრათ თუნუქით და კრამიტით. სახლი იყიდება ივანე ანდრიას-ძე მარდალეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლათ და შეფასებულია 2000 მან., საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამოქ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 2206

რუსთაველის თეატრი

შაბათს 2 და კვირას 3 თებერვალს
„ჯუმა-მაშიდ“ ვენეციანოვის
დრამა 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის
დადგმა: ალ ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

2—1 ნ. 2209

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი დარბაზი	მხატვრული სურათი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან **გილიანის ასული**
პალასი	მხატვრული სურათი **უძლეველნი**
მინიონი სოლეი	მონტი ბენქს საუკეთესო კომედიაში **ნამდვილი ჯენტლმენი**
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი **ქარიშხლის პანორები** ნინა ლის მონაწილეობით
აპოლო	კარმენ ბონი ახალ სურათში **სანაძლეო ქორწინება**
პროლეტარი ავლაბარი	ისტორიული სურათი **ჯანყი** 1-ლი სერია

0—25

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64

3—3 ნ. 2207

დღეს
სატრაქციონო სანახაობა
3 განყოფილებად
მონაწილეობს მთელი დასი და გასტროლიორები
პოპულიარულ ჰიპნოტიზიორის
ორლანდოს გამოსვლა
(მასიური ჰიპნოზი)
დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ორლანდოს გამოსვლა 10 საათზე.
კვირას, 3 თებერვალს
დღის სანახაობა ახალი პროგრამით
დასაწყისი დღის 2 ს. დღისით ადგილების ფასი ჩვეულებრივია

თბილისის ჯანგანყოფილების საკურორტო ქ/განყოფილება აცხადებს, რომ ა. წ.
საზაფხულო სეზონისათვის
მანგლისში, კოჯორში, პიკეთში და წყნეთში ქირავდება აგარაკები როგორც მუშა-მოსამსახურეებზე, ისე კერძო პირებზე. განცხადებები მიიღება ა. წ. 1 თებერვლიდან ჯან. განყოფილების კანცელარიაში (შუა ბაზარი № 4, მეორე სართული). განცხადებებთან უნდა იყოს დართული ცნობა მთელ თვიურ შემოსავლისა. აგარაკების ქირის გადახდა შეიძლება ნაწილობრივათ, დაწვრილებით ცნობის მიღება ოთახის გაცემაზე საკურორტო ქ/განყოფილების კანცელარიაში. სეზონი გაიხსნება 1-ლ ივნისს.
ნ. 2204 ჯ. ნ. განყ. საკურორტო ქ/განყოფილება.

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ნოტილოგანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
გონჩაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ.
საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი
იღებს: დილა-საღამოს.
ნ. 8 25—1

კბილის ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ი. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდი
მისამართი: ივანოვ-მარდალეიშვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი
200 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

დღეიდან [illegible]
კინო აპოლო
კინო აპოლო
კარმენ ბონი
(სურათი „ნამდვილი მამაკაცი“-ს გმირი)
ახალ ორიგინალურ კომედიაში
სანაძლეო ქორწინება
ნ. 2208

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს.
მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ტელეფონი № 5—90.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25—22

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25—1

დღეიდან
სეზონის
საუკეთესო კომედია
ნამდვილი ჯენტლმენი
კინო თეატრებში
სოლეი-მინიონი
კინო-თეატრ
პალასში
მხატვრული სურათი
უძლეველნი
რეჟ. კორდიუმი
ოპერატორი ლეშკე
ანონსი: მალე
გაროლდ ლოიდ სურათში
მეშვიდე ცაზე

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

დაიკარგა ძაღლი
(მწევარი)

ტანათ მოზრდილი, 3 წლისა, ფერათ შავი, პირი, გული და ფეხები წითელი, კუდის ბოლოზე და გულზე პატარა ერთი წერტილი. რეგისტრაც. № 303 მპოვნელი მიიღებს ჯილდოს 20 მან. დესიძონოვის ძიებანი № 19, სერგო გიორგობიანი. 302

დაკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 7200 მარიამ ვლადიმერის ასული ჩიკვაიძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 2205

დაკარგა: სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, პირადი წიგნაკი დავით ყიფიანის სახელზე. ჩ. გ. 303

დაკარგა: უმუშევრის დაზღვევის წიგნაკი № 4211, სამხედრო ბარათი მეტრიკული ამონაწერი, და სალიკვიდაციო სკოლის მოწმობა № 5, აბრამა რონათანის ძე დათაშვილის სახელზე. ჩ. გ. 292

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 45417 მარიამ გიორგის ასული წულუკიძის სახელზე. ჩ. გ. 300

დაკარგა: პარტიული წიგნაკი № 086338, კავშირის წიგნაკი № 4756 და ცეცხლ-ფარეშის მოწმობა № 60 ივანე ზეტურიძეს სახელზე, ჩ. გ. 301

დაკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 7562 გაცემული შუშანიკა მურმანის ასულ ტყემალაძის სახელზე, ჩ. გ. 299

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 14669 გაცემული ქუთაისის სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირის ხონის განყოფ. მიერ ანასტასია წულუკიძის სახელზე ჩ. გ. ნ. 220

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 63.
მთავლიტი № 404.